

გვანცა ბარბაქაძე*

მედ-არბის ადგილი და მისი განვითარების პერსპექტივა დავის გადაწყვეტის შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში

სტატია ეთმობა მედიაციისა და ახბიჯაჟის ინსტიტუტების კომბინირებული ვაჩიანტების მიმო-
ხილვას. ნაშრომში ძიხითადი აქცენტი გაკეთებულია მედ-არბის მოდელზე, ხომლის ფუნქციონირებასაც
ქაითუდ სამაითებხივ სიჯიციეში ნოხმატიული საფუძველი აქვს.

იმ უპიჯატესობების პაჩადეღუჩად, ჩასაც მედ-არბი გვთავაზობს, სტატიაში მიმოხილულია ეთიკუ-
ჩი დიღემებიც, ჩაც ამ მექანიზმის გამოყენებას ახდავს თან. აგჩეთვე, შემოთავაზებულია პიობღემის
გადაჭჩის პაჩაქტიკული გზები.

კვლევა კონცენტიხიებულია მედ-არბის ფუნქციონირების მთელს ციკლზე, მასზე შეთანხმების
ეგაპიდან მიღებული გადაწყვეტილების აღსუღების სტადიამდე, შესაბამისად, აქცენტი კეთდება შე-
თანხმების ნამდვილობის მაგეჩიადუჩ და ფოხმადუჩ წინაპიხოებებზე, ამგვაჩი დათქმის ახსებობი-
სას სასამაითღოს ჩაჩევის მასშტაბსა და მედ-არბში მიღებული გადაწყვეტილების სამაითებხივ ბუ-
ნებაზე.

საკვანძო სიჯყვები: დავის გადაწყვეტის ადვოკატიური მექანიზმები, მედ-არბი, ახბ-მედი, საჩ-
ჩედის წაჩმოებაში მიღებაზე უაჩი, გადაწყვეტილების მბოჭავი ძადა.

„ხელი შეუშადეთ სამაითადწაჩმოებას. დააჩწმუნე შენი მეზობლები წამოვიდნენ კომ-
პიომისზე, ყოვეღთვის, ჩოცა შეგიძლია. აჩვენე მათ, ჩომ ხშიჩად ნომინალუჩი გამაჩჯვებუ-
ღი ნამდვიღი დამაჩცხებუღია - თანხისა და დიოს დანაკაჩგებით.“

აბჩამ დინკოღნი

1. შესავალი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ერთგვარ მსოფლიო ტენდენციად იქცა უკმა-
ყოფილების ზრდა სასამართლო სისტემის მიმართ, რის უმთავრეს მიზეზებადაც სამართალ-
ნარმოების ხანგრძლივობა და ფორმალური ბუნება, სხდომების საჭარო ხასიათის კვალდაკ-
ვალ პრივატულობის შეგრძნების დაკარგვა და საქმის საბოლოო შედეგის არაპროგნოზირე-
ბადი ბუნება გვევლინებიან.¹ უდავოა, რომ სასამართლო პროცესი თავისი არსის გათვალის-
წინებით ერთ-ერთი მხარისთვის ყოველთვის იწვევს არადამაკმაყოფილებელ შედეგს, ისეთ
საქმეებზე კი, რომლებიც სენსიტიური შინაარსის მქონეა, ფინანსური და ემოციური წნეხის

* სამართლის მაგისტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების
პროგრამის ადვოკატი, მედიატორის სასერტიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებული. <https://orcid.org/0009-0002-9144-1938>.

¹ *Pilkerton Cairnie T., Pope J., Mediation Skills and Process*, by the Northern Virginia Mediation Service, 2015, 1,
<<https://nvmsus.files.wordpress.com/2016/01/complete-manual.pdf>> [25.06.2023].

გამო შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს საოჯახო ურთიერთობებს,¹ ამდენად, მაღალია ალბათობა, რომ „გამარჯვებული მხარე“ მხოლოდ ნომინალურ, ფურცელზე დაწერილ მოცემულობად დარჩეს.

ამ რეალობის პირობებში მხსნელად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები (ADR) გვევლინება, სიტყვა „ალტერნატივის“ პირველი ასოციაცია ისაა, რომ იგი მოიაზრებს სივრცეს დავების გადასაჭრელად სასამართლოს მიღმა,² რაც სიმართლესთან ახლოსაა: დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, როგორც ტერმინი, პირველად სწორედ იმგვარი სამართლებრივი ბერკეტების აღსაწერად გამოიყენეს, რომლებიც სასამართლოს კარს მიღმა ესწრაფვოდნენ მხარეთა შორის არსებული უთანხმოების გადაწყვეტას და თავის თავში (მათ შორის) მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტებს მოიცავდნენ.³

თითოეულ მექანიზმს თავისი უნიკალური თვისებები გააჩნია, რაც მას ერთი მხრივ დავის გადაწყვეტის სხვა ბერკეტებისგან აცალკევებს, ხოლო მეორე მხრივ სასამართლოსგან განარჩევს.⁴ საერთო მახასიათებელი მათთვის ის არის, რომ სასამართლო წარმოებასთან შედარებით უზრუნველყოფენ დავის უფრო სწრაფად და იაფად გადაწყვეტას.⁵ პირობითად, თუ ბიზნეს სექტორს გადავხედავთ, მისთვის დავის გადაწყვეტის რჩეული მექანიზმი სწორედ ალტერნატიული საშუალებების გამოყენებაა.⁶ გარდა ბიზნეს სექტორისა, ამგვარი მექანიზმების გამოყენება ასევე წახალისებულია უშუალოდ სასამართლოს მხრიდანაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა მზარდი რაოდენობის პირობებში, ფედერალურმა და შტატების სასამართლოებმა მიაღწიეს ერთგვარ „თბილ მოწონებას“ (“a warm endorsement”), მხარეთა შორის მოლაპარაკების მეშვეობით ფორმირებული შეთანხმებების წახალისებაზე, რასაც არა მხოლოდ ადმინისტრაციული სარჩული აქვს (სასამართლოს განტვირთვის მიზანი), არამედ საფუძვლად უდევს რწმენა იმისა, რომ მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში მიღწეული შეთანხმება უფრო მეტად ემსახურება მათი და სამართლიანობის ინტერესებსაც.⁷

რაც შეეხება თავად ტერმინს, ევროპაში „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების“ კვალდაკვალ გაჩნდა ცნება - „დავის გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმები“ (EDR). სიტყვა „ალტერნატიული“ „ეფექტურით“ ჩანაცვლების მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ევროპული ბიზნეს სამართლისთვის ეს მეთოდები არათუ ალტერნატივად, არამედ ძირითად გზებად იქცა.⁸ რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ქართულ მოცემულობაზე, მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობით იზრდება, მაგალითად, არბიტრაჟისთვის მიმართვიანობა,⁹ ჩვენთვის დავის გადაწყვეტის ხსენებული მეთოდები ჯერ ისევ არათუ „ალტერნატიულია“, არამედ „საგამონაკლისო“, რის ძირითად მიზეზადაც მოსახლეობის ნაკლებინფორმირებულობა გვევლინება.¹⁰

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მედიაციისა და არბიტრაჟის სინთეზური პროდუქტი „მედ-არბი“:

არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის კონსესუალური მეთოდია, რომლის ფარგლებშიც მხარეთა მიერ არჩეული კერძო პირ(ებ)ი, სასამართლოს მიღმა იღებენ მათთვის შესასრულებლად

¹ Williams, supra note 13, at 823, in: Vovys Y., The Best of Both Worlds: The Use of Med-Arb for Resolving Will Disputes, Ohio State Journal on Dispute Resolution, [Vol. 22:3 2007], 874.

² Report Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform Commission November 2010, 1.

³ ცეხცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) თბ., 2008, 16.

⁴ მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, თბ., 2019, 16.

⁵ Steadman F., Handbook on Alternative Labour Dispute Resolution, ILO International Training Centre, 2008, 9.

⁶ ცეხცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) თბ., 2008, 16.

⁷ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 3.

⁸ Steadman F., Handbook on Alternative Labour Dispute Resolution, ILO International Training Centre, 2008, 9.

⁹ ჯაფარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული 2013“, თბ., 2014, 193.

¹⁰ კვიციანიშვილი თ., მედ-არბი/არბ-მედი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული 2014“, თბ., 2014, 27.

სავალდებულო გადაწყვეტილებას.¹ შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით სასამართლო გადაწყვეტილების ეკვივალენტია.² მე-20 საუკუნის ბოლოსთვის, არბიტრაჟმა ნელ-ნელა დაკარგა ხარჯების დამზოგავი ბერკეტის სტატუსი,³ ამასთან იგი განხილვის ფორმალიზებული ხასიათისა და ხანგრძლივი პროცედურების წყალობით დროთა განმავლობაში თავადვე დაემსგავსა სასამართლო წარმოებას.⁴ ამდენად, ბოლო 30 წლის მანძილზე, საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის გზაზე დავის გადაწყვეტის პოპულარული მექანიზმის ფუნქცია მედიაციამ იტვირთა,⁵ რომელიც მხარეთა მიერ კონტროლირებადი, იაფი და სწრაფი ალტერნატივაა.⁶ „მედიაცია, არსებითად, დამხმარე მოლაპარაკების ფორმაა,⁷ როცა მხარეები შეთანხმების მიღწევას მოლაპარაკის საფუძველზე ვერ ახერხებენ, სცენაზე მედიატორის სახით ნეიტრალური მესამე პირი ჩნდება.

მედიაციასა და არბიტრაჟს შორის არსებითი სხვაობა სწორედ რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირში და ამდენად, საქმის წარმმართველი სუბიექტის როლშია.⁸ მედიაციის ფარგლებში გადაწყვეტილების შემოქმედებად თავად მხარეები გვევლინებიან, ხოლო თუ მათ შორის ამგვარი მბოჭავი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, რჩებათ შესაძლებლობა საკუთარი უფლებები სასამართლო წარმოების ან დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებების, მათ შორის, არბიტრაჟის მეშვეობით დაიცვან.⁹ აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავებით მედიაციისგან, საარბიტრაჟო განხილვას არ აქვს უნარი, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა „აღადგინოს“/„გამოასწოროს“, იმის გამო, რომ აქ არის მართოდენ წაგების ან მოგების ოფცია.¹⁰

გარდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების „კლასიკური“ მოდელებისა, არსებობს მათი სინთეზური პროდუქტებიც: მედ-არბის სახელით ცნობილმა მედიაციისა და არბიტრაჟის ჰიბრიდმა ბოლო პერიოდში საკმაო პოპულარობა მოიპოვა.¹¹ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ ორი ინსტიტუტის კომბინაციის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და აღიარებული ფორმაა.¹²

სამართლებრივ დოქტრინა და პრაქტიკა მედიაციისა და არბიტრაჟის სინთეზის სხვაგვარ ფორმებსაც იცნობს, ჰიბრიდული მოდელების დიფერენცირების წინაპირობა შესაძლოა ის გახდეს თუ რომელი პროცესი იწყება პირველი და რა თანმიმდევრობით იცვლებიან ისინი, ამის მიხედვით არსებობს მედ-არბის, არბ-მედის, არბ-მედ-არბის და სხვ. მექანიზმები, თუმცა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ძირითადი ყურადღება მედ-არბის პროცესსა და მას-

¹ Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 5, in: მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, თბ., 2019, 16.

² იქვე, 19.

³ Lu Y., Med-Arb and Arb-Med: A Law and Economic Analysis, Harvard Negotiation Law Review [Vol. 27:253], 2022, 260.

⁴ Sussman E., The New York Convention Through a Mediation Prism, Dispute Resolution Magazine Volume 15, Number 4, 2009, 10.

⁵ Uwe Hess R., Enforcing Consent Awards Under The New York Convention: From “Differences” to Settlement and Back, May 1st, 2018, 20, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4117511> [25.06.2023].

⁶ ჟოჰორიანი დ., ბოდში და პატიება მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2014“, თბ., 2016, 38.

⁷ გინ ბახნეთი ქ., უილისი თ., მედიაცია, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თბ., 2017, 251.

⁸ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 2.

⁹ Gracious T., The Downside of Arb-Med-Arb Procedures, August 21, 2015, <<https://mediate.com/the-downside-of-arb-med-arb-procedures/>> [25.06.2023].

¹⁰ Wolski, supra n. 3, at 258, in: Nigmatullina D., Developing Efficient Dispute Resolution Solutions for International Commercial Disputes: Ways to Address Concerns Associated with the Combined Use of Mediation and Arbitration by the Same Neutral, This Thesis is Presented for the Degree of Doctor of Philosophy in Law of The University of Western Australia, 2016, 33.

¹¹ Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 319, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

¹² Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 221.

თან დაკავშირებულ პრობლემატურ ასპექტებს დაეთმობა. ხსენებულის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ თუ კანონმდებლობა სხვა ქვეყნებში უფრო „კეთილგანწყობილია“ ამ ბერკეტების მიმართ, ჩვენს შემთხვევაში ნორმატიული საფუძველი არბ-მედის მოდელისთვის ამჟამინდელი რეგულირების პირობებში არ მოიძებნება.

ზოგადი განმარტების თანახმად, მედ-არბი არის პროცესი, რომელიც თავის თავში დავის გადაწყვეტის ორ დამოუკიდებელ მექანიზმს¹ და ამდენად, ერთმანეთისგან რიგ შემთხვევაში დიამეტრალურად განსხვავებულ პრინციპებს აერთიანებს, ცდილობს მათ დაკავშირებას, საუკეთესო მხარეების გამოყენებას და შედეგად წარმატების მიღწევას:² კონსტრუქციული თვალსაზრისით, მედიაციის ფუნდამენტური მახასიათებლები მედ-არბში მედიაციის ეტაპზე მჟღავნდება, ხოლო არბიტრაჟის პრინციპები საარბიტრაჟო განხილვის სტადიაზე პოვებს გამოხატულებას.³

მედ-არბის პრაქტიკოსები ავითარებენ მოსაზრებას, რომ ეს პროცესი ორივე ინსტიტუტის, როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის საუკეთესო მახასიათებლების ერთ ჩარჩოში მოქცევის მცდელობაა, კერძოდ, არბიტრაჟის ფინალურ (შედეგის დამდგენ) ბუნებას მედიაციის სტადიის არაფორმალური პროცედურები აკომპენსირებს, რაც, საბოლოო ჯამში, პროცესს მედიაციისთვის ნიშნულ მოქნილობას სძენს. ამ თვალსაზრისით მიიჩნევა, რომ საქმეზე არბიტრაჟის მიერ მბოჭავი გადაწყვეტილების დადგენის უნარი მედიაციის პროცესში არის ერთგვარი „წკეპლა“ მხარეებისთვის, რათა ისინი მედიაციის ნაყოფიერად დასრულებას ეცადნონ.⁴ უდავოა, რომ ყველაზე უფრო მძაფრად ეს უკანასკნელი თვისება მედ-არბის იმგვარ პროცესში მჟღავნდება, რომელსაც ერთი და იგივე ნეიტრალური პირი წარმართავს.

ფართოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, მედ-არბის ორი ფუნდამენტური ვარიანტი, ერთი ნეიტრალური პირის მიერ წარმოებული მედ-არბი და სხვადასხვა პირის მიერ წარმართული პროცესია.⁵ თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი იმდენად მკაცრად აფასებს მედ-არბის ფარგლებში სხვადასხვა პირის მიერ წარმართულ მედიაციისა და არბიტრაჟის, რომ მას საერთოდ არ განიხილავს მედ-არბად. ამ მოსაზრებით, მედ-არბის არსებითი მახასიათებელი ისაა, რომ პროცესს ერთი სუბიექტი უძღვება.⁶

იმ უპირატესობებთან ერთად, რასაც ერთი პირის მიერ ორი ფუნქციის შეთავსება იძლევა, ამგვარ მოდელს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებული იქნება მედ-არბის ორი ძირითადი ფორმა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ის საფრთხეები რასაც ერთი პირის მიერ წარმართული პროცესი უქმნის მედიაციისა და არბიტრაჟის ძირითადი პრინციპების მოქმედებას.

ამ საკითხებზე მსჯელობისას შეფასდება არსებული მოწესრიგების ბუნება და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რაც შეიძლება სამომავლოდ მედ-არბის ინსტიტუტის განვითარებამ და მასზე გაზრდილმა მოთხოვნებამ გამოიწვიოს. ამავე კონტექსტში გათვალისწინებული იქნება ეთიკური სტანდარტების დაცვის საკითხი. იმის გამო, რომ იმგვარი წესები, რომლებიც პირდაპირ მოაწესრიგებდა მედ-არბში მონაწილე სუბი-

¹ *Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?*, 2017, 1.

² *McLean J. D., Wilson S. P., Compelling Mediation in the Context of Med-Arb Agreements*, DISP. RESOL. J., Aug.-Oct. 2008, at 28, 30, in: *Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case*, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 319, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

³ *Banaitis, NG., Construction Mediation and its Hybridization in Hong Kong*, Organization, Technology and Management in Construction, 2017, 1534.

⁴ *Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution*, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 159, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

⁵ *Nigmatullina D., Developing Efficient Dispute Resolution Solutions for International Commercial Disputes: Ways to Address Concerns Associated with the Combined Use of Mediation and Arbitration by the Same Neutral*, This thesis is Presented for the Degree of Doctor of Philosophy in Law of The University of Western Australia, 2016, 24.

⁶ *Sam Kagel & Bette J. Roth, MED-ARB (Mediation-Arbitration)*, in *Alternative Dispute Resolution Practice Guide 37:8*, 2014, in: *Nigmatullina D., Developing Efficient Dispute Resolution Solutions for International Commercial Disputes: Ways to Address Concerns Associated with the Combined Use of Mediation and Arbitration by the Same Neutral*, This thesis is Presented for the Degree of Doctor of Philosophy in Law of The University of Western Australia, 2016, 20.

ექტის ქცევას არ გვაქვს,¹ ნაშრომი დაეფუძნა იმ დებულებებს, რომლებიც არსებობს ცალ-ცალკე მედიატორებისა და არბიტრებისათვის.

გარდა ამისა, სტატიის უნდა გადაწყდეს თუ რა ფორმით უნდა შეთანხმდნენ მხარეები ამ ალტერნატივის გამოყენებაზე, რა ტიპის დავების განსახილველად შეიძლება იქნეს გამოყენებული მედ-არბის მექანიზმი და რა როლი ექნება სასამართლოს მედ-არბზე დათქმის პირობებში, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის, საქმის წარმოების შეწყვეტისა და მედ-არბზე შეთანხმების ნამდვილობის შეფასების ნაწილში.

აქვე აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, არბიტრაჟი მხარეებს შესაძლებლობას აძლევს აირჩიონ როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, ისე შეთანხმდნენ იმ წესებზე, რომელთა საფუძველზეც მათ შორის არსებული დავა გადაწყდება. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში არბიტრაჟის ნაწილი მიმოხილული იქნება „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში, იმ დაშვებით, რომ სადავო საკითხები მხარეთა შეთანხმების და სხვა გარემოებების საფუძველზე, სწორედ ამ კანონის მოქმედების სფეროშია.

2. მედ-არბი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი

2.1. მედ-არბის ისტორიული ასპექტები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ურთიერთობები მუდმივად ვითარდება, რის გამოც მხარეები ეძებენ უფრო სწრაფ და ნაკლებად ძვირადღირებულ მეთოდებს წარმოშობილი დავების გადასაწყვეტად. ხსენებული მიზნის მისაღწევად კი აპრობირებულია კომბინირებული (როგორც მას ხშირად უწოდებენ, ჰიბრიდული) მექანიზმების გამოყენება.² მიჩნეულია, რომ ჰიბრიდული მექანიზმების გამოგონება იმ იურისტთა ძალისხმევით დაკარგული დრო დაკარგულ შესაძლებლობებს ნიშნავს.³

ამდენად, მედ-არბის სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარება შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ საზოგადოებრივი ტენდენციის ერთგვარ ანარეკლად, რომელიც უფრო და უფრო მჭიდროდ აკავშირებს სამართლებრივ პროცედურებს კონფლიქტის მოგვარების ნაკლებფორმალურ და მეთად ეფექტურ გზასთან, რაც ერთიანდება ზოგადი სახელის - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ქოლგის ქვეშ.⁴

მედ-არბის პროცესი, როგორც მექანიზმი, ისტორიულად კოლექტიური დავის გადასაჭრელად ჩამოყალიბდა და, როგორც წესი, გამოიყენებოდა იმ ინდუსტრიულ სფეროებში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, სადაც გაფიცვას და წარმოების შეჩერებას საზოგადო სიკეთისთვის ზიანის მოტანა შეეძლო:⁵ სემ კაგელი, სან ფრაცისკოელი ადვოკატი და არბიტრი, ხშირად მოიხსენიება დასავლურ კულტურაში მედ-არბის ინსტიტუტის მთავარ განმავითარებლად, ალბათ, იმის გამო, რომ სწორედ მან გამოიყენა მედიაციისა და არბიტრაჟის სინთეზი 1970-იან წლებში, მედლების საკმაოდ ფართომასშტაბიანი გაფიცვის მოსაგვარებლად.⁶

¹ Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M Univeristy Chapter 10, 6-2021, 222.

² Sussman E., Developing an Effective Med-Arb/Arb-Med Process, The Neutral Corner, the Newsletter for Finra Neutrals, Vol. 2, 2018, 1.

³ Drummond R., A Case for Arb-Med: Why Consider it and How to Draft an Arb-Med Clause, October 2006, 1, <<https://ssrn.com/abstract=951194>> [25.06.2023].

⁴ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just A Limited ADR Option?, 2017, 3.

⁵ Bartel, supra note 2, 677, in: Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 324, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

⁶ Fullerton, supra note 9, at 53-54, Dafna Lavi, Divorce Involving Domestic Violence: Is Med-Arb Likely to Be the Solution?, 14 Pepp. Disp. Resol. L.J. 2014, 91, 130-133, in: Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M Univeristy Chapter 10, 6-2021, 217.

ხსენებული შემთხვევის შემდგომ, მედ-არბი აშშ-ში მხარდაჭერილ იქნა ფედერალური Service Impasses Panel-ის მიერ, ამ უკანასკნელის წარმოდგენილი ანგარიშების თანხმად, 1970-75 წლებში მედ-არბი დაახლოებით 20 საქმეზე გამოიყენეს.¹ ამ მოცემულობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა, ისევე როგორც სასამართლო მხარს უჭერს მედ-არბის ინსტიტუტის გამოყენებას, მაგალითად, შრომით დავებზე.²

დასავლეთთან შედარებით აზიურ იურიდიულ კულტურაში მედიაციისა და არბიტრაჟის სინთეზი ბევრად უფრო ფართოდ გამოიყენებოდა.³ მაგალითისათვის, ჩინეთში მედ-არბი საკმაოდ პოპულარული მექანიზმია.⁴ კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მასშტაბით მედიაციის წარმოების შესაძლებლობა როგორც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ისე საარბიტრაჟო განხილვისას დაშვებულია.⁵ ჩინური მედ-არბის (ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მედიაციისა და არბიტრაჟის მრავალნაზხანაგოვანი სინთეზის) მახასიათებელი ისაა, რომ იქ არ არის გავლენილი მკაფიო ზღვარი დავის განხილვის სამედიაციო და საარბიტრაჟო სტადიებს შორის და სავსებით შესაძლებელია, რომ საარბიტრაჟო პროცესში პერიოდულად „შემოიჭრას“ მედიაცია.⁶

სხვადასხვა სოციუმში დავის გადაწყვეტის ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენების პოპულარობა შესაძლოა განპირობებულ იყოს თავად ამ საზოგადოების კულტურული თავისებურებებით და წარსული გამოცდილებით, სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „მედ-არბს“ შეუძლია დაეხმაროს მხარეებს დავის გადაჭრაში და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად საკითხის მშვიდობიანად მოგვარებაში. აზიურ კულტურებში გავრცელებული კონფუციუსტური და დაოისტური ფილოსოფიის გავლენით, საზოგადოებრივი ცხოვრება ეყარება შემდეგ ფუნდამენტურ ცნებებს: „yi he wei gui“ (ჰარმონია), „zong yong“ (ზომიერება ყველაფერში), „rang“ (დათმობა) და „xi song“ (დავების თავიდან არიდება), ხსენებულის გავლენით სასამართლო წარმოება აღქმულია უკანასკნელ საშუალებად, რომელიც სოციალურ ჰარმონიას არღვევს, მეორე მხრივ კი მედიაციის მექანიზმი დავის განხილვის ფარგლებში ყველაზე მეტად უზრუნველყოფს ბალანსის შენარჩუნებას და საზოგადოებაში წონასწორობის აღდგენას.⁷

2.2. დავის გადაწყვეტის ჰიბრიდული მექანიზმების მიზნები

ვინაიდან, მედ-არბი ქართული რეალობისთვის ახალი ხილია, მისი განვითარების პერსპექტივის დასანახად, მიზანშეწონილია სტატიაში განხილულ იქნეს თუ როგორ უყურებს თანამედროვე ბიზნესსამყარო ჰიბრიდული მექანიზმების გამოყენებას:

როგორც უკვე აღინიშნა, მედ-არბის მექანიზმის ფარგლებში მხარეები ცდილობენ, რომ შეთანხმებას მიაღწიონ მედიაციის სტადიაზე, ხოლო თუ იგი სრულად უშედეგოდ დასრულდა ან ცალკეული საკითხები დარჩა შეუთანხმებელი, დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღე-

¹ Telford E. M., Med-Arb: A Viable Dispute Resolution Alternative, Current Issues Series, Queen's University, 2011, 1, <https://irc.queensu.ca/wp-content/uploads/articles/articles_med-arb-a-viable-dispute-resolution-alternative.pdf> [25.06.2023]

² Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M University Chapter 10, 6-2021, 217-218.

³ Finn M., Remaining the Dispute Resolution Epicentre: is Med-Arb in Europe's future? Construction Law International, Vol 16, ISSUE 1, March 2021, 18.

⁴ The International Comparative Legal Guide to: International Arbitration, a Practical Insight to Cross-border International Arbitration Work, 2009, 29.

⁵ გუჩიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, დისერტაცია, თბ. 2019, 50.

⁶ Kaufman-Kohler & Kun, supra note 20, at 487; Vera, supra note 20, 181, in: Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 223.

⁷ Wenying W., 'The Role of Conciliation in Resolving Disputes: A PRC Perspective', 2005, 20 Ohio St J on Disp Resol 421, in: Shahla F. A., The Legal Framework for Med-Arb Developments in China: Recent Cases, Institutional Rules and Opportunities, Dispute Resolution International, 2016, 123-124.

ბის უფლებამოსილება უკვე საარბიტრაჟო ტრიბუნალის ხელში გადადის.¹ ამდენად, მედ-არბის პროცედურა მონოდებულია „გამოასწოროს“ მედიატორის ფორმალური ძალაუფლების არარსებობა და გარანტირებული გახადოს საქმეზე საბოლოო, მბოჭავი გადაწყვეტილების დადგომა.² შედეგის ფინალური ბუნების გამო მედ-არბის პროცესს სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ როგორც „მედიაციას კომბლით“.³

კომერციული ინდუსტრიის ზრდამ აჩვენა, რომ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესების კომბინაციას შეუძლია შექმნას უფრო მოქნილი და ეფექტური მექანიზმი დავის გადასაწყვეტად, სწორედ ამიტომ, ამერიკის არბიტრთა ასოციაცია თავად უწყობს ხელს მედიაციის ინსტიტუტის დანერგვას.⁴

დავის გადაწყვეტის ჰიბრიდული მექანიზმების პოპულარობა კვლევებითაც დასტურდება, კერძოდ, სხვადასხვა დროს ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, რომ ყველაზე უფრო აპრობირებული მეთოდი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს შორის არის არბიტრაჟის გამოყენება სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან ერთობლიობაში:⁵

მაგ., ერთი და იმავე ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მიზნად ისახავდა მთლიანად საერთაშორისო საარბიტრაჟო საზოგადოების და არა მისი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის განწყობის შესწავლას⁶ აჩვენა, რომ 2018 წელს გამოკითხულ პირთა უკვე თითქმის ნახევარი ემხრობოდა არბიტრაჟის დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ მექანიზმებთან ერთად კომბინირებულ გამოყენებას, მაშინ როდესაც 2015 წელს ამგვარი სინთეზური წარმონაქმნის მომხრეთა რაოდენობა 34 პროცენტს არ აღემატებოდა.⁷

საკმაოდ საინტერესოა ისიც, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებთან არბიტრაჟის კომბინაციამ პოსტ-კოვიდურ ერაშიც არათუ შეინარჩუნა, არამედ მოიპოვა უფრო დიდი პოპულარობა, კერძოდ, გამოკითხულთა 90 პროცენტი მიუთითებს არბიტრაჟის გამოყენების უპირატესობაზე იმგვარ საქმეებში, რომლებიც ცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს, ამასთან, გამოკითხულ პირთა საერთო რაოდენობის 59 პროცენტს მიაჩნია, რომ არბიტრაჟი ყველაზე უფრო ეფექტური ბერკეტი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმთან წყვილშია.⁸

სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს საზოგადოებაში უკვე დამკვირვდა პრაქტიკა, რომ საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში ინტეგრირდეს მედიაციის „ფანჯარა“, ამასთან ხსენებული მექანიზმი არ არის საარბიტრაჟო განხილვის სტადიით შეზღუდული.⁹ ამგვარი

¹ Gu W., Hybrid Dispute Resolution Beyond the Belt and Road: Toward a New Design of Chinese Arb-Med (-Arb) and Its Global Implications, Washington International Law Journal, Volume 29, Number 1, 23/12/2019, 6.

² Karen L. Henry, Med-Arb: An Alternative to Interest Arbitration in the Resolution of Contract Negotiation Disputes, 3 OH. ST. J. ON DISP. RESOL. 1998, 385, 390, in: Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 167, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

³ Campolieti M., Riddell Ch., Does Mediation-Arbitration Reduce Arbitration Rates? Evidence from a Natural Experiment, 14.11.2018, 1.

⁴ Drummond R., A Case for Arb-Med: Why Consider it and How to Draft an Arb-Med Clause, October 2006, 3, <<https://ssrn.com/abstract=951194>> [25.06.2023].

⁵ International Arbitration Survey, The Queen Mary University of London and White & Case LLP ('QMUL Survey 2018'), 2018, 4, <[https://arbitration.qmul.ac.uk/media/arbitration/docs/2018-International-Arbitration-Survey---The-Evolution-of-International-Arbitration-\(2\).PDF](https://arbitration.qmul.ac.uk/media/arbitration/docs/2018-International-Arbitration-Survey---The-Evolution-of-International-Arbitration-(2).PDF)> [25.06.2023], ასევე, Drummond R., A Case for Arb-Med: Why Consider it and How to Draft an Arb-Med Clause, October 2006, 1, <<https://ssrn.com/abstract=951194>> [25.06.2023].

⁶ 2018 International Arbitration Survey: The Evolution of International Arbitration, <<https://arbitration.qmul.ac.uk/-research/2018/>> [25.06.2023].

⁷ International Arbitration Survey, The Queen Mary University of London and White & Case LLP ('QMUL Survey 2018'), 2018, 7, <[https://arbitration.qmul.ac.uk/media/arbitration/docs/2018-International-Arbitration-Survey---The-Evolution-of-International-Arbitration-\(2\).PDF](https://arbitration.qmul.ac.uk/media/arbitration/docs/2018-International-Arbitration-Survey---The-Evolution-of-International-Arbitration-(2).PDF)> [25.06.2023].

⁸ International Arbitration Survey: Adapting Arbitration to a Changing World, The Queen Mary University of London, School of International Arbitration, 2021, 3, <https://arbitration.qmul.ac.uk/media/arbitration/docs/LON0320037-QMUL-International-Arbitration-Survey-2021_19_WEB.pdf> [25.06.2023].

⁹ Drummond R., A Case for Arb-Med: Why Consider it and How to Draft an Arb-Med Clause, October 2006, 1, <<https://ssrn.com/abstract=951194>> [25.06.2023].

მოქნილობა ამჟამინდელი ქართული მოწესრიგების ფარგლებში უზრუნველყოფილი ვერ იქნება და მასზე საუბარი უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება.

2.3. მედიაციისა და არბიტრაჟის კომბინაციები

როგორც პრაქტიკაში, ასევე სამართლებრივ ლიტერატურაში მედ-არბის მრავალი ვარიანტი არსებობს. სწორედ ამიტომ, რთულდება ამ ინსტიტუტის ზუსტი დეფინირება.¹ მედ-არბის პარალელურად, რომელიც არბიტრაჟისა და მედიაციის ინსტიტუტების კომბინაციის შედარებით უფრო ტრადიციულ მოდელად განიხილება, ასევე არსებობს არბ-მედის მექანიზმიც:² არბ-მედში ნეიტრალური პირი იწყებს არბიტრაჟის პროცესს, რომლის დასრულების შემდგომაც იღებს საქმეზე გადაწყვეტილებას და როგორც წესი, კონვერტში ლუქავს მას.³ სამედიაციო პროცესი არბიტრის მიერ უკვე მიღებული მბოჭავი გადაწყვეტილების შემდგომ იწყება, ამდენად, მედიაციაში მხარეები შედიან იმგვარად, რომ მათთვის უცნობია, თუ რა გადაწყვიტა არბიტრმა, შესაბამისად, ისინი აკვირდებიან მედიატორის მოსასხამში გახვეული არბიტრის ქცევას, სიტყვებს, რათა მასში შეძლონ უკვე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის ამოკითხვა და ამავე სტადიაზე იღებენ მორიგების (ან ვერ მორიგების) თაობაზე გადაწყვეტილებას.⁴

თუ მედიატორად ტრანსოფმირებულმა არბიტრმა მხარეების მორიგება შეძლო იგი გმირად გადაიქცევა,⁵ არბ-მედის პროცესის დადებით მხარედ სწორედ ის განიხილება, რომ მედიაციის წინმსწრები არბიტრაჟის ფაზა უზრუნველყოფს მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას, რათა მათ მედიაციის ეტაპზევე სცადონ საკითხის მოგვარება. რაც შეეხება ამ მოდელის რისკს თუ უარყოფით მხარეს, არის ალბათობა, რომ არბიტრაჟის უკვე ჩავლილმა პროცესმა და მედიატორად ტრანსფორმირებულმა არბიტრმა შეცვალოს მედიაციის პროცესის შინაარსიც.⁶ ვინაიდან, აქ მხარეთა თვალში მედიატორი ნეიტრალური პირი კი აღარ არის, არამედ, ის ადამიანია, ვინც მათი „ბედი გადაწყვიტა“ - საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

გარდა ამისა, არბ-მედის პროცესი არც ხარჯების დაზოგვის თვალსაზრისითაა ეფექტური, იმისდა მიუხედავად თავადვე მორიგდებიან თუ არა მხარეები მათ მაინც უწევთ უკვე ჩატარებული საარბიტრაჟო განხილვისთვის შესაბამისი ხარჯების გაღება.⁷

არბ-მედთან ერთად ხშირად განიხილავენ არბ-მედ-არბის ინსტიტუტსაც, ამ შემთხვევაში მედიატორად ქცეული არბიტრი სამედიაციო ფანჯრის⁸ დროს ცდილობს მოარიგოს მხარეები, მაგრამ ბრუნდება არბიტრის როლში, თუ მედიაცია წარუმატებელი აღმოჩნდება.

რაც შეეხება არბ-მედის ან არბ-მედ-არბის ინსტიტუტების გადმოტანას ქართულ რეალობაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამინდელი საკანონმდებლო მოწესრიგება - „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს პირდაპირ ან ირიბ მითითებას არბიტრის მიერ საარბიტრაჟო განხილვის პროცესში მედიატორის ფუნქციების შესრულების (ან შესაძლო შესრულების) თაობაზე. ერთადერთი ნორმა კანონში, რომელიც საარბიტრაჟო გან-

¹ Med-Arb Commentary, A Guide for Legal and ADR Practitioners, October 2022, 4.

² Nolan-Haley J., Mediation: The “New Arbitration”, Harvard Negotiation Law Review, Spring 2012, 86.

³ Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 222.

⁴ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 186, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

⁵ Silberberg H. R., Badaracco P. A., Arb-Med: Workable or Worrisome?, NYSBA New York Dispute Resolution Lawyer Vol. 12, No. 2, Fall 2019, 34.

⁶ იქვე, 189.

⁷ Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 222.

⁸ იქვე, 219.

ხილვის დროს მორიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს¹ შემდეგი ფორმულირების მქონეა „თუ საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეები მორიგდნენ“, ამ დანაწესის როგორც გრამატიკული განმარტებიდან, ისე მთლიანი კანონის სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ:

- თუ მორიგება მიიღწევა, ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა ჯერ კიდევ არ დასრულებულა ე.ი. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის;
- მორიგება მხარეთა თანამთხვევადი ნების პროდუქტია და მის ფორმირებაში არბიტრს მედიატორის აქტიური როლი არ აქვს.

მოხმობილ მსჯელობას ადასტურებს „არბიტრთა ეთიკის კოდექსის“² მე-4 პრინციპის მე-4 პუნქტიც, რომლის შინაარსის მიხედვითაც, არბიტრი უფლებამოსილია შესთავაზოს მხარეებს მორიგება, მათ შორის მედიაციის მექანიზმის გამოყენებაც, მაგრამ ეს არამც და არამც არ უნდა განხორციელდეს მხარეთა ნებელობის სფეროში უხეში ჩარევით ან არბიტრის მიერ მორიგების პროცესში რაიმე ფორმით მონაწილეობით.

ამავე ნორმის თანახმად, არბიტრს შეუძლია იყოს მედიატორი მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი თანხმობის და მათ მიერ ყველა რისკის გაცნობიერების შემთხვევაში. ეს დანაწესი არის ერთგვარი გამოძახილი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, რომელიც დასათურებულია შემდეგნაირად „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და მედიატორის საქმიანობის შეზღუდვან. ნორმა მხარეთა შორის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ითვალისწინებს (დასრულებული/მიმდინარე) საქმის განმხილველი არბიტრის მედიატორად დანიშვნის შესაძლებლობას იმავე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე, ამასთან მხოლოდ იმ დათქმით, რომ მხარეები ამაზე მხოლოდ სამედიაციო საკითხის წარმოშობის შემდეგ შეთანხმდნენ.“³

სხელებული დანაწესები ერთობლიობაში იძლევიან ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას:

- განსხვავებით არბ-მედისგან საარბიტრაჟო წარმოების დაწყების დროისთვის მხარეებმა არ იციან, რომ საქმის განმხილველი პირი იქნება მათი მედიატორი;
- სამედიაციო საკითხი საარბიტრაჟო განხილვისას ან მისი დასრულების შემდგომ უნდა წარმოიშვას და ამდენად:
 - საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდგომ წარმოებული მედიაცია ზეგავლენას ვერ მოახდენს უკვე მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე;
 - საარბიტრაჟო განხილვის დასრულებამდე მიმდინარე მედიაციის დროს კი, არბიტრს, განსხვავებით არბ-მედისგან, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს;
 - მედიატორისა და არბიტრის როლებს შორის არსებობს მკაფიო ზღვარი და მათ შორის თავისუფლად ლავირება არბიტრს ამჟამინდელი რეგულირების პირობებში არ შეუძლია.

რაც შეეხება მედ-არბის ინსტიტუტის ნორმატიულ საფუძვლებს, რახან მედ-არბი გულისხმობს ჯერ მედიაციის სტადიას, რომელიც თავისი არსით ნებაყოფლობითია (როგორც პროცესში შესვლის, ისე მორიგების მიღწევის ნაწილში), ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში

¹ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1280, 01/01/2010, 38-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8>> [25.06.2023].

² „არბიტრთა ეთიკის კოდექსი“, მიღებულია 2013 წელს, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ, <<https://www.undp.org/ka/georgia/publications/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98-2020>> [25.06.2023].

³ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-1ს, 27/09/2019, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [25.06.2023].

საარბიტრაჟო განხილვის დაწყებას, ამ პროცესის წარმოებას ქართულ სამართლებრივ სივრცეში არაფერი ზღუდავს. მხარეები ისედაც გარანტირებულნი არიან შესაძლებლობით სამედიაციო განხილვის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, მათ შორის არსებული პრობლემის გადასაწყვეტად მიმართონ კანონმდებლობით განსაზღვრულ საშუალებებს - სასამართლოს ან არბიტრაჟს.

სწორედ ამიტომ, ნაშრომის ფარგლებში ძირითადი ყურადღება სწორედ მედ-არბს ეთმობა და არა მედიაციისა და არბიტრაჟის სხვა სინთეზურ პროდუქტებს.

2.4. მედ-არბის ფორმები

როგორც უკვე ითქვა, მედ-არბის ფუნქციონირების დიდი გამოცდილება საქართველოს არ აქვს,¹ ეს საკითხი ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაშიც ნაკლებგამოკვლევულად ითვლება. რახან წინამდებარე ნაშრომი (მათ შორის) ამ ჰიბრიდული მოდელის სამომავლო პერსპექტივის კვლევასაც ემსახურება, მიზანშეწონილია მედ-არბის ფორმებისა და იმ პრობლემური ასპექტების მიმოხილვა, რაც თითოეული მათგანის საქმიანობას უკავშირდება:

არათუ მედიაციისა და არბიტრაჟის კომბინაციას აქვს მრავალი სახე, არამედ თავად მედ-არბს მრავალი ფორმა აქვს: ამ ინსტიტუტის თავდაპირველ ვარიანტში² ერთი და იგივე ნეიტრალური სუბიექტი ითავსებდა/ითავსებს როგორც მედიატორის, ისე არბიტრის ფუნქციებს, ამგვარი წარმოება „ერთი და იმავე ნეიტრალური პირის მედ-არბის“ (Same-Neutral Med-Arb)³ სახელითაა ცნობილი.⁴ თუმცა, გარდა ამ კლასიკური მოდელისა, შესაძლოა, რომ მედიაციის და არბიტრაჟის პროცესი განსხვავებულმა პირებმა წარმართონ.⁵

მედ-არბის მთავარი ეთიკური დილემა სწორედ იმგვარ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც ერთი სუბიექტი ერთმანეთის მიყოლებით ითავსებს ან/და ლავირებს განსხვავებულ ფუნქციებს შორის. ამ კონცეფციის ფარგლებში მედიატორის ქცევა (როლებს შორის გრადაცია) „მედიატორის ქუდის მოხდის“⁶ ან „ორმაგი ქუდის“⁷ სახელით არის ცნობილი და მასთან მიმართებით სამართლებრივ დოქტრინაში არაერთგვაროვანი პოზიციები ფიქსირდება.

ცალსახა პასუხი იმაზე ერთმა პირმა უნდა წარმართოს მედ-არბის პროცესი თუ სხვადასხვა სუბიექტმა არ არსებობს, უნდა შეფასდეს რისკებისა და იმ უპირატესობების ურთიერთმიმართება რაც ამ ორ მოდელს ახასიათებს. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ რომ მედიაციისა და არბიტრაჟის ნებისმიერი კომბინაციის უპირატესობა ცალკე აღებული მედიაციის ან არბიტრაჟის პროცესთან მიმართებით ის არის, რომ მხარეებს აძლევენ

¹ ერთ-ერთი საარბიტრაჟო სასამართლო (Tbilisi Arbitration Institute) მედ-არბის სერვისს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს: <<https://www.taiarbitration.com/services#service-med-arbi>> [25.06.2023].

² მაგალითად, ტერმინი “Classic Same-neutral Med-Arb” გამოყენებულია ავტორთან - Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M Univeristy Chapter 10, 6-2021, 214.

³ მაგალითად, ტერმინი “Same-Neutral Med-Arb გამოყენებულია ავტორთან - Phillips F. G., Same-Neutral Med-Arb: What Does the Future Hold?, Dispute Resolution Journal - VOL. 60, NO. 2, May, 2005.

⁴ same-neutral med-arb-ის შესატყვისი ტერმინი ქართულ სამართლებრივ სივრცესა თუ იურიდიულ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება, ნაშრომში გამოყენებული ფორმულირება წარმოადგენს ამ ინსტიტუტის დამკვიდრების მცდელობას, მომავალში მისი სახელი შესაძლოა სხვა, ქართულ ენასთან უფრო თავსებადი ფორმით წარმოგვიდგეს.

გარდა ამისა, ერთი და იგივე ნეიტრალური პირის მიერ წარმართული მედ-არბის პროცესის აღსანიშნად, ნაშრომის ფარგლებში ასევე გამოყენებული იქნება ტერმინი: კლასიკური მედ-არბი.

⁵ Bartel, supra note 2, at 665-666, in: Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality when the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 320, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

⁶ Cristabel A., Arbitrator’s Dilemma: Troubles with the Same Person as Both Mediator and Arbitrator in Indonesia? Juris Gentum Law Review, vol. 7 (1), January 2020, 69.

⁷ ტერმინი “Double Hatting” გამოყენებულია ავტორთან Alper G., “Double Hatting” under Med-Arb: A Comparative Analysis, October 18, 2021, <<https://mediate.com/double-hatting-under-med-arb-a-comparative-analysis/>> [25.06.2023].

შესაძლებლობას თავადვე მიიღონ გადაწყვეტილება (მედიაცია), და ამასთან უზრუნველყოფს მათ გარანტიით, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს მიღმა იქნება მიღებული (არბიტრაჟი).¹

რაც შეეხება ქართულ მონესრიგებას, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია პირს აკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის ან იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი კი მხარეთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს კონკრეტულ საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის განმხილველი მედიატორის იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე არბიტრად დანიშვნას, ამასთან, იმ დათქმით, რომ მხარეთა შორის ამგვარი შეთანხმება მხოლოდ არბიტრაჟში დავის დაწყების შემდგომ გაფორმდება.

ამდენად, ქართველი კანონმდებლის მიერ დაშვებულია ერთი და იმავე ნეიტრალური პირის მიერ წარმატული მედ-არბის პროცესის შუალედური ვარიანტი, როდესაც მხარეებმა სამედიაციო პროცესის ფარგლებში არ იციან, რომ მედიატორი მათ საქმეზე შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების მიმღები იქნება (შესაძლოა იყოს).

ნაშრომის ფარგლებში უნდა შეფასდეს, ხომ არ დგას დღის წესრიგში ცვლილებების საჭიროება, კერძოდ, ხომ არ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მხარეებს, რომ თავიდანვე (სამედიაციო განხილვის ეტაპიდანვე) ერთი პირის მიერ წარმოებული პროცესი აირჩიონ, ან პირიქით, რამდენად არის რეკომენდირებული ამ მექანიზმის გამოყენება იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც ერთი და იმავე პირის მიერ წარმართულ მედ-არბს მოსდევს.

3. მედ-არბი და მედიაცია

და მაინც, რა არის მედ-არბი, როგორ უნდა სინთეზირდეს მედიაციის პროცესისთვის ნიშნული ნებაყოფლობითობისა და კონფიდენციალურობის პრინციპები საარბიტრაჟო განხილვის ფინალურ ბუნებასთან? ხომ არ დაემსგავსება ეს მოდელი ფრანკენშტეინის მონსტრს, სადაც სხვადასხვა პოლუსზე მდგომი მოცემულობები უწესრიგოდაა მიმოფანტული?

სტატიის ამ თავში მიმოხილულ იქნება მედ-არბის ორი ფუნდამენტური მოდელის დადებით და უარყოფით მხარეები და მათ მიმართება მედიაციის ძირითადი პრინციპების დაცვის გზაზე:

საქართველოში იმ დავების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც გადასაწყვეტად სასამართლოს გადაეცემა საკმაოდ მაღალია. მეორე მხრივ, ქართული საზოგადოება ხასიათდება ნდობის ღრმა დეფიციტით. ამ მოცემულობის პრიობებში მედიაციას შეუძლია დადებითი როლის თამაში:² მედიაცია, როგორც პროცესი ფორმირდა ისტორიული, სოციალური და კულტურული განვითარების შედეგად,³ ამდენად, განვითარებული მედიაცია სოციუმის განვითარების მაჩვენებლადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. მედიაციას დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მეთოდებისგან ის განარჩევს, რომ მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მხარეთა

¹ Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, *Arbitration Law Review*, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 224.

² ყანდაშვილი ი., მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომითი მედიაციის მაგალითზე, ჟურნ. „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში სტატიათა კრებული“, თბ. 2014, 200.

³ Batiashvili I., Confidentiality in Mediation in Resolving Property Disputes: Reality and Challenges, *International Journal of Law: Law and World*, N 21, March 2022, 2.

შორის არსებული უთანხმოების აღმოფხვრა მხარეების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობითვე.¹

მედიაციას მრავალი დადებითი მხარე აქვს, თუმცა ის გარემოება, რომ არ არსებობს უნიფიცირებული აქტი, რომელიც სამედიაციო მორიგების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებადობას უზრუნველყოფდა, მარტოოდენ მედიაციას სხვა პროცესებთან კომბინაციის გარეშე, აქცევს ნაკლებად ეფექტურ მექანიზმად საერთაშორისო კომერციული დავებისთვის.² სწორედ ამ „ნაკლის“ აღმოფხვრას ემსახურება ჰიბრიდულ მექანიზმში არბიტრაჟის ელემენტის ჩართვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მედ-არბისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებებისა, ამ ინსტიტუტის წარმატებული ფუნქციონირება შეუძლებელი იქნება შინაარსგამოცლილი, „კოჭლი“ მედიაციის პირობებში:

მედიაციის პოპულარობის ზრდა თავისთავად განაპირობებს იმ საკითხების ზრდასაც, რომლებიც შესაძლოა პრობლემურნი იყვნენ, მათ შორის აღსანიშნავია მედიატორის ქცევის წესები, იმ დებულებების დაცვის სტანდარტი, რომელსაც ეფუძნება სამედიაციო განხილვა:³ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი წუხილი რაც მედ-არბის პროცესთან დაკავშირებით ჩნდება უკავშირდება „კლასიკურ“/„ტიპიურ“ მედ-არბს, რომელშიც როგორც მედიატორის, ისე არბიტრის როლებს ერთი და იგივე სუბიექტი ითავსებს.⁴ კერძოდ, ამგვარი განხილვის დროს კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხი და ამასთან, წარმოიშობა რისკი იმისა, რომ მედიატორი, რომელიც შემდეგ არბიტრის მოსახსნამში უნდა გაეხვეს და საქმეზე მბოჭავი გადაწყვეტილება მიიღოს, ხომ არ იმოქმედებს მხარეებზე იმგვარად, რომ მათ „აიძულოს“ სამედიაციო შეთანხმების მიღწევა.⁵ იძულების ნაწილი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი ფუნდამენტური საყრდენისგან ცლის თავად მედიაციის პროცესს, რომლის მთავარი ხიბლი სწორედ რომ მისსავე პრინციპებშია.⁶

უარის თქმა „კლასიკური“ მოდელის მედ-არბზე არც ისე მარტივია, რადგან მას უდავოდ აქვს თავისი მკაფიო უპირატესობები: მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მედიაციის პროცესი უშედეგოდ დასრულდა, ე.ი. მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მათ აღარ უნევთ ახალი პირის მოძებნა, რომელიც მხარეებს შორის არსებულ დავას როგორც არბიტრი განიხილავს,⁷ ამასთან, დღის წესრიგში აღარ დგას დავის იმ პირისთვის განსახილველად გადაცემის საჭიროება, რომლისთვისაც მხარეთა შორის არსებული უთანხმოების არსი უცხოა და რომელსაც ხელახლა მოუწევს საკითხის შესწავლა.⁸

სტატიის ამ ნაწილის ფარგლებში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, მედ-არბის რომელი მოდელის პირობებში იქნება ყველაზე უკეთ მედიაციის ძირითადი ღირებულებები დაცული და გარანტირებული და ხომ არ დგას ამჟამინდელი ქართული რეგულირების ცვლილებების საჭიროება იმგვარად, რომ მხარეებს შეეძლოთ ჯერ კიდევ სამედიაციო განხილვის სტადიამდე შეთანხმდნენ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესების ერთი და იმავე პირის მიერ წარმართვაზე.

¹ *ყანაშვილი ი.*, მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომითი მედიაციის მაგალითზე, ჟურნ. „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში სტატიათა კრებული“, თბ. 2014, 200.

² *Nigmatullina D.*, Developing Efficient Dispute Resolution Solutions for International Commercial Disputes: Ways to Address Concerns Associated with the Combined Use of Mediation and Arbitration by the Same Neutral, This thesis is Presented for the Degree of Doctor of Philosophy in Law of The University of Western Australia, 2016, 36.

³ *კაკოიშვილი გ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ. 2020, 2.

⁴ *Telford E. M.*, Med-Arb: A Viable Dispute Resolution Alternative, Current Issues Series, Queen's University, 2011, 12, <https://irc.queensu.ca/wp-content/uploads/articles/articles_med-arb-a-viable-dispute-resolution-alternative.pdf> [25.06.2023].

⁵ *Batson Baril M., Dickey D.*, MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 4.

⁶ *ოჩონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 30.

⁷ *Gerald F. Phillips*, Same Neutral Med-Arb: What Does the Future Hold?, 60-JUL. DISP. RESOL. J. 2005, 24, 28, in: *Deason E. E.*, Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 219.

⁸ *Batson Baril M., Dickey D.*, MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 3.

3.1. კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტი მედ-არბის პროცესში

„როგორც ექიმთან, მღვდელთან, ფსიქოლოგთან ან ადვოკატთან, ასევე, მედიატორთან გამხელილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს გარეშე პირებისთვის ხელმისაწვდომი.“¹ იმის გამო, რომ, როგორც წესი, მხარეები საკუთარი სისუსტეების გამჟღავნებას შიშის თუ სირცხვილის გამო ერიდებიან, კონფიდენციალურობის პრინციპი უზრუნველყოფს მათ იმგვარი გარანტიით, რომ მაქსიმალურად შეამციროს მხარეთა მიერ მედიატორისთვის ინფორმაციის გაზიარების უხერხულობა.²

კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის დახურულ ბუნებას, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ძირითად სხვაობას სხვა, ფორმალურ წარმოებებთან. ამ პრინციპის მოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმგვარი დავების დროს, როდესაც უთანხმოება პირად ხასიათს ატარებს (მაგალითად, საოჯახო დავები), ასევე, თუ საკითხი ეხება კომერციულ საიდუმლოებას, რეპუტაციას ან წარმოიშობა იმგვარ სუბიექტებს შორის, რომლებსაც სამომავლოდაც სურთ ურთიერთობების გაგრძელება (მაგ. ბიზნესპარტნიორები).³

მკაფიოდ განერილია, რომ კონფიდენციალურობის პრინციპის არსი და მისი მოქმედების ფარგლები მედიატორმა მხარეებს პროცესის დაწყებისთანავე უნდა აცნობს.⁴ ამ ინფორმაციის ცოდნა მხარეებს კომუნიკაციის დაწყებასა და განვითარებაში ეხმარება.⁵

როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ლიტერატურაში მედიატორის როლსა და მოსამართლის თუ არბიტრის როლებს შორის მკაფიო წყალგამყოფი არსებობს:⁶ მედიატორის როლი არბიტრთან თუ მოსამართლესთან შედარებით მეტად სენსიტიურია, მხარეები უნდა ენდობოდნენ მას.⁷ ამას გარდა, თუ არბიტრი მოსამართლის მსგავსად აძლევს მხარეებს შესაძლებლობას წარადგინონ მტკიცებულებები, რომლითაც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს დაადასტურებენ,⁸ ამის საპირინონედ, მედიაციის პროცესში მედიატორს ფასილიტატორის ფუნქციები აქვს, იგი მხოლოდ ეხმარება მხარეებს საბოლოო კონსესუსამდე მისვლაში,⁹ იმგვარი შეთანხმების მიღწევაში, რაც მათ საჭიროებებს იქნება მორგებული.¹⁰ უფრო მეტიც მედიაციის მთავარი მიზანი მხარეთა მორიგება როდია. მედიაციის ფუნქცია მხარეთა ჭეშმარიტი ინტერესების გამორკვევა და იმის იდენტიფიცირებაა თუ რა დევს „დავის გულში“.¹¹ რაც, მათ შორის მედიაციის პროცესში

¹ წუდაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, დისერტაცია, თბ., 2016, 18.

² ბეჟაძე ს. კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული 2017“ თბ., 2017, 49.

³ ოჩკონიკიძე ე., მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 30.

⁴ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ (დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილს საერთო კრების მიერ), მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: მედიაციის პროცესის დაწყებისთანავე მედიატორმა მონაწილეებს უნდა გააცნოს როგორც პროცესის საერთო მიმდინარეობისას, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებზე მოქმედი კონფიდენციალურობის ფარგლები. ამასთან, მედიატორმა უნდა განუმარტოს მხარეებს კონფიდენციალურობის შეზღუდვის კანონითა თუ წინამდებარე ეთიკის კოდექსით დადგენილი საფუძვლები და ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების პირობები.

⁵ ბეჟაძე ს. კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული 2017“ თბ., 2017, 49.

⁶ Pilkerton Cairnie T., Pope J., Mediation Skills and Process, by the Northern Virginia Mediation Service, 2015, 2, <<https://nvmsus.files.wordpress.com/2016/01/complete-manual.pdf>> [25.06.2023].

⁷ Macmillan R., A Practical Guide for Mediators, July, 2012, 72, <<https://www.macmillankeck.pro/publications/>> [25.06.2023].

⁸ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 2.

⁹ იქვე.

¹⁰ Bondy V., Doyle M., Mediation in Judicial Review: A Practical Handbook for Lawyers, February, 2011, 11.

¹¹ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 2.

არაფორმალური საუბრებით მიიღწევა.¹ მხარეების მოლოდინი და რწმენა იმისა, რომ პროცესი არის კონფიდენციალური, აძლევს მათ შესაძლებლობას იყვნენ გულრფელნი.²

ალსანიშნავია ისიც, რომ კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ფარგლები ვრცელდება არა მხოლოდ მხარეთა საუბარზე, არამედ მედიაციის პროცესის სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის, იმგვარ ინფორმაციაზეც, რომელიც უშუალოდ შეხვედრის ფარგლებში იქმნება - მედიატორის ჩანაწერები თუ სხვაგვარი ვიზუალური მასალა, ასევე, ელექტრონული საშუალებებით მიწოდებული ინფორმაცია.³

მედიატორთა კონფიდენციულობის ვალდებულება განერილია აშშ-ს უნიფიცირებული კანონმდებლობის კომისიის მიერ შემუშავებული მედიაციის უნიფიცირებული აქტში,⁴ მე-7 მუხლში:⁵ განსხვავებით მედიატორის პრივილეგიისგან, რომელიც მას აძლევს უფლებას უარი თქვას მედიაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაციის გამხელაზე მაგალითად, სასამართლო წარმოების ფარგლებში, ეს ნორმა პირიქით, ავალდებულებს მედიატორს მესამე პირთა წინაშე არ გაამჟღავნოს ის, სამედიაციო პროცესის დროს შეიტყო მხარეებისგან.⁶

ალსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ნორმა საკითხს არ უყურებს მხოლოდ მედიატორის პერსპექტივიდან, ამავე დანაწესის (c) სექციის მიხედვით, მედიატორის მიერ კანონმდებლობის დარღვევით გაჟღერებული კომუნიკაცია არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადმინისტრაციული ორგანოს, სასამართლოს ან არბიტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამდენად, კონფიდენციალურობის დათქმით შებოჭილია როგორც პროცესის წარმართველი მედიატორი, ასევე, ამ პრინციპით გარკვეულწილად იზღუდება მოსამართლისა და არბიტრის ქმედებებიც.

აშშ-ში მიღებული მედიაციის უნიფიცირებული აქტი (რომელიც სახელის მიუხედავად არ წარმოადგენს საერთაშორისო აქტს) წინ უსწრებდა გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ 2002 წელს საერთაშორისო კონსილაციის შესახებ მიღებულ მოდელურ კანონს. ამ უკანასკნელის მე-9 მუხლი⁷ შეიცავს შემდეგი შინაარსის დებულებას: თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, ყველა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კონსილაციის პროცედურებს უნდა დარჩეს კონფიდენციალურად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამჟღავნება სავალდებულოა საკანონმდებლო მოთხოვნის ან მორიგების თაობაზე მიღწეული შეთანხმების აღსრულების მიზნით.⁸

¹ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 168, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

² Dobbins, supra note 2, 176, in: Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 321, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

³ Reichert K., Confidentiality in International Mediation, Dispute Resolution Journal, 2005, 62, in: ბეჩაძე ს. კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადული 2017“ თბ., 2017, 52.

⁴ ეს და ყოველი მომდევნო უცხოური სამართლებრივი აქტის დასახელება და შესაბამისი დებულება, გარდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა (BGB), თარგმნილია ავტორის მიერ.

⁵ ხსენებული აქტის მე-7 მუხლი ეძღვნება მედიატორისთვის აკრძალულ განცხადებებს, კერძოდ, ამ ნორმის (a) სექციის თანახმად, მედიატორს ეკრძალება გააკეთოს შეფასება, მისცეს დასკვნა ან რეკომენდაცია ნებისმიერ იმ ორგანოს, რომელსაც აქვს დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება (მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოები, სასამართლოები და სხვ), Uniform Mediation Act and Official Comments, 2003 J. Disp. Resol. (2003), <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol2003/iss1/4>> [25.06.2023].

⁶ იქვე, 45.

⁷ UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002 <<https://sccarbitrationinstitute.se/sites/default/files/2022-11/uncitral-model-law-on-international-commercial-conciliation-2002.pdf>> [25.06.2023].

⁸ სამედიაციო პროცესის კონფიდენციალურობის პრინციპი რეგულირებულია მედიაციატორთა ევროპული ქცევის კოდექსის მე-8 მუხლითაც.

European Code of Conduct for Mediation Providers მიღებულია EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ)-ს მიერ, 2018 წლის 4 დეკემბერს. <<https://rm.coe.int/cepej-2018-24-en-mediation-development-toolkit-european-code-of-conduc/1680901dc6>> [25.06.2023].

გარდა ამისა, კონფიდენციალურობის ვალდებულება განერილია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლითა¹ და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლით.

რამდენად შეიძლება იყოს ეს მოთხოვნები დაცული „კლასიკური“ მედ-არბის დროს ე.ი. იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მედიატორი და არბიტრი ერთი და იგივე პირია? როგორ უნდა ენდოს მხარე მედიაციის ფარგლებში მედიატორს და გაუმჟღავნოს გულწრფელად თავისი ემოციები და დაფარული განცდები იმის ცოდნის პირობებში, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში კეთილად მომღიმარი მედიატორი ძლევამოსილ არბიტრად გადაიქცევა და მის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს?

სამართლებრივ ლიტერატურაში ამ საკითხის მოგვარების თუ ვერა, პრობლემის სიმწვავის შემცირების რამდენიმე გზა შემოთავაზებული, მათ შორის, ერთ-ერთი მეთოდის თანახმად, მედიატორმა უარი უნდა თქვას ინდივიდუალური შეხვედრების წარმართვაზე და სამედიაციო პროცესი მარტოოდენ საერთო შეხვედრების ფორმატში წარმართოს.² მედ-არბის ეს მოდელი ცნობილია სრული (Plenary) მედ-არბის³-ის სახელით.

საგულისხმოა, რომ ამგვარი მიდგომა არათუ აუმჯობესებს, არამედ, პირიქით, აუარესებს მდგომარეობას, მედიაციას აცლის რა შინაარსს (ვერ იქნება რეალიზებული მხარეთა თვით-გამორკვევის პრინციპი) და მას აქცევს საარბიტრაჟო წარმოებისთვის მოსამზადებელ ერთგვარ ტრამპლინად:

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური წესები თუ როდის უნდა გამოიყენოს (ან საერთოდ უნდა გამოიყენოს თუ არა) მედიატორმა ინდივიდუალური შეხვედრები სამედიაციო განხილვის ფარგლებში, განერილი არ არის, როგორც წესი, ამგვარი შეხვედრების გარეშე მედიაციის ძირითადი ამოცანები მიღწეული არ არის, მედიატორმა უნდა გამოიყენოს თავისი უნარ-ჩვევები, რათა მიხვდეს თუ როდის არის ზუსტად საჭირო კერძო შეხვედრების ჩატარება.⁴

უხეში შედარება რომ მოვიხმოთ, მედ-არბის ფარგლებში წარმართული მედიაცია, რომელსაც არ ახლავს ინდივიდუალური შეხვედრები ემსგავსება სასამართლო სისტემისთვის ნიშნულ მოსამზადებელ სხდომას. ერთ-ერთი კომენტატორი ერთი და იგივე ნეიტრალური პირის მიერ წარმართულ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესს მოიხსენიებს არათუ მედ-არბად არამედ არბ-არბად, სადაც პირველი ეტაპი არის არამბოჭავი ბუნების მქონე საარბიტრაჟო განხილვა, ხოლო მეორე ეტაპი უკვე საქმეზე ფინალური შედეგის განმსაზღვრელი არბიტრაჟია.⁵

გარდა აღნიშნულისა, არსებობს მედ-არბის ასეთი სახე, მედ-არბი „თამაშიდან გასვლის“ დათქმით (Med-Arb-Opt-Out): ხსენებულ პროცესს იწყებს ერთი მედიატორი, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს არბიტრი. ამგვარი შეთანხმების პირობებში, მხარეებს სამედიაციო განხილვის დასრულების შემდგომ შეუძლიათ უარი თქვან ამ პირის მიერ საარბიტრაჟო პროცესის წარმართვაზე. ხსენებული მოდელის დადებითი მხარე ისაა, რომ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ გარანიტრებული ჰქონდეთ კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა, უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ დროის თვალსაზრისით დიდი ხანი შესაძლოა დასჭირდეს ცალკე მედია-

¹ კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში შეიძლება შეიზღუდოს წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, იხ. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-ილ, 27/09/2019, მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [25.06.2023].

² Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 177, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

³ Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M University Chapter 10, 6-2021, 216.

⁴ Macmillan R., A Practical Guide for Mediators, July, 2012, 55, <<https://www.macmillanck.com/publications/>> [25.06.2023].

⁵ Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 317, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

ტორის მოძიებას, მის მიერ საქმის მასალების გაცნობას, რაც დაკავშირებული იქნება თანხის დამატებით დანახარჯთან.¹

ასევე, აღსანიშნავია co-med-arb-ის ე.ი. თანადროული მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტი (ზოგჯერ მოიხსენიებენ overlapping მედ-არბიც),² რომლის ფარგლებშიც სანყის ეტაპზე მედიატორი და არბიტრი ერთდროულად ისმენენ მხარეთა პოზიციებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სამედიაციო პროცესი (რომელსაც მედიატორი უკვე არბიტრისგან დამოუკიდებლად წარმართავს) წარუმატებლად დასრულდა, განხილვაში ბრუნდება არბიტრი და იწყება საარბიტრაჟო წარმოება.³

ამ მოდელის პირობებში შესაძლოა დაბალანსდეს საქმის მასალების ხელახლა გაცნობის პრობლემა, ვინაიდან პროცესში მომავალი არბიტრი თავიდანვე ჩართულია და შესაბამისად, იცნობს მხარეთა პოზიციებსა და პრეტენზიებს. კონფიდენციალურობის ნაწილშიც მისი დასწრება არ ქმნის ტრაგიკულ მოცემულობას, იმის გათვალისწინებით, რომ არ აქვს წვდომა ინდივიდუალურ შეხვედრებსა და იქ გაჟღერებულ ინფორმაციაზე, თუმცა, მისმა ყოფნამ მედიაციის ფარგლებში მაინც შეიძლება დააზიანოს ეს პროცესი იმის გამო, რომ მხარეებმა იციან, ოთახში ის ადამიანია, რომელიც მათ ბედს განაგებს თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ. ეს არის ერთგვარი ზეწოლა მხარეებზე და ამასთან, იგი გახდის მათ ქცევას ხელოვნურს, რაც საბოლოო ჯამში იმის საფრთხეს წარმოშობს, რომ პროცესის მონაწილეთა ქცევამ ზეგავლენა იქონიოს არბიტრის შინაგან რწმენაზე და ამდენად, მის მიერ სამომავლოდ მისაღებ გადაწყვეტილებაზე.

კიდევ ერთი გზა, რომელიც სამართლებრივ ლიტერატურაშია შემოთავაზებული, შემდეგია: კონფიდენციალურობის პრინციპის ნებისთ (თუ უნებლიედ) დარღვევის რისკი პროფესიონალმა შეიძლება იმით დააზღვიოს, რომ მხარეებს თავიდანვე განუმარტოს კონფიდენციალობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ამასთანავე, აუხსნას შესაძლებლობა, რომ მედ-არბზე შეთანხმების ფარგლებში გაითვალისწინონ მედიაციის ფაზიდანვე საქმის შეწყვეტის დათქმა.⁴

რეალურად, ამგვარი დათქმის არსებობა აზრს აკარგვინებს მედ-არბის ინსტიტუტს და აქცევს ილუზორულ მოცემულობად, მედ-არბის მთავარი უპირატესობა ხომ მხარეთა ნების პრიმატი მდგომარეობს, რომლითაც პროცესის მონაწილეები მათი დავის სასამართლოს გარეთ გატანას ესწრაფვიან, თანაც იმგვარად, რომ საქმეზე შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. თუ მხარეს ექნება შესაძლებლობა მედიატორის (იმავ შემთხვევაში მომავალი არბიტრის) მიერ კონფიდენციალურობის პრინციპის დაუცველობის თაობაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში უბრალოდ გავიდეს მედიაციიდან და არ ჰქონდეს „დარდი“ იმისა, რომ საკითხი განსახილველად არბიტრაჟში გადაიციემა, მედ-არბზე შეთანხმება თავიდანვე აზრსმოკლებული ხდება.

3.2. მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი მედ-არბის პრიზმაში

ადამიანები, რომლებსაც კონფლიქტი აქვთ ერთი მხრივ, ეძებენ სამართლიან, თანმიმდევრულ, და იაფ გზებს საკუთარი უფლებების დასაცავად, ხოლო მეორე მხრივ, მათ წმინდად სამართლებრივი ინტერესების მიღმა ამოძრავებთ თვითგამოხატვის, მათი ქვეშაირი ინტერესების წარმოჩენის სურვილი. თვითგამოხატვის სურვილის რეალიზაცია მედიაციის პროცე-

¹ Shivam G., Med-Arb: A Novel ADR Approach, June 26, 2016, 6, <<https://ssrn.com/abstract=2800693>> [25.06.2023].

² Fullerton R., Med-Arb and its Variants: Ethical Issues for Parties and Neutrals, 65 Disp. Resol. J. 2010, 52, 57, in: Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M Univeristy Chapter 10, 6-2021, 215.

³ Sussman E., Developing an Effective Med-Arb/Arb-Med Process, The Neutral Corner, the Newsletter for Finra Neutrals, Volume 2 – 2018, 2.

⁴ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 5.

სისტვისაა დამახასიათებელი, მედ-არბის ინსტიტუტი კი ხსენებულს გადაწყვეტილების მბოჭავ ხასიათს უმატებს.¹

მსგავსად კონფიდენციალურობისა თვითგამორკვევაც მედიაციის ფუნდამენტურ ღირებულებად მიიჩნევა, რომელიც გავლენას დავის გადაწყვეტის მთლიან პროცესზე ახდენს.²

წარსულში ჩადენილ ქმედებათა გამო მხარის გაკიცვა, მისი ბრალეულობის განსაზღვრა სამედიაციო განხილვის მახასიათებელი არ არის, მედიაცია თავისი არსით წარსულის გამადიდებელი შუშით ჭვრეტა კი არა, მომავალზე ორიენტირებული პროცესია, იგი მხარეთა შორის არსებული არათუ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტას, არამედ მათ შორის ცივილური ურთიერთობების აღდგენასაც ემსახურება და სწორედ ამიტომ, მედიაციის ფარგლებში იმგვარი საკითხებიც იხილება, რაც შესაძლოა უშუალო შემხებლობაში არ იყოს დავის საგანთან.³ ამ კონტექსტში მედიაცია იმიჯნება ერთი მხრივ სასამართლოსგან, ხოლო მეორე მხრივ დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმებისგანაც: მედიაციის ძირითადი ფუნქცია მხოლოდ სასამართლო სისტემის გარეთ დავის გადაწყვეტა კი არ არის, არმედ იგი კონფლიქტის მხარეების აღქმის ძირეულ შეცვლას და დავის საერთო პრობლემად იდენტიფიცირებას ემსახურება.⁴

თვითგამორკვევის პრინციპი მოხსენიებულია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში, მედიაციის წარმართვის ფუძემდებლურ ღირებულებებს შორის. ხოლო, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი მედიატორს პროცესის მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე წარმართვის პირდაპირ ვალდებულებას აკისრებს.⁵

საკითხავია, როგორ უნდა იყოს მიღწეული ზემოაღნიშნული მიზანი ერთი და იმავე ნეიტრალური პირის მიერ წარმართულ მედ-არბის პროცესში, როდესაც არის რისკი იმისა, რომ მედიაცია მომავალი არბიტრისთვის თავის მოსაწონებელ ბრძოლის ველად გადაიქცეს.

კლასიკურ მედ-არბში, მედიაციის ფაზის დროსაც კი პროცის წარმმართველი იყენებს როგორც შეფასებით უნარებს, ისე ფასილიტატორულ თვისებებს, მაგალითისათვის, შეფასებითი ჩარევა შესაძლოა გამოიხატოს მხარეებისთვის მორიგების პირობების თაობაზე რჩევების, მათი პოზიციის (მყარი/სუსტი პოზიცია) შეფასებაში, მხარის გადაწყვეტილება კი იმის თაობაზე მოიქცეს თუ არა მედიატორის მიერ მითითებული გზის შესაბამისად, ნაკარნახევია არათუ მხარის თვითმყოფადი სურვილით, არამედ იმის შიშნარევი გაცნობიერებით, რომ პირი, რომელიც ახლა რჩევას აძლევს, მისი გაუთვალისწინებლობისა და მორიგებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ტრანსფორმირდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიმღებ არბიტრად.⁶ ამდენად, მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის სრულყოფილ რელიზებას იმის ცოდნა აფერხებს, რომ მათ წინ მდგომი ფასილიტატორი შეუთანხმებლობის შემთხვევაში სამართალშემფარდებლის მოსასხამში გაეხვევა.⁷ ყველაფერთან ერთად აუცილებელია, რომ თვითგამორკვევის პროცესში მედიატორის ძალისხმევით თავიდან იქნეს არიდებული რომე-

¹ იქვე, 1.

² წუღაია ო., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული 2017“, თბ., 2017, 253.

³ Faris A. J., An Analysis of the Theory and Principles of Alternative Dispute Resolution, Submitted in Accordance with the Requirements for the Degree of Doctor of Laws at the University of South Africa, June 1995, 171.

⁴ Pilkerton Cairnie T., Pope J., Mediation Skills and Process, by the Northern Virginia Mediation Service, 2015, 1, <<https://nvmsus.files.wordpress.com/2016/01/complete-manual.pdf>> [25.06.2023].

⁵ აქვე, აღსანიშნავია, რომ ამავე ნორმის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობას შემდეგნაირად განმარტავს: მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესის შესაბამისად მიიღონ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილება როგორც დავის შინაარსობრივ, ისე მედიაციის პროცედურულ საკითხებზე.

⁶ Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M University Chapter 10, 6-2021, 223.

⁷ Barsky A., “MED-ARB”: Behind the Closed Doors of a Hybrid Process, Family Court Review, 2013, 641.

ლიმე მხარის დომინანტური მდგომარეობა¹ და ამდენად, ამ პროცესში მომავალმა არბიტრმა საკუთარი პრეფერენციული დამოკიდებულებით არ უნდა გამოამჟღავნოს მომავალი გადაწყვეტილების კონტურები.

იმის ცოდნის პირობებში, რომ მომავალ არბიტრზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს მხარეთა დაფარულმა ინტერესებმა, მხარეებმა შეიძლება აირჩიონ ერთგვარი სტრატეგია, რომ არ გაამჟღავნონ ინფორმაცია პროცესის წარმართველთან.² ხსენებული მოცემულობა კი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის მხარეთა თვითგამორკვევის იდეასთან, სამედიაციო პროცესის ქვაკუთხედთან და უმთავრეს მიზანთან.

შესაძლოა გაჟღერდეს ამგვარი მოსაზრებაც, თვითგამორკვევის პრინციპის მიზანი ნაწილობრივ უკვე რეალიზებულია მედიაციის საწყის ეტაპზე იმით, რომ მხარეებმა თავადვე გადაწყვიტეს მედ-არბის პროცესში შესვლა, თავადვე შეთანხმდნენ იმაზე, რომ ორივე პროცესს ერთი და იგივე პირი წარმართავს. ამ მოსაზრების საპირწონედ უნდა ითქვას, რომ თვითგამორკვევის პრინციპი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე იმაზე გადაწყვეტილების მიღება თუ ვინ და რა პროცესი უნდა წარმართოს, ეს არის დავის საფუძვლის, პროვინების ინტერესის კვლევა, პროვინების ქმედების შინაგანი ლოგიკის განსაზღვრა, თანაც იმგვარად, რომ თავად მხარემ გააცნობიეროს რა სურს, რამ მოიყვანა აქამდე.³ ამდენად, თვითგამორკვევის პრინციპის საწყისი წერტილი უკავშირდება მედიაციის პროცესში შესვლაზე ფიქრს და სრულდება მედიაციის საბოლოო შედეგის დადგომით.⁴

სამართლებრივ ლიტერატურაში არის მოყვანილი ასეთი შედარებაც, ერთი და იმავე პირის მიერ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესების წარმართვა ემსგავსება შემთხვევას, როდესაც საქმის განმხილველ მოსამართლე საქმის გარემოებების გაცნობის შემდეგ როგორც ფასილიტატორი ხელმძღვანელობს მხარეთა მორიგების პირობებს, თუ მხარეები მორიგდებიან დღის წესრიგში აღარ იქნება შემდგომი სასამართლო განხილვის საჭიროება.⁵

ეს შედარება ვერ იქნება გაზიარებული, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო განხილვის დროს არ გვაქვს მხარეთა ინტერესების იმ დოზით გამოკვლევის ფაზა, როგორცაა მედიაციის პროცესის დროს, სასამართლო განხილვის პირობებში არ არსებობს ინდივიდუალური შეხვედრების ინსტიტუტი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსამართლესთან მხარეები სამართლებრივი არგუმენტაციითა და მტკიცებულებებით შეიარაღებულნი მიდიან, ხოლო მედიატორთან გულწრფელობის ამარა რჩებიან.

შესაძლოა იმგვარი კითხვაც გაჟღერდეს, რომ თუ მედ-არბის ინსტიტუტი ძირითადად მსხვილი კომერციული დავების გადასაწყვეტად იქნება გამოყენებული, რომლის ორივე მხარესაც კომპანიები სხედან და არა ცალკეული პიროვნებები, ექნება კი მას ის მნიშვნელობა, რაც ინდივიდებს შორის დავის დროს? პასუხია - დიახ. სამენარმეო სფეროშიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზრის აქტორთა შორის სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნება, ამ თვალსაზრისით კი მხარეებს სწორედ რომ თვითგამორკვევის პრინციპი ეხმარება.

¹ Nolan-Haley J., Self-determination in International Mediation: Some Preliminary Reflections, Fordham University School of Law, 2007, 3-4, in: *მაჩვევდაშვიდი თ.*, მედიაცია, როგორც პროფესია: ეთიკის მოდელები, პრინციპები და გამოწვევები დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადური 2017“, თბ., 2017, 169-170.

² Phillips, supra note 3, at 27, in: Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, *Arbitration Law Review*, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 224.

³ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ (დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილს საერთო კრების მიერ), მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში პირდაპირაა აღნიშნული თვითგამორკვევის პრინციპის მოქმედების ზღვარი, კერძოდ, ის, რომ მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი სრულად მოქმედებს მედიაციის ფარგლებში, მათ შორის, პროცესში მონაწილეობისა და სამედიაციო მორიგების მიღწევის ეტაპზეც.

⁴ *ოჩოხნიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 31.

⁵ Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in *School of law, Texas A&M University Chapter 10*, 6-2021, 214.

რთული სათქმელია თუ რა უპირატესობები შეიძლება მოიტანოს თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაციის კონტექსტში ერთი და იმავე ნეიტრალური სუბიექტის მიერ წარმოებულმა მედ-არბის პროცესმა.

3.3. ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვის სტანდარტი მედ-არბში

მედიაციის ფუნდამენტურ დებულებად მის კონსესუალურ ბუნებას განიხილავენ:¹ ნებაყოფლობითობის პრინციპი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად მედიაციის წარმმართველი ერთ-ერთი არსებითი დებულებაა, ხოლო, „მედიატორთა ეთიკის კოდექსი“ მე-4 მუხლში ნებაყოფლობითობის პოსტულატს თვითგამორკვევის პრინციპთან წყვილში განიხილავს.

მედ-არბში მედიაციისთვის ნიშნული ნებაყოფლობითობის პრინციპის მოქმედების ფარგლების განხილვამდე, მიზანშეწონილია, სავალდებულო სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის შინაარსის იდენტიფიცირებაც, ვინაიდან, ეს ორი მოდელი შესაძლოა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებდნენ:

კერძო მედიაციის დაწყების საფუძველი (ისევე როგორც მედ-არბის საფუძველი) მხარეთა შეთანხმებაა. კერძო მედიაციისგან იმიჯნება სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი, რომლის ფარგლებშიც მედიაციას საქმე განსახილველად შესაძლოა მოსამართლემ გადასცეს.² სასამართლო მედიაციას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური XXI¹-ე თავი ეძღვნება.

სასამართლოს მიერ მედიაციისთვის დავის განსახილველად გადაცემას მხარეთა თანხმობის გარეშე ხშირად სწორედ იმ არგუმენტით აკრიტიკებენ, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის ნებაყოფლობითობის პრინციპთან. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სავალდებულო მედიაცია თავისი არსით პროცესში მონაწილეობის დავალდებულებაა და არა მორიგების.³

რაც შეეხება მედ-არბს, არბიტრაჟის „საფრთხე“ არის სწორედ ის, რაც მედ-არბს განარჩევს მედიაციის ტრადიციული პროცესისგან. ეს „აიძულებს“ მედიაციის მხარეებს, რომ შეეცადონ მედიაციის ეტაპზევე მორიგებას.⁴

ტერმინები „საფრთხე“ და „იძულება“ მედიაციის ინსტიტუტთან ერთობლიობაში, როგორც მინიმუმ, უხერხულად ჟღერს. ხსენებული იმით ბალანსდება, რომ მხარეები ამ ურთიერთობაში ნებაყოფლობით შედიან. მედ-არბის მექანიზმის გამოყენებაზე მხარეთა მიერ ნებაყოფლობით მიღებული გადაწყვეტილება არსებითია, რადგან მედ-არბი არ არის „პანაცეა“, რომელიც ყველა ჩიხურ სიტუაციაში მხსნელად მოგვევლინება.⁵

ამდენად, ნებაყოფლობითობის ელემენტი მედ-არბში შენარჩუნებულია იმ გაგებით, რომ ამ პროცესში შესვლაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და მედიაციის სტადიაზე შეთანხმების მიღწევაც.

ნებაყოფლობითობის პრინციპისთვის რისკის შემცველად ერთი და იმავე ნეიტრალური პირის მიერ წარმოებული მედ-არბის ინსტიტუტი შეგვიძლია მივიჩნიოთ: მედიატორის (მომავალი არბიტრის) ქცევასა და სიტყვებზე დაკვირვებამ და მათთვის ნაკლებად ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების საფრთხემ მხარეებს შეიძლება უბიძგოს ამავე სტადიაზე იმგვა-

¹ Faris A. J., An Analysis of the Theory and Principles of Alternative Dispute Resolution, Submitted in Accordance with the Requirements for the Degree of Doctor of Lawys at the Univeristy of South Africa, June 1995, 170.

² ძაგნიძე ე., მედიაციის მონესრიგების ქართული მოდელი საკანონმდებლო რეფორმის ფონზე, მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში, თბ., 2021, 10.

³ წუღაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, დისერტაცია, თბ., 2016, 21.

⁴ Telford E. M., Med-Arb: A Viable Dispute Resolution Alternative, Current Issues Series, Queen's University, 2011, 3, <https://irc.queensu.ca/wp-content/uploads/articles/articles_med-arb-a-viable-dispute-resolution-alternative.pdf> [25.06.2023].

⁵ იქვე, 6.

რი შეთანხმების ფორმირებისკენ, რომელიც მთელი მოცულობით არ არის მათი ნების თავისუფალი გამოვლენის პროდუქტი.

მეორე მხრივ, შესაძლოა ერთი და იმავე პირის მიერ პროცესის წარმართვამ დადებითად იმოქმედოს მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევისკენ მიმართულ გზაზე: ცოდნა იმისა, რომ პირი, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმეზე მათივე მედიატორია, მხარეებს ხშირად უბიძგებს ხოლმე შეთანხმების მიღწევასკენ, შეთანხმება და მისი პირობები არის ის, რაც მათ ხელთაა, ხოლო არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რისკია, რომელზე წასვლაც არ სურთ.¹

აქ საკითხავია მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმება რამდენად არის მათი ნების შედეგი და მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე დადებითი ეფექტის მოხდენა კარგ მედიატორს ჩვეულებრივი სამედიაციო პროცესის ფარგლებშიც შეუძლია და ამისთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მხარეთა „დაშინება“ არ სჭირდება.

შესაბამისად, ამ კონტექსტშიც კლასიკური მედ-არბი უფრო მეტ რისკს ქმნის, ვიდრე სარგებელი მოაქვს.

3.4. მედიატორის მიუკერძოებელი ქცევის სტანდარტი მედ-არბში

მედ-არბის დადებითი და უარყოფითი მხარეები დამოკიდებულია ერთი მხრივ მასში მონაწილე მხარეებზე, მათ ღირებულებით სისტემასა და იმ მიზნებზე, რომლის მიღწევასაც ემსახურებიან ამ პროცესით და მეორე მხრივ პროცესის წარმართველი ნეიტრალური სუბიექტის პიროვნებაზე.² გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ნეიტრალურ სუბიექტზე პროცესის წარმატება მხოლოდ მაშინაა დამოკიდებული თუ იგი მონაწილეობს როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის სტადიაზე. უკიდურეს შემთხვევაში თუკი პროცესი გადაიზრდება არბიტრაჟში, სწორედ მედიატორმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ არბიტრაჟამდე საკითხი უკვე გაფილტრული მივიდეს.

მედიატორის დამოუკიდებლობის პრინციპი მოიაზრებს მის დამოუკიდებლობას არა მხოლოდ მხარეებისგან, არამედ ნებისმიერი მესამე პირისგან, მათ შორის სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებისგანაც.³

როგორც წესი, მედიატორის მიუკერძოებლობა ნეიტრალურობისა და დამოუკიდებლობის პოსტულატებთან ერთობლიობაში განიხილება.⁴ ამ კონსტრუქციებს შორის ის სხვაობაა, რომ თუ დამოუკიდებლობა და ნეიტრალურობა ობიექტური შეფასების კრიტერიუმია, მიუკერძოებლობა მხარეთა მხრიდან სუბიექტური აღქმის საგანია.⁵ მიუკერძოებლობის პრინციპზე, როგორც სამედიაციო პროცესის წარმართველ ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულებაზე მითითება გვხვდება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლსა და „მედიატორთა ეთიკის კოდექსის“ მე-2 მუხლშიც.

საინტერესოა როგორ ხორციელდება მედიატორის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა ერთი ნეიტრალური პირის მიერ წარმოებული პროცესის ფარგლებში: უდავოა, რომ საქმის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი პირის ყოფნა ოთახში მედიაციის პროცესს ხდის მეტად ფორმა-

¹ Phillips F. G., A Case Study Demonstrates How the Entertainment Business—and Everyone Else Can Benefit by Using Hybrid Med-Arb Processes, *Alternatives*, VOL. 25 NO. 4 April, 2007, 67.

² Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 3.

³ *ოჩოხრიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 35.

⁴ მაგალითად, მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი (European Code of Conduct for Mediation Providers) მე-5 მუხლში ერთობლივად მოიხსენიებს მედიატორის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის პრინციპებს.

<<https://rm.coe.int/cepej-2018-24-en-mediation-development-toolkit-european-code-of-conduc/1680901dc6>> [25.06.2023].

⁵ *ყანღაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი, თბ., 2018, 106.

ლიზებულს.¹ იმის გამო, რომ მედიატორმა მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში არბიტრის როლი უნდა მოირგოს, არის რისკი იმისა, რომ მომავალი არბიტრის გონებაში მისაღები გადაწყვეტილების კონტურები წინადაწინ, მედიაციის სტადიაზე იხაზება, იმდენად რამდენადაც, იგი წარმოდგენილ მტკიცებულებებს ქვრეტს არა მხოლოდ ფასილიტატორის თვალთ, არამედ „მოსამართლის მზერითაც“. შესაბამისად, არის ალბათობა იმისა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მას სწამს, რომ იქნება მიუკერძოებელი, მხარეებს შესაძლოა არ სჯეროდეთ ამისა და მიაჩნდეთ, რომ პროცესი იქნება უსამართლო.² მხარეთა ნდობას კი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, არსებითი მნიშვნელობა აქვს მედიაციის ეტაპზე შეთანხმების თუ ვერა, იმ მოცემულობის დადგომისთვის მაინც, რომლის პირობებშიც მხარეები ახდენენ არსებითი საკითხების ფილტრაციას და უკვე შემცირებული პრობლემებით მიდიან არბიტრაჟში.

ერთგვარი შუალედური დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთი პირის/ერთი ნეიტრალური სუბიექტის მიერ წარმართულ მედ-არბს არ შეუძლია სრული მოცულობით დააკმაყოფილოს მედიატორის მიუკერძოებლობის, მხარეთა თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპების მოთხოვნები.³

მედიაცია არ არის ბრძოლის ველი და არც მედიატორია კვარცხლბეკზე დაბრძანებული მითიური ღვთაება, რომელსაც ხელთ გამარჯვების სასწორი უპყრია. მედ-არბის პროცესში ინტეგრირებულმა მედიაციის ინსტიტუტმა ჰიბრიდული მოდელის თავისებურებების მიუხედავად (და ამ ინსტიტუტის მთავარი მიზნის მისაღწევადვე) არ უნდა დაკარგოს თავისი ძირეული ფუნქციები და არსებითი მახასიათებლები. მიმაჩნია, რომ ამ თვისებების შენარჩუნება ერთი სუბიექტის მიერ წარმოებულ მედ-არბის პროცესში ნაკლებად სავარაუდოა.

ამდენად, ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ „მედიაციის შესახებ საქართველოს კანონით შემოთავაზებული მოწესრიგება მედიაციის ძირითადი პრინციპების სრულყოფილად რეალიზაციის სადარაჯოზე დგას.

4. არბიტრაჟი და მედ-არბი

მსოფლიოში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მზარდმა ტენდენციამ ქართულ რეალობაზეც მოახდინა ზეგავლენა. მეტი ურთიერთობა, როგორც წესი, მეტ დავას ნიშნავს, დავების სიმრავლე კი მათ გადასაჭრელად უფრო მოქნილი და ოპტიმალური მექანიზმების შემუშავებას საჭიროებს. ამგვარ ინსტიტუტად არბიტრაჟი გვევლინება.⁴ თუმცა, არბიტრაჟი ნამდვილად არ არის თანამედროვე სამყაროს პირმშო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ისტორია ლიტერატურაში ნაკლებ გამოკვლეულად ითვლება, აღიარებულია, რომ არბიტრაჟის წარმოშობა თვით სასამართლოს წარმოშობას უსწრებდა წინ.⁵

დავის გადასაწყვეტად არბიტრაჟისთვის მიმართვა მთლიანად მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამგვარი შეთანხმების არსებობის პირობებში კი მხარეები, ფაქტობრივად, ნებაყოფლობით, სამოქალაქო სამართალში მოქმედი ნების ავტონომიის პრინციპის შესაბამისად, უარს ამბობენ ეროვნული სასამართლოს იურისდიქციაზე და ამასთან ისინი თავადვე განსაზღვრავენ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში გამოსაყენებელ წესებს და სწორედ ამიტომ, საარბიტრაჟო პროცედურა სახელმწიფო სასამართლოსთან შედარებით უფ-

¹ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 172, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

² Barsky A., "MED-ARB": Behind the Closed Doors of a Hybrid Process, Family Court Review, 2013, 641.

³ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 159, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

⁴ ელიზბაჩაშვილი თ., სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში ქართული კანონმდებლობის თანახმად, ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, 5.

⁵ Privatisierung rechtlicher Tätigkeit: Ersetzung staatlicher Gerichte durch private Schiedsgerichte?, Schütze, Rolf A. Ausgewählte Probleme des Deutschen und Internationalen Schiedsverfahrensrechts, s. 2, in: ცეხცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) თბ., 2008, 18.

რო სწრაფ და ნაკლებ ფორმალიზებულად მიიჩნევა,¹ არბიტრაჟის იდეალურ მოდელში იგი უზრუნველყოფს იმგვარ პროცესს, რომელშიც ტრადიციულ სამართალწარმოებასთან შედარებით გადაწყვეტილება ნაკლებ დროში იქნება მიღებული.²

თუ მოვიხიშთ უცხო ქვეყნების მაგალითს, აშშ-ში, სადაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმთაგან არბიტრაჟი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი პროცესია, იქ ზოგადად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები (ADR) ჰუმანიზმის, სოციალური კეთილდღეობის საკითხების გამო არიან უპირატესობამინიჭებულნი სასამართლო პროცესებთან მიმართებით, რომელიც ფორმალურობით, დეპერსონალიზაციითა და კვალიფიციური იურიდიული წარმომადგენლების საჭიროებით ხასიათდება.³

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ თანაცხოვრობენ მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტები მედ-არბის ქოლგის ქვეშ, მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ ამ მექანიზმებს შორის არსებულ ძირითად სხვაობებს: ზოგადად მიიჩნევა, რომ არბიტრაჟი და მედიაცია ორი სრულიად განსხვავებული მოცემულობაა: განსხვავებით მედიაციისგან, რომელიც მხარეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და სამომავლო მიზნებზეა ორიენტირებული,⁴ არბიტრაჟი სასამართლოს მსგავსად მხარეთა მოთხოვნების საკანონმდებლო საფუძვლებს იკვლევს, არბიტრი პროცესს წარმართავს, ანალიზებს ფაქტებს და ფაქტების სამტკიცებლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, იყენებს საკანონმდებლო დანაწესებს და მათ საფუძველზე იღებს ფინალურ გადაწყვეტილებას, სწორედ ამიტომ საარბიტრაჟო განხილვას (სასამართლო წარმოებაზე ნაკლები, მაგრამ) მედიაციასთან შედარებით ფორმალობის უფრო მაღალი ხარისხი გააჩნია, რაც შეეხება მედიატორს, მედიატორი მხარეებს მათი დაფარული სურვილებისა და განზრახვების იდენტიფიცირებაში და მორიგების გზაზე არსებული მენტალური ბარიერის გადალახვაში ეხმარება. შესაბამისად მედიატორი ამჟღავნებს მსგავსებას ფსიქოლოგთან, ხოლო არბიტრი მოსამართლესთან.⁵

პროცედურის მოქნილობის პარალელურად არბიტრაჟის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად და მედიაციისგან განმასხვავებელ ძირითად ნიშნად ის მიიჩნევა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს მბოჭავი ბუნება აქვს და ამდენად, შესასრულებლად სავალდებულოა.⁶

მიუხედავად უპირატესობებისა, არბიტრაჟის ინსტიტუტის მოქმედებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მას აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ, პრაქტიკაში საარბიტრაჟო წარმოება როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში საკმაოდ დიდ დროსა და თანხასთანაა დაკავშირებული. არბიტრაჟის მთავარი უპირატესობებად რჩება ნეიტრალურობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების მოქმედება, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შესასრულებლად სავალდებულო ბუნება.

ერთი ნეიტრალური პირის მიერ წარმართული მედ-არბის პროცესის მთავარ უპირატესობად კაგელის მიხედვით ის მიიჩნევა, რომ არბიტრაჟში მიღებული გადაწყვეტილება მეტად რეალური, მეტად განხორციელებადია, ვინაიდან, მედიაციის ფაზაგამოვლილი არბიტრი უკეთაა ინფორმირებული მხარეებზე, მათ მთავარ სურვილებსა და ძირითად ინტერესებზე. თუმცა, ხსენებული არგუმენტი არაერთგვაროვან გამოხმაურებას იწვევს, იმის გამო, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაძლოა, მედიაციის პროცესის ფარგლებში ფორმირებული შეხედულებებით იყოს ნაკარნახევი და არა სამართლის ნორმებით.⁷ ამდენად, სა-

¹ ფიცხელაუხი ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015, 65.

² Elrod D. L., The Need for Confidentiality in Evaluative Processes: Arbitration and MED/ARB in Family Law Cases, Family Court Review, Vol. 58 No. 1, January 2020, 27.

³ Shivam G., 'Med-Arb': A Novel ADR Approach, June 26, 2016, 2, <<https://ssrn.com/abstract=2800693>> [25.06.2023].

⁴ Pilkerton Cairnie T., Pope J., Mediation Skills and Process, by the Northern Virginia Mediation Service, 2015, 2, <<https://nvmsus.files.wordpress.com/2016/01/complete-manual.pdf>> [25.06.2023].

⁵ Sussman E., Developing an Effective Med-Arb/Arb-Med Process, The Neutral Corner, the Newsletter for Finra Neutrals, Volume 2 – 2018, 3.

⁶ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 1.

⁷ Banaitis, NG., Construction Mediation and its Hybridization in Hong Kong, Organization, Technology and Management in Construction, 2017, 1534.

არბიტრაჟო განხილვის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა მეტად „მგრძობიარე“ გახდეს, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები მედიაციაში მეტად გახსნილები არიან, თავისუფლად ესაუბრებიან მედიატორს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს არბიტრზე.¹

სწორედ ამიტომ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას თუ მედ-არბის რომელ მოდელში იქნება გარანტირებული საარბიტრაჟო განხილვისთვის დამახასიათებელი ნეიტრალურობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვა და რამდენად ღირს ამ პრინციპების მოქმედების რისკის ქვეშ დაყენება იმ უპირატესობების სანაცვლოდ, რასაც ერთი და იგივე სუბიექტის მიერ წარმართული მედ-არბის პროცესი გთავაზობს:

4.1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მედ-არბში

ბერგერის მიხედვით, არბიტრაჟი მიიჩნევა დავის გადაწყვეტის იმგვარ მექანიზმად, რომელიც მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე იქნება და რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო. ამასთან, გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი პროცესის შედეგად და უნდა ექვემდებარებოდეს იძულებით აღსრულებას.² შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულებაა: არბიტრაჟის პროცესში გარანტირებულია მხარეთა შესაძლებლობა, რომ იყვნენ მოსმენილნი და მოეპყრნან თანასწორად.³

საერთაშორისო არბიტრაჟის სამყაროში, მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ (როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, ნიუ იორკის კონვენცია) მთავარ მამოძრავებელ ძალად და ქვაკუთხედად მიიჩნევა⁴ საარბიტრაჟო ინსტიტუტების, დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრებისა და სამართლის განვითარებისთვის.⁵ სწორედ ამ კონვენციას ეყრდნობა „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი“,⁶ რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში 2010 წლიდან მოქმედებს და რომელმაც „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის კანონი ჩაანაცვლა:⁷ ამ კანონის პროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „არბიტრაჟის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება განაპირობა ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის აუცილებლობამ.“⁸

თანასწორობის უფლება განმტკიცებულია „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელურ კანონში,⁹ მე-18 მუხლში, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, მხარეებს უნდა

¹ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 171, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

² Berger, Klaus P., Private dispute resolution in international business negotiation, mediation, arbitration, volume II case study Kluwer Law International, 2006, 297, in: ცეხცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 20.

³ Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 226.

⁴ მოქია ი., საარბიტრაჟო აარბიტრაჟო გადაწყვეტილების ადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, დეკემბერი, 2019, 88.

⁵ Kaster A. L., Will There Be a Vast Worldwide Expansion of Mediation for International Disputes?, Alternatives to the High Cost of Litigation, Vol. 33 No. 8 September 2015, 120.

⁶ თითბეჩიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2020, 6.

⁷ ჭანკვეტაძე ს., არბიტრაჟის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2020, 22.

⁸ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 1, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/107970>> [25.06.2023].

⁹ UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration,

მოეპყრნან თანასწორად და თითოეული მხარისთვის უნდა იყოს გარანტირებული უფლება პროცესზე წარმომადგენლობისა.

საარბიტრაჟო განხილვაში მხარეთა თანასწორობის უფლება განმტკიცებულია სხვა ქვეყნების კანონმდებლობებშიც,¹ ხოლო, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულება, საარბიტრაჟო წარმოების მხარეთა თანასწორობა მე-3 მუხლშია ფიქსირებული. ამ პრინციპის ფუნდამენტურ ბუნებაზე ისიც მიუთითებს, რომ მისი დარღვევა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი ხდება.²

მხარეთა თანასწორობის უფლება, მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი ამ დებულებისა რეალიზდება იმით, რომ მხარეები გარანტირებულნი არიან შესაძლებლობით მათ წინააღმდეგ წაყენებულ მოთხოვნებზე წარადგინონ პასუხი, საარბიტრაჟო შესაგებელი. დაურთონ მას სათანადო მტკიცებულებები და სამართლებრივი არგუმენტაცია.³ ამდენად, თანასწორობის უფლების რეალიზაციის არსებითი წინაპირობა არის ის, რომ მხარეებმა იცოდნენ თუ რა დოკუმენტაცია და რომელი მტკიცებულებები მიდის არბიტრამდე.

საინტერესოა, როგორ უნდა განხორციელდეს თანასწორობის პრინციპი არბიტრაჟის პროცესში სამედიაციო განხილვის შემდგომ, რომლისთვისაც დამახასიათებელია კონფიდენციალურობის პრინციპით დაცული ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც მხარეები მედიატორს (და ერთი სუბიექტის მიერ წარმართული მედ-არბის შემთხვევაში, საქმეზე მომავალ არბიტრს) ესაუბრებიან გულწრფელად და შესაძლოა გაანდონ იმგვარი ინფორმაცია, რასაც არ გაამჟღავნებდნენ საერთო შეხვედრის ფარგლებში:

იმის გამო, რომ მედიაციისთვის ნიშნულია ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა შინაარსი უცნობია მეორე მხარისთვის,⁴ ლოგიკურია, რომ მხარეები ვერ წარადგენენ შედავებას იმ არგუმენტაციის წინააღმდეგ, რომლებიც მათ წინაშე არ გაჟღერებულა და არ მოუსმენიათ⁵ და იმ ფაქტის გამოც, რომ მედიაციაში მოქმედი კონფიდენციალურობის პრინციპი მედიატორს მთელი ცხოვრების მანძილზე უკრძალავს მხარისგან მიღებული ინფორმაციის სხვისთვის გაზიარებას, გამოდის, რომ მედიაციისთვის ფუნდამენტური კონფიდენციალურობისა და არბიტრაჟისთვის დამახასიათებელი მთავარი პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პოსტულატი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.⁶

რა არის ის ბერკეტი, რომლითაც შესაძლოა დავაზღვიოთ მხარეთა თანასწორობის პრინციპი ერთი პირის მიერ წარმართული მედ-არბის პროცესში? ზემოთ უკვე იყო საუბარი მედ-არბის ქვესახეებზე, რომლებიც იმისთვის ფორმირდა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული რიგი პრობლემებისა, თუმცა, თითოეული ეს მოდელი ან არბიტრაჟს უკარგავს აზრს, ან მედიაციას.

შესაძლოა გაჟღერდეს მოსაზრება, რომ მედ-არბი თავისი არსით არის წინააღმდეგობრივი ინსტიტუტი და იმისთვის, რომ ამ პროცესის ფარგლებში წარმატებას მივაღწიოთ, უნდა შეგვეძლოს „შეველიოთ“ რომელიმე პრინციპის უპირობო, უხარვეზო მოქმედებას.

ეს შესაძლოა მართლაც ასეა, მაგრამ თუ ჩვენი ნებითვე გამოვემშვიდობეთ იმ დებულებებს, რომლებიც ცალკე აღებული მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტებს სძენენ იმ ხიბლს და ეფექტურობას, რაც მათ აქვთ, რაღა აზრი ექნება მედ-არბის პროცესის წარმართვას?

<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [25.06.2023].

¹ მაგალითად, 33-ე მუხლი ინგლისის საარბიტრაჟო აქტისა (Arbitration Act 1996), <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/33>> [25.06.2023].

² თითბეხიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ. 2020, 33.

³ იქვე, 32.

⁴ Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 226.

⁵ Sussman E., Developing an Effective Med-Arb/Arb-Med Process, The Neutral Corner, the Newsletter for Finra Neutrals, Volume 2 – 2018, 1.

⁶ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 175, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

მაგალითად, ერთი და იმავე პირის მიერ წარმართული მედ-არბის პროცესში წარმოქმნილი მხარეთა თანასწორობის პრობლემის საკმაოდ არაორდინალური გადაწყვეტაა შემოთავაზებული ჰონგ-კონგის მიერ¹ - კერძოდ,² „განკარგულება არბიტრაჟთან დაკავშირებული კანონის რეფორმირებისა და მისი თანმდევი და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის შესახებ“-ის მე-2 კარი ეხება უშუალოდ მედიატორებს, ამ კარის 33-ე მუხლის სახელწოდებაა „არბიტრის უფლებამოსილება, რომ იმოქმედოს როგორც მედიატორმა“. მითითებული ნორმის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ არბიტრმა, რომელიც სამედიაციო განხილვის ფარგლებში მოქმედებდა როგორც მედიატორი, მხარისგან მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია და სამედიაციო განხილვა დასრულდა უშედეგოდ (ე.ი. მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას), არბიტრმა იქამდე სანამ განაახლებს საარბიტრაჟო პროცედურას, უნდა გაანდოს მხარეებს (ყველა მხარეს) იმდენი კონფიდენციალური ინფორმაცია, რამდენსაც იგი არსებითად ჩათვლის საარბიტრაჟო წარმოებისთვის.

ამ მოცემულობის დაშვების ფარგლებში, საფრთხის ქვეშ დგება მედიაციის პროცესის ფუნდამენტი. სწორედ ამიტომ, ეს მოდელი ვერ იქნება (და არ უნდა იყოს) გაზიარებული ქართველი კანონმდებლის მიერ სამომავლოდ.

მხარეთა თანასწორობის კონტექსტში, ერთი სუბიექტის მიერ წარმოებული მედ-არბის ფარგლებში უნდა ითქვას, რომ მხარეებს „თავის დასაცავად“ და თანასწორობის უზრუნველსაყოფად ერთი ის გზა რჩებათ, რომ ენდონ თავის მიერვე არჩეულ არბიტრს და იმედოვნონ, რომ მის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს სამედიაციო პროცესის ფარგლებში, ინდივიდუალური შეხვედრებისას მხარეებისგან მიერ მიღებული ინფორმაცია.

ამ პროცესის ნეიტრალური პირის გამძლეობაზე მიგდება მხარეებისთვის საკმარისი გარანტია ვერ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობის პრინციპის დარღვევა მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობად გვევლინება, რთული (და თითქმის წარმოუდგენელიც) იქნება მხარის მიერ იმის მტკიცება, რომ არბიტრმა თანასწორობის პრინციპი დაარღვია, მითუფრო იმ პირობებში, რომ ამგვარი პროცესის წარმართვაზე მათ თავადვე განაცხადეს თანხმობა.

ამრიგად, ნეიტრალური მხარე არ (და ვერც) უზრუნველყოფს იმას, რომ საარბიტრაჟო განხილვის პროცესი პროცედურულად სამართლიან გარემოში წარიმართოს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ საარბიტრაჟო განხილვის სამართლიანად წარმართვის პრინციპი, ისევე როგორც განხილვის მთლიანობა (integrity) ვერ იქნება უზრუნველყოფილი.³

ამის საპირწონედ კი, სხვადასხვა პირის მიერ წარმოებულ მედ-არბში თანასწორობის უფლების რეალიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. შესაბამისად, სანამ მხარეები „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში შეთანხმდებიან სამედიაციო საკითხის განმხილველი მედიატორის იმავე საქმეზე არბიტრად დანიშნაზე, უნდა დაფიქრდნენ თუ რა უარყოფითი სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ ყოველივემ მედ-არბის პროცესში, არბიტრაჟის ფაზაში მხარეთა თანასწორობის უფლების რეალიზაციისთვის.

4.2. არბიტრის მიუკერძოებლობის პრინციპი მედ-არბში

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც არბიტრაჟს გააჩნია ეს არის დამოუკიდებელი მესამე პირის/პირების მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც სახელმწიფოს

¹ Finn M., Remaining the Dispute Resolution Epicentre: is Med-Arb in Europe's future? Construction Law International, Vol 16, ISSUE 1, March 2021, 20.

² An Ordinance to Reform the Law Relating to Arbitration, and to Provide for Related and Consequential Matters, <https://www.elegislation.gov.hk/hk/cap609?xid=ID_1438403520790_001> [25.06.2023].

³ Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M University Chapter 10, 6-2021, 230.

მიერ არჩეული ან დანიშნული არ არის, არამედ იგი არჩეულია უშუალოდ დავის მონაწილე მხარეთა მიერ, რაც ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან მასზე ზეგავლენის მოხდენის რისკს.¹

საინტერესოა, როგორ უნდა იქნეს დაცული არბიტრის მიუკერძოებლობის ვალდებულება იმ პროცესში, სადაც იგი მედიატორად მონაწილეობდა და თითოეული მხარისგან დამოუკიდებლად აქვს მოსმენილი იმგვარი ინფორმაცია, რაც მეორე მხარემ არ იცის და ვერც ეცოდინება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმის განმხილველი პირი თვლის, რომ მიღებულ ინფორმაციას არ შეუძლია მასზე გავლენის მოხდენა, ინფორმაცია ირიბად მაინც მოქმედებს მის შინაგან რწმენაზე და ამდენად, მიღებულ გადაწყვეტილებაზე.² კოგნიტური ფსიქოლოგიის სწავლების მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი თუ ნეიტრალური სუბიექტი ფიქრობს, რომ მას შეუძლია გვერდით გადადოს მიღებული ცოდნა, ეს ცნობები ინკორპორირდება მის გონებაში.³ უფრო მეტიც, იმის გამო, რომ ინფორმაცია გონებაში ძალიან სწრაფად ხარისხდება და ინახება, წინარე გარემოებებმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს იმაზე თუ როგორ იქნება ინტერპრეტირებული შემდგომ პერიოდში მიღებული ცნობები.⁴

ერთი და იმავე პირის მიერ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესების წარმართვა ნეიტრალურ სუბიექტს მხარეთა თვალში აქცევს მოსამართლედ, რომელსაც მხარეები და მათი წარმომადგენლები ყურადღებით აკვირდებიან და ცდილობენ მის თითოეულ ქცევაში ამოიკითხონ საბოლოო გადაწყვეტილების მონახაზი.⁵ ამერიკის არბიტრთა ასოციაციაც გარკვეულწილად ეხმიანება ამ შემოთვლას და აღნიშნავს, რომ გარდა არაორდინალური სიტუაციებისა, პროცედურა, სადაც ერთი და იგივე პირი ითავსებს მედიატორისა და არბიტრის როლს, არ უნდა განხორციელდეს. ვინაიდან, ამგვარ მოდელში მცირდება მხარეთა გულწრფელობის ხარისხი.⁶ ნაცვლად იმისა, რომ მხარეებმა მედიატორს გაუზიარონ „სასირცხვო“ ინფორმაცია ან დაფარული მოტივები, ყოველი მხარე შესაძლოა ეცადოს იმას, რომ აჩვენონ მედიატორს (მომავალ არბიტრს) თუ როგორი კარგია თავად და როგორი ცუდია მოწინააღმდეგე მხარე⁷ და ამ გზით მოიპოვონ საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები პირის სიმპათია.⁸ ამით, შეიძლება დაიკარგოს არბიტრის მიმართ მიუკერძოებლობის რწმენა.

ეს ნაწილი ქართულ სამართლებრივ რეალობას ნაკლებად ემუქრება, ვინაიდან, ამჟამინდელი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში მხარეებმა ჯერ ისევ არ იციან, მათი მედიატორი მათივე საქმის განმხილველ არბიტრად რომ შეიძლება იქცეს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს არ აზღვევს იმის ალბათობას, რომ არბიტრმა ვერ შეძლოს მიუკერძოებლობის პრინციპის რეალიზაცია და მხარეებსაც გაუჩნდეთ ამგვარი ეჭვი.

თუ თვალს გადავავლებთ უცხოურ საკანონმდებლო მოწესრიგებს, ვნახავთ, რომ მაგ., აშშ-ს შტატის, ონტარიოს მიერ მიღებული საარბიტრაჟო აქტის⁹ 35-ე პარაგრაფი კრძალავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრების მიერ არბიტრაჟის რომელიმე სტადიის წარმართვას და მის დამგავსებას მედიაციის ან მორიგების პროცედურებისადმი, რაც შეიძლება არღვევდეს არბიტრაჟის უნარს, რომ დავა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად.

¹ Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, 5, in: *მაჩაიძე მ.*, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, თბ., 2019, 17.

² *Wistrich J. A., et al., Can Judges Ignore Inadmissible Information? The Difficulty of Deliberately Disregarding*, 153 U. PA. L.REV. 2005, 1269–70, in: *Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution*, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 159, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

³ *Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review*, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 220.

⁴ იქვე, 229.

⁵ *Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution*, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 184, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].

⁶ *Blankley K., Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case*, Baylor Law Review, Forthcoming, March 23, 2011, 333, <<https://ssrn.com/abstract=1793515>> [25.06.2023].

⁷ *Barsky A., "MED-ARB": Behind the Closed Doors of a Hybrid Process*, Family Court Review, 2013, 642.

⁸ *Elrod D. L., The Need for Confidentiality in Evaluative Processes: Arbitration and MED/ARB in Family Law Cases*, Family Court Review, Vol. 58 No. 1, January 2020, 35.

⁹ Arbitration Act, 1991, <<https://www.ontario.ca/laws/statute/91a17#BK42>> [25.06.2023].

გარდა ამისა, ერთი და იმავე პირის მიერ წარმართული პროცესის საწინააღმდეგო არგუმენტაცია შესაძლოა ამოვიკითხოთ ცალკეულ აქტებში, მაგალითად, არბიტრების ეთიკური კოდექსები, მათ შორის ABA¹ და ამერიკის არბიტრთა ასოციაციის (“AAA”) ეთიკის კოდექსი² კომერციული არბიტრებისთვის და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (“IBA”) ეთიკის წესები³ საერთაშორისო არბიტრებისთვის, კრძალავს მხარეებთან ex parte კომუნიკაციას.⁴ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის თაობაზე დათქმას შეიცავს ასევე საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ შემუშავებული „არბიტრთა ეთიკის კოდექსის მე-3 პრინციპი.“⁵

Ex parte კომუნიკაციის მახასიათებლებს ერთი და იმავე სუბიექტის მიერ წარმოებულ მედ-არბის პროცესში ქმნის სამედიაციო განხილვის დროს მიმდინარე ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა შინაარსზეც მოწინააღმდეგე მხარეს წვდომა არ აქვს.

რაც შეეხება პრაქტიკოსების მოსაზრებებს, მაგალითად, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოუწოდებს პროფესიულ საზოგადოებას, რომ თავიდან აირიდონ იმგვარი მედ-არბის პროცესი, სადაც ერთი და იგივე პირი ითავსებს როლებს: თუ მედიაციის ეტაპზე მორიგება ვერ ხდება, ზოგჯერ მედიატორი ისე იცვლის ქუდს და გადააჰყავს საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე საქმე, რომ დამატებით მოსმენებს არც კი ატარებს.⁶ ფაქტობრივად, ამერიკის არბიტრთა ასოციაცია რეკომენდაციას უწევს სხვა პირის მიერ საარბიტრაჟო განხილვის წარმართვას.⁷

ხსენებულ მოსაზრებას ეთანხმებიან რიგი მკვლევარებიც: თუ სამედიაციო განხილვა არ დასრულდა მორიგებით და გადაიზარდა სასამართლო წარმოებაში ან დავის გადანაცვების სხვა მექანიზმში, მედიატორისთვის შესაფერისი არ არის რომ მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.⁸

ამდენად, ერთი და იმავე პირის მიერ წარმართული მედ-არბის პროცესი წარმოშობს ორსაფეხურიან მიუკერძოებლობის პრობლემას, მედიაციის სტადიაზე მედიატორის, არბიტრაჟის განხილვაზე კი არბიტრის როლისთვის.

ამავე კონტექსტში უნდა შეფასდეს ხომ არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე ბერკეტი, რომლის ფარგლებშიც მხარეები შეძლებენ არბიტრის შეცვლას, თუ კლასიკური მედ-არბის ფარგლებში გაუჩნდებათ რაიმე ეჭვი მისი მიუკერძოებლობის თაობაზე?

ამგვარი მექანიზმი შესაძლოა იყოს არბიტრის აცილების შესაძლებლობა.

4.2.1. არბიტრის აცილების საკითხი მედ-არბის პროცესში

ერთი მხრივ, კანონმდებლობით გარანტირებულია არბიტრის აცილების შესაძლებლობა, თუმცა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

- ¹ ABA Code of Ethics for Commercial Arbitrators, Canon III <<https://www.finra.org/media/document/94>> [25.06.2023].
- ² Commercial Disputes Arbitration Rules and Mediation Procedures, R-20 “Communication with Arbitrator” <https://www.adr.org/sites/default/files/CommercialRules_Web_0.pdf> [25.06.2023].
- ³ IBA Rules of Ethics for International Arbitrators, მუხლი 5.3, <https://www.trans-lex.org/701100/_/iba-rules-of-ethics-for-international-arbitrators-1987/> [25.06.2023].
- ⁴ Pappas B., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, No. 1, 2015, 175, <<https://ssrn.com/abstract=4102353>> [25.06.2023].
- ⁵ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია „არბიტრთა ეთიკის კოდექსი“, მიღებულია 2013 წელს, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ, <<https://www.undp.org/ka/georgia/publications/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98-2020>> [25.06.2023].
- ⁶ Yamshon D., Drafting the Arbitration Clause, Construction ADR, published by the American Bar Association Construction Industry Forum, 2014, 4, <<https://www.americanbar.org/content/dam/aba-cms-dotorg/products/inv/book/215679/Chapter%20One.pdf>> [25.06.2023].
- ⁷ Elrod D. L., The Need for Confidentiality in Evaluative Processes: Arbitration and MED/ARB in Family Law Cases, Family Court Review, Vol. 58 No. 1, January 2020, 34.
- ⁸ Bondy V., Doyle M., Mediation in Judicial Review: A Practical Handbook for Lawyers, February, 2011, 13.

მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

იმის გამო, რომ ერთი და იმავე პირის მიერ მედ-არბის პროცესის წარმართვაზე გადაწყვეტილებას მხარეები თავადვე იღებენ (როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ქართული მონესრიგების პირობებში, მედიატორის დანიშვნა არბიტრად მხარეებს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ, რაც საარბიტრაჟო პროცედურებს დაიწყებენ. ამასთანავე ისინი თავიანთ ნებას მკაფიოდ, ნერილობითი ფორმით აფიქსირებენ) და ზემოაღნიშნულ რისკებსაც თავიანთი თავისუფალი ნების საფუძველზე ტვირთულობენ, მართოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობა, რომ არბიტრი მედიაციის ფარგლებში იყო მედიატორი, ვერ იქნება თვითკმარი საფუძველი არბიტრის აცილებისთვის, რადგან ეს არ არის გარემოება, რომელიც მხარეთა ნების სფეროს მიღმა დადგა და მათთვის ცნობილი მხოლოდ არბიტრის დანიშვნის შემდგომ გახდა.

საინტერესოა, თუ როგორია ამ საკითხისადმი უცხოური კანონმდებლობის მიდგომა:

აზიაში ჰონგ-კონგი და სინგაპური მიიჩნევიან ორ ყველაზე უფრო ხშირად არჩევად ადგილებად საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებებისთვის,¹ სწორედ ამიტომ, არბიტრის აცილების ნაწილში მიზანშეწონილია ჰონგ-კონგის მაგალითის გააზრება: „განკარგულება არბიტრაჟთან დაკავშირებული კანონის რეფორმირებისა და მისი თანმდევი და მასთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტის შესახებ“-ის მე-2 კარის 32-ე მუხლი არეგულირებს მედიატორის დანიშვნის საკითხებს, კერძოდ, ამ დანაწესის მე-3 პუნქტის ნორმატიული შინაარსის თანახმად:

თუ ნებისმიერი საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს მედიატორის დანიშვნის შესაძლებლობას და დამატებით ითვალისწინებს, რომ ამგვარად დანიშნულმა პირმა უნდა იმოქმედოს როგორც არბიტრმა თუ მხარეთა შორის მედიაციის სტადიაზე შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული - არავითარი პრეტენზია არ შეიძლება იყოს გაცხადებული არბიტრის ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების წინააღმდეგ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პირი მანამდე მოქმედებდა როგორც მედიატორი ზოგიერთ ან ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებულია საარბიტრაჟო დავასთან.

ამრიგად, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოწესრიგება ერთგვარად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საარბიტრაჟო განხილვის სტაბილურობის გარანტიად, რომელიც ერთი მხრივ არაკეთილსინდისიერ მხარეს ართმევს შესაძლებლობას განაცხადოს არბიტრის აცილების თაობაზე მართოდ იმ საფუძველით, რომ იგი იყო მედიატორი და მეორე მხრივ, მხარეებსვე აკისრებს სრული მოცულობით იმ ტვირთს, რაც მათივე გადაწყვეტილების თანმდევი.

4.2.2. არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლი

გარდა აცილების საკითხისა, გასათვალისწინებელია არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ გაუქმების შესაძლებლობაც. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია შემდეგ მიზეზთა გამო: ერთი პირის მიერ წარმოებული მედ-არბის პროცესში, თუ მხარეები სამედიაციო განხილვის სტადიაზე ვერ მორიგდნენ (ან ნაწილობრივ მორიგდნენ) საქმის განხილვა არბიტრაჟს მოუწევს. საინტერესოა, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მხარის მოთხოვნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, იმ დასაბუთებით, რომ არბიტრის შინაგან რწმენაზე ზეგავლენა იქონია მედიაციის ფარგლებში, ინდივიდუალური შეხვედრებისას გაჟღერებულმა ინფორმაციამ და ამდენად, იგი არ იყო მიუკერძოებელი.

¹ Weixia G., 'The Delicate Art of Med-Arb and its Future Institutionalisation in China', 31(2) UCLA Pacific Basin Law Journal 97, 2014, 111, in: Med-Arb Commentary, A Guide for Legal and ADR Practitioners, October 2022, 10.

უდავოა, რომ სახელმწიფო ვერ დაუშვებს თავის წიაღში საერთო სასამართლოს სისტემისგან სრულიად დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მექანიზმის არსებობას. სწორედ ამიტომ, შეზღუდული მოცულობით, თუმცა მაინც, არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.¹

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გარანტირებულია არბიტრაჟის დამოუკიდებლობა სასამართლო ინსტიტუციისგან. ხსენებული ნორმა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ, საგამონაკლისო შემთხვევებში თვლის დასაშვებად სასამართლოს ზედამხედველი თვალის ჩარევას საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

სხვაგვარი მოწესრიგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად არბიტრაჟის ბუნებასთან, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე² სასამართლომ აღნიშნა: „არბიტრაჟი სახელშეკრულებო ქმნილებაა. ხელშეკრულმა მხარეები, რომლებიც შეთანხმდნენ, რომ საკითხი განსახილველად წარუდგინონ არბიტრაჟს უარს ამბობენ საერთო სასამართლოების იურისდიქციაზე. თუ მხარეები ვერ დაეყრდნობიან არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (თუ სასამართლოს ექნება მისი გაუქმების შეცდომა, თუ მიიჩნევს, რომ მასში დაშვებულია სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეცდომა), მხარეები კარგავენ თავიანთი შეთანხმების არსებით სარგებელს.“

ამდენად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სასარგებლოდ მოქმედებს „ძლიერი პრეზუმპცია“.³

სამედიაციო პროცესის ფარგლებში გაჟღერებული კონფიდენციალური ინფორმაციის არბიტრის მიერ გამოყენებაზე, საკმაოდ საინტერესოა გადაწყვეტილება საქმეზე „ბოუდენი ვაიკერტის წინააღმდეგ“ (Bowden v. Weickert):⁴

საქმე განიხილა ოჰაიოს სააპელაციო სასამართლომ, სახეზე იყო სახელშეკრულებო დავა, კერძოდ, საქმე ეხებოდა სადაზღვეო ბიზნესის გაყიდვას:

- მხარეთა შორის ხელშეკრულება 1998 წელს გაფორმდა.
- 1999 წელს ბოუდენმა შეიტანა საჩივარი სანდუსკის ოლქის სასამართლოში, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ხელშეკრულების მხარემ (მოპასუხემ) ვერ შეძლო ნაკისრი მოვალეობების შესრულება და დადგენილ ვადაში თანხა ვერ გადაიხადა.
- ხელშეკრულებაში განწერილი იყო დავის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის პროცედურა, სწორედ ამიტომ, საქმის განმხილველმა სასამართლომ დავა საარბიტრაჟო ტრიბუნალში გადაამისამართა.
- განხილვის დროს არბიტრმა შესთავაზა მხარეებს და ეს უკანასკნელნიც დასთანხმდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა თავდაპირველად არბიტრს საქმე განეხილა როგორც მედიატორს. ორ დღიანი სამედიაციო პროცესის შემდგომ მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რითაც გამოხატეს სამომავლო, მბოჭავი შეთანხმების მიღწევის სურვილი და ამავე ხელშეკრულებაში მიუთითეს კონკრეტული თანხა (კომპანიის ღირებულება)
- დოკუმენტი ატარებდა ერთგვარი წინასწარი შეთანხმების სახეს და მხარეები იმედოვნებდნენ, რომ მორიგებას საბოლოოდ ხორცს შეასხამდნენ სხვა აქტში. თუმცა, შე-

¹ ედიზბაჰაშვიდი თ., სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში ქართული კანონმდებლობის თანახმად, ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, 5, იხ. ციტირება გოთუა დ., მართლმსაჯულება, N 2, 2007, 138.

² Motor Wheel Corp. v. Goodyear Tire Rubber Co. (1994), 98 Ohio App.3d 45, 52, <<https://casetext.com/case/motor-wheel-v-goodyear-tire-rubber>> [25.06.2023].

³ U.S. Steel Mining Company v. Wilson Downhole Serv, 02: 00cv1758, (W.D. Pa. Oct. 5, 2006), <<https://casetext.com/case/us-steel-mining-company-v-wilson-downhole-serv>> [25.06.2023].

⁴ Bowden v. Weickert, Court of Appeals No. S-02-017, Trial Court No. 99-CV-395, (Ohio Ct. App. Jun. 20, 2003), <<https://casetext.com/case/bowden-v-weickert>> [25.06.2023].

თანხმება ვერ შედგა და საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნდა იმავე არბიტრთან.

- პროცესის შემდგომ, არბიტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც (მათ შორის) მოიცავდა მხარეთა შორის მედიაციის ეტაპზე მიღწეული ერთგვარი წინასწარი შეთანხმების ცალკეულ დებულებებს, კონკრეტულად კი ფასს.
- ვაიკერტმა აღძრა სარჩელი სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, რის საფუძვლად მოსარჩელე აპელირებდა შემდეგზე: „ხელნაწერი სამედიაციო შეთანხმების მოდიფიცირების მცდელობისას, არბიტრი გასცდა თავის უფლებამოსილებებს“.

სასამართლომ პირველ რიგში ხაზი გაუსვა იმ მაღალ სტანდარტს, რომელიც დადგენილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისთვის (სასამართლო კონტროლის შეზღუდული ბუნებიდან გამომდინარე), ამასთანავე, სასამართლომ იმსჯელა თუ რა გავლენა მოახდინა ჰიბრიდულმა მედ-არბის პროცესმა საქმის საბოლოო შედეგზე: იმის გამო, რომ მხარეები შევიდნენ სამედიაციო პროცესში, პროცესის წარმართველზე გავრცელდა ოჰაიოს კანონმდებლობის მოთხოვნები, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიაციის ფარგლებში გაჟღერებული კომუნიკაცია უნდა დარჩენილიყო კონფიდენციალურად. უფრო მეტიც, „მედიაციის ფარგლებში არსებული კომუნიკაცია არ უნდა გამხდარიყო ხელმისაწვდომი არავისთვის, იქამდე სანამ ყველა მხარე და თავად მედიატორი არ შეთანხმდებოდნენ ამგვარ გასაჯაროებაზე“. მიუხედავად იმისა, რომ სამედიაციო განხილვის ფარგლებში არსებობდა გარკვეული შეთანხმება, იგი არ ყოფილა საბოლოო ხასიათის მქონე და ამდენად, პირს, რომელიც არბიტრად დაბრუნდა იმავე პროცესში, ეკისრებოდა მიუკერძოებელი ქცევის ვალდებულება და შესაბამისად, მას უნდა დაეცვა სამედიაციო კომუნიკაციის კონფიდენციალურობა.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ გააუქმა არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ დასაბუთებით, რომ იგი ნაწილობრივ მაინც ეყრდნობოდა მედიაციის პროცესში არსებული წარუმატებელი შეთანხმების ჩანასახებს, რის ცალსახა დადასტურებასაც წარმოადგენდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არსებული ფასის ნაწილი.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მედ-არბმა ვერც თავისი და ვერც ზოგადად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მთავარი ფუნქცია - დავის დასრულება მოკლე ვადაში და ეფექტურად ვერ უზრუნველყო. იმან, რომ სამედიაციო განხილვის სტადიაზე არსებობდა წერილობითი მონახაზი შემდგომი შეთანხმებისა, შესაძლებელი გახადა სასამართლოს მიერ იმის იდენტიფიცირება, რომ არბიტრზე ზეგავლენა მოახდინა სამედიაციო პროცესის ფარგლებში მიღებულმა კონფიდენციალურმა ინფორმაციამ.

საინტერესოა, რა შეიძლება იყოს არგუმენტი გადაწყვეტილების გაუქმებისა, როდესაც პირდაპირი საბუთი არ არსებობს, რომ სამედიაციო განხილვამ გავლენა იქონია არბიტრის მიერ საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მითუფრო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, რომელიც მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევას განიხილავს არა გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობად, არამედ, აცილების საფუძვლად.

სავარაუდოა, რომ ეს საკითხი (სათანადო წინაპირობების/მტკიცებულებების არსებობისას) განხილულ უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის კონტექსტში, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტის ფარგლებში, რომლის თანახმადაც სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თუ მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები.

5. მედიატორი, როგორც არბიტრი და პირიქით

5.1. მედ-არბის რეგულირება საერთაშორისო აქტებში

ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ ფუნქციონირებს იმგვარი აქტი, რომელიც მედ-არბის ინსტიტუტზე პირდაპირ მიუთითებდა. მომავალში მედ-არბის ინსტიტუტის განვითარების შესაძლოა დადგეს ამგვარი აქტის ფორმირების ან უკვე არსებულ დანაწესებში ცვლილებების შეტანის წინაპირობები, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების განხილვა:

„ორმაგი ქუდი“, როგორც ხშირად მოიხსენიებენ სამართლებრივ ლიტერატურაში, ერთი დავის ფარგლებში ერთი პირის მიერ მედიატორისა და არბიტრის როლების შეთავსებას, არის საკმაოდ სახიფათო მოცემულობა, რომელიც საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას და მის საფუძველზე პროცესის მართვას. ეს უკანასკნელი კი არ ისე მარტივია სხვადასხვა სოციუმისთვის დამახასიათებელი კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე.¹

სინგაპური, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია არბიტრაჟისთვის,² ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად განიხილავს და ამუშავებს „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას“ პროექტს, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული აქცენტი დავების გადაწყვეტის ახალი ვარიანტების შექმნაზე და ამ ვარიანტებისადმი ცნობიერების ამაღლებაზე კეთდება. სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლოს შექმნა 2015 წელს და SIAC (სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი) საინვესტიციო საარბიტრაჟო წესების ამოქმედება 2017 წელს არის ცალსახა მანიფესტაცია იმისა, რომ სინგაპური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმებისგან ჰიბრიდულ მოდელებს ნერგავს.³ სწორედ ამ მიზნით, სინგაპურში ამოქმედდა AMA პროტოკოლი,⁴ რომელიც 2014 წელს SIAC-ის (სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი) და SIMC-ის (სინგაპურის საერთაშორისო სამედიაციო ცენტრი) ერთობრივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა: AMA (არბ-მედ-არბი) არის სამ საფეხურიანი მექანიზმი და იგი მიზნად ისახავს იმ პრობლემების თავიდან არიდებას, რომელიც მედიაციისა და არბიტრაჟის სინთეზის დროს იქმნება და ამ პროცესების ეფექტურობას ამცირებს (ან/და ამგვარ საფრთხეს უქმნის).⁵

AMA პროტოკოლის ფარგლებში, პირველ ეტაპზე მხარეთა შორის არსებული უთანხმოება განსახილველად წარედგინება არბიტრაჟს SIAC-ს, მეორე ეტაპზე არბიტრის მითითების საფუძველზე ჩერდება საარბიტრაჟო პროცესი და საკითხის განხილვა ინაცვლებს უკვე მედიაციის ფაზაში, ამგვარი მედიაციის ფანჯარა SIMC-ში, როგორც წესი, 8 კვირას გრძელდება.⁶ მედიაციის ფანჯრის დასრულებას საარბიტრაჟო წარმოების განახლება მოსდევს. თუმცა, რაც ფინალურ, მესამე, ეტაპზე მოხდება დიდწილადაა დამოკიდებული სამედიაციო პროცესზე, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მედიაცია წარმატებით დასრულდა, მხარეთა თხოვნის საფუძველზე, არბიტრი უფლებამოსილია დაამტკიცოს მხარეთა თანამთხვევადი ნების საფუძველ-

¹ Alper G., “Double Hatting” under Med-Arb: A Comparative Analysis, October 18, 2021, <<https://mediate.com/double-hatting-under-med-arb-a-comparative-analysis/>> [25.06.2023].

² International Arbitration Survey: Adapting Arbitration to a Changing World, The Queen Mary University of London, School of International Arbitration, 2021, 7-8, <https://arbitration.qmul.ac.uk/media/arbitration/docs/LON0320037-QMUL-International-Arbitration-Survey-2021_19_WEB.pdf> [25.06.2023].

³ YIP, Man., Combinations of Mediation and Arbitration: The Singapore Perspective. Multi-tier Approaches to the Resolution of International Disputes: A Global and Comparative Study, 2021, 182.

⁴ SIAC-SIMC ARB-MED-ARB Protocol (AMA Protocol), <<https://simc.com.sg/v2/wp-content/uploads/2019/03/SIAC-SIMC-AMA-Protocol.pdf>> [25.06.2023].

⁵ YIP, Man., Combinations of Mediation and Arbitration: The Singapore Perspective. Multi-tier Approaches to the Resolution of International Disputes: A Global and Comparative Study, 2021, 194.

⁶ AMA პროტოკოლის მე-6 მუხლი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ვადის გაგრძელების შესაძლებლობასაც, <<https://simc.com.sg/v2/wp-content/uploads/2019/03/SIAC-SIMC-AMA-Protocol.pdf>> [25.06.2023].

ზე მიღწეული შეთანხმება, ხოლო, თუ მედიაციის პროცესი უშედეგოდ დასრულდება, შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებას უკვე არბიტრი მიიღებს.¹

AMA პროტოკოლში „ორმაგი ქუდის“ მოცემულობაზე პირდაპირი მითითება არ არის, თუმცა, პროტოკოლის შემოქმედები მხარეებს არ „აგულიანებენ ერთი დავის ფარგლებში ერთი და იმავე პირის მედიატორად და არბიტრად დანიშვნაზე“² კერძოდ, სინგაპურის საერთაშორისო სამედიაციო ცენტრის ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ, რომ ერთი და იგივე პირი მედიატორი და არბიტრი ვერ იქნება თუ თავად მხარეები არ შეთანხმდნენ სხვა რამეზე. როგორც წესი კონკრეტულ დავაზე მედიატორები და არბიტრები სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრისა და სინგაპურის საერთაშორისო სამედიაციო ცენტრის მიერ ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად დაინიშნებიან.³

რაც შეეხება სხვა რეგულირებებს, სტამბულის საარბიტრაჟო ცენტრს მიღებული აქვს მედიაცია-არბიტრაჟის წესები,⁴ რომლის მე-5 მუხლი უშუალოდ აწესრიგებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც მედიატორი გვევლინება არბიტრად, კერძოდ, ხსენებული ნორმის 1-ელი პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც იყო მედიატორი მედ-არბში წარმოებული მედიაციის პროცესისას არ უნდა იყოს იმავე დავაზე არბიტრი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამაზე თანხმობას მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ.

ჩინეთში მედ-არბის რეგულაცია უშუალოდ კანონმდებლობაშია მოცემული: ძირითადი სამართლებრივი საფუძველი მედ-არბის პროცესისთვის მოცემულია „არბიტრაჟის შესახებ“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონში, კერძოდ, ამ კანონის 51-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, არბიტრი აღჭურვილია უფლებამოსილებით გადაწყვიტოს თუ როდის და როგორ წარმართავს მედიაციის პროცედურას საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში.⁵

აქვე საინტერესოა იმგვარი აქტების მიმოხილვა, რომლებიც პრაქტიკულად კრძალავენ (ან მინიმუმ ამჟღავნებენ ამკარა უკმაყოფილებას) ერთი და იმავე პირის მიერ მედიატორისა და არბიტრის ფუნქციების შეთავსებას,⁶ ტექსასის უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცებული „მედიატორთა ეთიკური გაიდლაინების“ მე-12 მუხლის დისპოზიციის თანახმად, პირი, რომელიც ასრულებს მედიატორის როლს, როგორც წესი, შემდგომში არ უნდა იყოს მოსამართლე ან რაიმე სხვა სასამართლო ან კვაზი-სამოსამართლო უფლებამოსილების მქონე პირი იმგვარ საკითხებში, რომლებიც წარმოადგენდა მედიაციის საგანს. ამავე ნორმის კომენტარებისას აღნიშნულია, რომ ზოგადად შეუფერებელია/მიუღებელია, რომ მედიატორმა შეასრულოს (მათ შორის) კვაზი სამოსამართლო ფუნქციები იმ საკითხთან მიმართებით, სადაც იგი მედიატორი იყო და სადაც ჰქონდა იმგვარი კომუნიკაციები მხარეებთან, როდესაც კომუნიკაციას საქმის მონაწილე ყველა მხარე არ ესწრებოდა.⁷

5.2. კომპეტენციური ჩარჩოს პრობლემა

¹ *YIP, Man., Combinations of Mediation and Arbitration: The Singapore Perspective. Multi-tier Approaches to the Resolution of International Disputes: A Global and Comparative Study, 2021, 194.*

² *Alper G., "Double Hatting" under Med-Arb: A Comparative Analysis, October 18, 2021, <<https://mediate.com/double-hatting-under-med-arb-a-comparative-analysis/>> [25.06.2023].*

³ *სინგაპურის საერთაშორისო სამედიაციო ცენტრის (SIMC) ოფიციალური ვებ-გვერდი <<https://simc.com.sg/dispute-resolution/arb-med-arb/>> [25.06.2023].*

⁴ *Istanbul Arbitration Centre Mediation-Arbitration Rules, <<https://istac.org.tr/wp-content/uploads/2020/01/ISTAC-Med-Arb-Rules-ENG.pdf>> [25.06.2023].*

⁵ *Shahla F. A., The Legal Framework for Med-Arb Developments in China: Recent Cases, Institutional Rules and Opportunities (October 18, 2016), Dispute Resolution International, DRI 119, 2016, 119-120 <<https://ssrn.com/abstract=3216252>> [25.06.2023].*

⁶ *Approval of Ethical Guidelines for Mediators, in the Supreme Court of Texas, Misc. Docket No. 05- 9107, <https://www.txcourts.gov/All_Archived_Documents/SupremeCourt/AdministrativeOrders/miscdocket/05/0591070.pdf> [25.06.2023].*

⁷ იქვე, 6.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტებს ერთმანეთთან აიგივებენ, მათი აღრევა დაუშვებელია. ეს ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მექანიზმია:¹ თუ მედიაცია არის პროცესი, რომელიც მოითხოვს და საჭიროებს კიდევ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზროვნებას - მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელი შემტევი აზროვნებისგან განსხვავებით,² საარბიტრაჟო განხილვა მისი თავისებურებების გათვალისწინებით ამჟღავნებს მსგავსებას სასამართლო წარმოებასთან.

ერთი და იმავე პირის მიერ ორი ფუნქციის შეთავსება კომპეტენციური ჩარჩოს ნაწილშიც პრობლემას წარმოშობს, ვინაიდან, როგორც მედიატორის, ისე არბიტრის როლები საჭიროებენ ცალ-ცალკე კვალიფიკაციას, რომელთა შეთავსებაც ყველას უბრალოდ არ შეუძლია.³ თითოეულ ამ დისციპლინაში სწავლება დავის გადაჭრის სხვადასხვა ასპექტზეა ფოკუსირებული. მათი როლებიდან გამომდინარე, ისინი სხვადასხვაგვარ მიდგომასა და მექანიზმს იყენებენ.⁴

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ 2020 წლის 27 ივნისს დაამტკიცა მედიატორთა პროფესიული სტანდარტი, რომლითაც განსაზღვრა მედიაციის პროფესიაში შესვლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ, ამ პროგრამის შესაბამისად, მედიაციის პროფესიაში შესვლა შემდეგი საკვალიფიკაციო ეტაპების დაძლევის უკავშირდება:

„1. ასოციაციის მიერ დამტკიცებული სერტიფიცირების პროგრამის წარმართვის უფლებამოსილების - აკრედიტაციის მქონე სუბიექტის (სერტიფიცირების პროვაიდერის) მიერ შეთავაზებული სულ მცირე 60-საათიან ტრენინგში წარმატებული მონაწილეობა.

2. მედიატორის პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სიმულაციურ სესიებში შემონშება ასოციაციის ორგანიზებით და მისივე ექსპერტების ხელმძღვანელობით.

3. მედიატორის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძლოლის უნარ-ჩვევების განვითარება - რეალურ მედიაციებში მონაწილეობა ასოციაციის მიერ დადგენილი წესისა და პროცედურის შესაბამისად სანამ მედიატორობის მსურველი მოიპოვებს მედიაციის დამოუკიდებლად წარმართვის უფლებამოსილებას.“⁵

სხენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გამოცდის ბუნება მოწმობს იმას, რომ მედიატორის მიერ როლის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მის უნარებზე, მაშინ როდესაც არბიტრს ამგვარი უნარების ქონა ნაკლებად მოეთხოვება.⁶

¹ ფიცხედაუხი ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, დისერტაცია, თბ., 2015., 9.

² კოვაკი კ. კ., ახალი ღვინო საჭიროებს ახალ ღვინის ჭურჭელს (ტიკი - რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჭიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2012“, თბ., 2012, 146.

³ Bartel, supra note 1, at 688, in: Deason E. E., Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review, Arbitration Law Review, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 224.

⁴ Sussman E., Developing an Effective Med-Arb/Arb-Med Process, the Neutral Corner, the Newsletter for Finra Neutrals, Volume 2 – 2018, 3.

⁵ იხ. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, <<https://mediators.ge/ka//how-to-become>> [25.06.2023].

⁶ მაგალითისათვის, მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების აქტის (რომელიც ამერიკის არბიტრთა ასოციაციის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის და კონფლიქტის გადანწყვეტის ასოციაციის (Association for Conflict Resolution) საერთო ქმნილებაა), მე-6 სტანდარტის „ა“ პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის შინაარსის თანახმად, მედიატორის როლი ფუნდამენტურად განსხვავდება სხვა პროფესიონალების როლებისგან. მედიატორის როლის აღრევა სხვა როლებთან არის პრობლემატური, ამდენად, მედიატორმა უნდა განასხვავოს ფუნქციები. მედიატორს შეუძლია მხარეებს მიაწოდოს მხოლოდ იმგვარი ინფორმაცია, რომლის მიწოდებაზეც მას აქვს კვალიფიკაცია ან გამოცდილება.

ხოლო, ამავე პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, მედიატორი, რომელიც ითავსებს სხვა როლს, უნდა აცნობიერებდეს, რომ იგი კისრულობს იმგვარ მოვალეობებს და იღებს იმგვარ პასუხისმგებლობებს, რომლებიც შეიძლება რეკულირდებოდეს სხვა სტანდარტებით.

Model Standards of Conduct for Mediators Standard V(A) (2005),

<https://www.adr.org/sites/default/files/document_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf> [25.06.2023].

მაგალითად, მედიატორობის მსურველი ადვოკატები, რომლებიც მიჩვეულნი არიან სასამართლო პროცესში „შემტევ პოზიციაში“ ყოფნას, ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ მედიაცია არ არის პროცესი, სადაც გამარჯვებისთვის კარში გოლი უნდა გაიტანო. მეტიც, მედიაციისთვის საერთოდ არ არის ნიშნული იმგვარი ცნება, როგორც „გამარჯვება“, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამედიაციო განხილვაში დამარცხებული მხარე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ კომპრომისი.

მედიატორი სხვაგვარად ფიქრობს, მედიატორი სხვაგვარად საუბრობს, მისი ენა არ არის გადაწყვეტილების მიმღების, საბოლოო შედეგის დამდგენის ენა, მისი უმთავრესი მიზანი არც მხარეთა მორიგებაა, არამედ თვითგამორკვევა. სწორედ ამიტომ, თუ ქართულ რეალობაში ხშირად წარიმართება მედ-არბის იმგვარი პროცესები, რომელსაც ერთი პირი ხელმძღვანელობს, შესაძლოა, საჭირო გახდეს სპეციალიზაციის ახალი სტანდარტის შემუშავება ან უკვე არსებულის დახვეწა.

6. მედ-არბზე შეთანხმება

ვინაიდან ქართული კანონმდებლობა მედ-არბზე, როგორც ინსტიტუტზე, პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, ამ ჰიბრიდული მექანიზმის გამოყენებაზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ნაწილში, მიზანშეწონია, მიმოვიხილოთ, როგორც მედიაციაზე, ისე არბიტრაჟზე შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობები:

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი მედიაციის თაობაზე შეთანხმებას განმარტავს შემდეგნაირად: მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მათ მიერ მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე მხარეთა წერილობითი შეთანხმება.

ამდენად, კანონმდებლობა მედიაციის თაობაზე შეთანხმების ნამდვილობის საფუძვლად ადგენს წერილობით ფორმას, თუმცა რაიმე დამატებით დათქმას მხარის ინტერესების დასაცავად არ ითვალისწინებს, რაც ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, რომ სამედიაციო პროცესი თავისი არსით არის ნებაყოფლობითი და ამდენად, მხარის „დაზარალების“ შანსები ამ ტიპის განხილვის ფარგლებში მინიმუმამდეა დაყვანილი. ამას გარდა, კანონი არ განმარტავს თუ ზუსტად რა მოიაზრება წერილობით ფორმაში, მაგალითად, შესაძლოა თუ არა წერილობითი ფორმით დადებულ შეთანხმებად მივიჩნიოთ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით (მეილი, მესენჯერი) განხორციელებული მიმოწერა?

მედ-არბის თავისებურებების გამო, უფრო მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობების გაანალიზება: როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ფუნდამენტური სხვაობა მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტებს შორის ისაა, რომ არბიტრაჟში მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ბუნების მქონეა. მართალია მედ-არბსა და არბიტრაჟს შორის ტოლობის ნიშანი არ ისმის, მაგრამ საქმეზე ფინალური გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში ეს ინსტიტუტები ერთმანეთს ემსგავსებიან - როგორც მედ-არბის, ისე მართოდენ არბიტრაჟის დროს, მხარეთა შორის არსებული კონფლიქტი მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებითვე გაიტანება სასამართლო იურისდიქციის ფარგლებს მიღმა.

საარბიტრაჟო განხილვის დანყების ფორმალური წინაპირობა სწორედ მხარეთა შორის არსებული შეთანხმებაა.¹ არბიტრაჟზე შეთანხმებასთან დაკავშირებით მთელი რიგი მოთხოვნებია გათვალისწინებული როგორც ეროვნული, ისე სხვა ქვეყნების კანონმდებლობებითაც. რეგულირების საჭიროება იმ გარემოებითაა ნაკარნახევი, რომ მხარე საარბიტრაჟო განხილვას, განსხვავებით მედიაციისგან, თავისი ნებით ვერ შეწყვეტს, ვერც თავად მიიღებს

¹ ცეხცვაძე გ. საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) თბ., 2008, 99.

მონაწილეობას საბოლოო გადაწყვეტილების ფორმირებაში,¹ ამდენად მას მოუწევს არბიტრაჟში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება, თანაც ისე, რომ ვერც სასამართლო ეყოლება შემწედ (საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კონტროლის შეზღუდული ფარგლების გამო).

შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობების კვლევა მითუფრო აქტუალურია, როდესაც ხელშეკრულების მხარედ ფიზიკური პირი გვევლინება, რომელიც ნაკლებინფორმირებული სუბიექტია საბაზრო ძალაუფლების მქონე პირთან შედარებით: ინფორმირებული თანხმობა საარბიტრაჟო განხილვაზე არსებითია, მხარეები უნდა აცნობიერებდნენ იმ სამართლებრივ შედეგს რასაც მათთვის საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმება მოიტანს.²

6.1. მედ-არბზე შეთანხმების ნამდვილობის ფორმალური წინაპირობები

არბიტრაჟზე შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობების მაგალითია გერმანიის საარბიტრაჟო სამართლის წესები, რომლებიც ინკორპორირდა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (“ZPO”)³. ამ უკანასკნელის 1025-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მიხედვით, გერმანიის საარბიტრაჟო კანონი გამოიყენება ყველა საარბიტრაჟო სამართალწარმოებაზე, რომელსაც ადგილი აქვს გერმანიაში.⁴

კანონმდებლობით განსაზღვრულია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის პირობებიც, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1031-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმებებში, სადაც მომხმარებელი⁵ არის მხარე, უნდა იყოს მხარეთა მიერ პირადად ხელმოწერილი ჩანაწერის ნაწილი.⁶

ესტონეთშიც არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით,⁷ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას ეხება კოდექსის 717-ე და 718-ე პარაგრაფები, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმების განმარტება, რომელიც კოდექსის 717-ე პარაგრაფის 1-ელ ნაწილშია მოცემული პრაქტიკულად ემთხვევა გერმანელი კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულ ლეგალურ განსაზღვრებას.⁸

რაც შეეხება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს, ამ აქტის მე-8 მუხლი აწესრიგებს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმისა და ცნების საკითხს. აღნიშნული მუხლი სრულად ეფუძნება და იზიარებს UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-7 მუხლის რეგულირებას, კერ-

¹ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები არბიტრაჟის ფარგლებში ახერხებენ მორიგების მიღწევას, რისი შესაძლებლობაც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლითაა გარანტირებული.

² Elrod D. L., The Need for Confidentiality in Evaluative Processes: Arbitration and MED/ARB in Family Law Cases, Family Court Review, Vol. 58 No. 1, January 2020, 29.

³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ZPO) <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/-englisch_zpo.html> [25.06.2023].

⁴ The international Comparative Legal Guide to: International Arbitration, a Practical Insight to Cross-border International Arbitration Work, 2009, 152.

⁵ მომხმარებელი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-13 პარაგრაფის თანახმად განმარტებულია შემდეგნაირად: მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარიგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.

<http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIz1dvBKuKBh093sw4> [25.06.2023]

⁶ 1-ელი წინადადებით მოთხოვნილი წერილობითი ფორმა შეიძლება შეიცვალოს სამოქალაქო კოდექსის 126 „ა“ პარაგრაფით განსაზღვრული ელექტრონული ფორმით. ჩანაწერი ან ელექტრონული დოკუმენტი არ შეიძლება შეიცავდეს სხვა შეთანხმებებს, გარდა საარბიტრაჟო განხილვისა; ეს არ ეხება იმგვარ შემთხვევებს, როდესაც შეთანხმება დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ.

⁷ ესტონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი Code of Civil Procedure, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/513122013001/consolide>> [25.06.2023].

⁸ ამავე კოდექსის 719-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მომხმარებელი არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, ამგვარი შეთანხმება უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ დაერთოს მომხმარებლის მატერიალური ან ელექტრონული ხელმოწერა.

ძოდ, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.¹

ხელმოწერის არსებობის „დავალდებულება“ ემსახურება ნაკლებინფორმირებული სუბიექტის მიერ, ზემოაღნიშნულ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების მიზანს.

ამასთან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით.

ერთმანეთისგან უნდა განირჩეს ორი შემთხვევა:

- მედ-არბზე შეთანხმება მხარეებმა ჩამოაყალიბეს ერთი აქტის ფარგლებში;
- მედ-არბზე შეთანხმება ფორმირებულია სხვადასხვა აქტში (ცალკე მედიაცია, ცალკე არბიტრაჟი).

პირველ შემთხვევაში, შეთანხმების ნამდვილობაზე უნდა გავრცელდეს ის პირობები, რომელიც დადგენილია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისთვის, მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ აქტზე ხელის მოწერის ნაწილი.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, წესით არსებით პრობლემას არ უნდა ქმნიდეს ცალკე აქტების სახით გაფორმება, თუმცა მედ-არბის ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, რომ დგინდებოდეს:

- მხარეთა შორის არსებულ რომელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე (მაგალითად, რომელიმე ხელშეკრულება) ვრცელდება მედ-არბის ინსტიტუტი;
- ამასთან, უნდა ირკვეოდეს ურთიერთმიმართება ამ მექანიზმებს შორის, კერძოდ ის, რომ კონკრეტულ დავაზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე მედიაციის პროცესი უნდა გაიმართოს.

ტექნიკური თვალსაზრისით კი ეს უკანასკნელი წარმოუდგენელი იქნება რომელიმე შეთანხმების ტექსტში მეორე მექანიზმის მითითების გარეშე.

აქვე, საინტერესოა, აუცილებელია თუ არა მედ-არბზე შეთანხმებაში მიეთითოს ის არბიტრაჟი, რომელიც მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში განიხილავს საკითხს.

ქართული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „არბიტრაჟზე შეთანხმებით ასევე ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა.“²

„ბათილია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები, დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს.“³

უფრო გვიანდელი პერიოდის მსჯელობაში კი ვკითხულობთ, „არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმება უნდა შეიცავდეს მხარეთა ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის, არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა და არა სასამართლომ. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავა განხილულ იქნეს არბიტრაჟის მიერ, უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის.“⁴

¹ ამავე ნორმის მე-8 პუნქტის თანახმად კი, თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ.

² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N2ბ/3055-11, ანალოგიური მსჯელობა აქვს განვითარებული უზენაეს სასამართლოს საქმეზე სუსგ # ას-549-519-2011, 6 ივნისი, 2011წ.

³ სუსგ # ას-809-862-2011,15 ივლისი, 2011წ.

⁴ სუსგ N2ას-148-140-2017 18 იანვარი, 2018 წ.

ამდენად, სასამართლოს მკაცრი ტონი შერბილდა, რაც ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, მსგავსად მოდელური კანონის მე-7 მუხლისა, არ შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმების ელემენტების დეტალურ ჩამონათვალს. ხელშეკრულების არსებითი პირობა ის არის, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი საკითხები განსახილველად არბიტრაჟს გადაეცეს და არა სასამართლოს.¹

კონკრეტულ არბიტრაჟზე მითითება კანონმდებლს რომ შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობად განესაზღვრა, ეს წესით თავად ნორმაშივე იქნებოდა მითითებული, ამასთან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გარანტირებულია მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში არბიტრის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დანიშვნის შესაძლებლობა. შესაბამისად, უმჯობესი იქნება თუ სასამართლო იხელმძღვანელებს უფრო დაბალი სტანდარტით (მაგალითად, როგორც გერმანიაშია, სადაც არასწორ არბიტრაჟზე მითითებაც კი არ ჩაითვალა ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობად)² და არბიტრაჟზე თუ მედ-არბზე შეთანხმების ნამდვილობას არ დააყენებს ეჭვქვეშ იმის გამო, რომ მასში კონკრეტული საარბიტრაჟო სასამართლო მითითებული არ არის.

6.2. მედ-არბის მიერ განსახილველ საკითხთა წრის ბოჭვა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის დათქმით

მხარეთა შორის შესაძლოა გაფორმდეს შეთანხმება, რომ მათ შორის წარმოშობილი დავების ნაწილზე მორიგება უნდა სცადონ მედიაციის მეშვეობით და ამავე შეთანხმებითვე გაინეროს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სხვა დავები განხილულ უნდა იქნეს მედ-არბის ალტერნატივის ფარგლებში.

სხვა საკითხების პარალელურად, უნდა გადაწყდეს თუ რა ტიპის დავებზე შეიძლება მედ-არბის ინსტიტუტის გამოყენება. ამ ნაწილის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მედ-არბის მექანიზმის სამომავლო პერსპექტივის კვლევის თვალსაზრისითაც: ხსენებულ თავისებურებას განაპირობებს არბიტრაჟის მიერ განსახილველ საკითხთა წრის შეზღუდული ხასიათი. თითოეული ქვეყანა თავისი პრიორიტეტების გათვალისწინებით განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, იმ სამართლებრივ სფეროებს, რომლებიც მართოდენ სასამართლოს განსჯადობას ექვემდებარება. სწორედ ამიტომ, მიიჩნევა, რომ ექსკლუზიურად სასამართლოს განსჯადობის ქვეშ მოქცეული საკითხები არ არის „არბიტრაჟუნარიანი“.³

ის გარემოება, რომ მედ-არბის ინსტიტუტი იმიჯნება ცალკე აღებული არბიტრაჟისგან ან მედიაციისგან არ ნიშნავს იმას, რომ ამ პოსტულატებს სამართლებრივი შინაარსი ეცვლება, მითუფრო არბიტრაჟს, რომლის მიერ განსახილველ საკითხთა წრესთან მიმართებითაც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს იმპერატიულ დათქმას, რომლის მიხედვითაც, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანსწორობაზე დამყარებული, კერძო ხასიათის ქონებრივი დავები.⁴

არბიტრაჟი არ წარმოადგენს უნიკალურ დავის გადაწყვეტის საშუალებას, რომელმაც შესაძლებელია განიხილოს მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა.⁵ ეს მოდელი ქართული მოწესრიგების ნოუ ჰაუ არ არის, ზოგადადაც საარბიტრაჟო განხილვას საგანი, რო-

¹ ანდლუდაძე ქ., საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან), სასემინარო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2013, 14.

² იხ. ციტირება Redfern and M. Hunter, 1999, 169, para. 48, იქვე, 15.

³ კეკელიძე გ., გყემადიძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის, 2017, 22.

⁴ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8>> [25.06.2023].

⁵ მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, თბ., 2019, 17.

გორც წესი, კომერციული დავებია.¹ UNCITRAL-ის მოდელური კანონი („ნიუ იორკის კონვენცია“) არბიტრაჟის კომერციულ ბუნებას ხაზს სათაურშივე უსვამს.

არის მცდელობა საარბიტრაჟო განხილვის სფეროს გაფართოებისა, მაგალითად, საკმაოდ ახალი ტენდენციაა არბიტრაჟისთვის საოჯახო დავების განხილვის შესაძლებლობის მინიჭება:² საოჯახო დავები, განსაკუთრებით იმგვარი, რომლებშიც ბავშვები მონაწილეობდნენ, მიიჩნეოდა „საჯარო პოლიტიკის“ სფეროდ, გამონაკლისად.³ 1980-იან წლებში კი აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა „საჯარო პოლიტიკის“ გამონაკლისზე. რაც შეეხება ბავშვებს, მათთან დაკავშირებით სხვა სიტუაცია გვაქვს, ამ პროცესის ფარგლებში სასამართლოს ტრადიციული როლიდან გამომდინარე.⁴

იმის ვარაუდი, როგორ განვითარდება არბიტრაჟის მომვალი, გაფართოვდება თუ არა იმ საკითხთა წრე, რომელზე მსჯელობაც საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, წინდანი შეუძლებელია. ამ მოცემულობის ფარგლებში დასკვნა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს, მიუხედავად მედ-არბსა და არბიტრაჟს შორის არსებული განსხვავებებისა, მედ-არბის ქოლგისქვეშ ვერ გაიზრდება არბიტრაჟის კომპეტენცია.

6.3. მედ-არბზე შეთანხმება, როგორც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი

მედ-არბზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს ქმედების საკითხის საკვლევად, აუცილებელია განისაზღვროს ცალ-ცალკე მედიაციასა და არბიტრაჟზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმებებისას სასამართლოს კომპეტენცია:

როგორც უკვე აღინიშნა, არბიტრაჟი თავისი არსით გამორიცხავს კონკრეტულ დავაზე სასამართლოს იურისდიქციას.⁵

იმ შემთხვევაში კი თუ მოპასუხე მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე, სასამართლო იკვლევს ხომ არ არის შეთანხმება ბათილი. აღსანიშნავია, რომ გერმანიის სასამართლოების რუტინულად იყენებენ ამ დებულებას, კერძოდ, იკვლევენ საარბიტრაჟო შეთანხმების მატერიალურ კანონიერებას და თუ იგი არ იქნება ხარვეზული, წყვეტენ სასამართლო წარმოებას.⁶

ანალოგიური მოწესრიგება გვაქვს ქართულ სამართალშიც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272¹-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადაეცეს,

¹ *Batson Baril M., Dickey D.,* MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 1.

² *Elrod D. L.,* The Need for Confidentiality in Evaluative Processes: Arbitration and MED/ARB in Family Law Cases, *Family Court Review*, Vol. 58 No. 1, January 2020, 28.

³ იხ. ციტირება *Rodriguez de Quijas v., Shearson/American Express, Inc.*, 490 U.S. 477 (1989), იქვე.

⁴ იქვე.

⁵ მაგალითად, „არბიტრაჟის შესახებ“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის თანახმად, თუ მხარე მიმართავს სასამართლოს დავის გადასაწყვეტად მგვარ საკითხზე, რომელიც არსებული შეთანხმების თანახმად, არბიტრაჟის გადასაწყვეტია, სასამართლომ არ უნდა განიხილოს საკითხი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არბიტრაჟზე შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია.

Arbitration Law of the People's Republic of China,

<http://np.china-embassy.gov.cn/eng/78085/zchfl/200410/t20041027_1998190.html#:~:text=Arbitration%20Law%20of%20the%20People's%20Republic%20of%20China&text=Article%201%20This%20Law%20is,of%20the%20socialist%20market%20economy> [25.06.2023].

ხოლო, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესი დაუშვებელია თუ დავა საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია და ამაზე მიუთითებს მოპასუხე.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ZPO) <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/-englisch_zpo.html> [25.06.2023].

⁶ *The international Comparative Legal Guide to: International Arbitration, a Practical Insight to Cross-border International Arbitration Work*, 2009, 152.

სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული განცხადება შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი საპროცესო კოდექსის ამ დებულებას კიდევ უფრო აკონკრეტებს და სასამართლო წარმოების შეწყვეტის გამომრიცხველ გარემოებად ადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის, ძალადაკარგულობის ან შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებს, რაც ისევ და ისევ სასამართლომ უნდა შეაფასოს.

რაც შეეხება მედიაციაზე შეთანხმებას, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ მხარეთა შორის არსებობს იმგვარი სამედიაციო შეთანხმება, რომლითაც მხარეები უარს ამბობენ სასამართლოსადმი ან არბიტრაჟისადმი მიმართვამდე განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, სასამართლო ან არბიტრაჟი არ განიხილავს დავას ამ პირობების შესრულებამდე. ამავე ნორმითვე განსაზღვრულია გამოწვევის, კერძოდ, სასამართლო ან არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მხარე დაასაბუთებს, რომ მას ამგვარი განხილვის გარეშე გამოუსწორებელი ზიანი მიადგება.

ხოლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ: მხარეთა შორის არსებობს ზემოაღნიშნული შეთანხმება. გარდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლისა.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ცალ-ცალკე როგორც სამედიაციო, ისე საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას სასამართლოს კომპეტენცია შეზღუდულია. მხედველობაშია მისაღები ის, რომ საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო ერთი შეხედვით აფასებს მხარეთა შორის სამედიაციო განხილვის თაობაზე შეთანხმების არსებობას და სიტუაციის შინაარსში მხოლოდ მხარის მიერ „გადაუდებელი აუცილებლობის“ მითითების შემთხვევაში შედის.

საინტერესოა როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც საქმე საარბიტრაჟო შეთანხმებას ეხება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ ფორმალური ზედამხედველობის სტანდარტი თუ მსგავსად გერმანული მიდგომისა შინაარსობრივად განხილოს შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობები?

ამ საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც მედ-არბზე შეთანხმება თავისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით უფრო მეტად ემსგავსება არბიტრაჟზე შეთანხმებას, მან უნდა დააყენოს ის სამართლებრივი შედეგი, რაც საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას დგება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსგავსად არბიტრაჟისა (და განსხვავებით მედიაციისგან), მედ-არბიც მიზნად ისახავს მხარეთა შორის არსებული დავის მთლიანად (და საბოლოოდ) სასამართლო სისტემის მიღმა გატანას.

სამართლებრივ ლიტერატურაში მოხმობილი მოსაზრების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კვლევის დასადგენად ყველაზე მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ გამოხატული ნების ნამდვილობის შეფასება.¹

ამ ნაწილში მოვიხმობ ქართული სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებაში საქმეზე N2ბ/3055-11, რომლის ფარგლებშიც შეაფასა სარჩელის წარმოებაში მიღების თქმის თაობაზე განჩინების მართლობიერება საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის საფუძველით, აღნიშნა: „საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დასადგენად გამოიყენება იგივე კრიტერიუმები, რაც ჩვეულებრივი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადგენად. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის შეფასებისას უნდა გამოირიცხებოდეს ნების, ფორმის და შინაარსის ნაკლი.“ (განჩინების მე-6 გვერდი)

„მხარეები შეთანხმებული არ ყოფილან საარბიტრაჟო შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებით პირობაზე - დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია დავის განხილვის ორი საშუალება - არბიტრაჟი ან სა-

¹ ანდლუდაძე ქ., საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გერმოს მოდელურ კანონთან), სასემინარო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2013, 9.

სამართლო. საარბიტრაჟო შეთანხმების დანიშნულება და არსი კი სწორედ ისაა, რომ მხარეები თანხმდებიან დავის არასასამართლო წესით განხილვაზე.“ (განჩინების მე-6 გვერდი)

ამდენად, სასამართლომ პრაქტიკულად შეაფასა საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობები დეტალურად, რაც უარყოფით მოვლენად არ უნდა იყოს აღქმული, თუნდაც იმის გამო, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.“ ქვეპუნქტი საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას ან ძალადაკარგულობას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობად მიიჩნევს.

ამ პროცესში კეთილსინდისიერი მხარის დაცვის მნიშვნელოვანი ბერკეტია ჩადებული „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში, რომელიც სასამართლოში განსჯადობის საკითხის გადაწყვეტამდე დასაშვებად მიიჩნევს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებას, გაგრძელებას და დასრულებასაც კი.

ამასთანავე, მიზანშეწონილია, რომ მედ-არბზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, არ გავრცელდეს დებულება, რომლის მიხედვითაც, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, მიუხედავად სამედიაციო შეთანხმების არსებობისა, თუ მხარე დაასაბუთებს იმას, რომ მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება განხილვის დაყოვნების გამო. ამის არგუმენტიც ის არის, რომ მედ-არბის ფარგლებში საქმეზე მხოლოდ გადაწყვეტილებას არბიტრაჟი მიიღებს და არა სასამართლო, სწორედ ამიტომ, ვინაიდან სასამართლოს კომპეტენცია იმთავითვე გამორიცხულია, მხარის მითითებამ „გამოუსწორებელი ზიანის“ თაობაზე არ უნდა შეცვალოს მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დგება მთლიანად მედ-არბის სამართლებრივი ინსტიტუტის ძირეული მახასიათებლები.

ხსენებული შემთხვევისგან უნდა გაიმიჯნოს მეორე, უფრო პრობლემური მოცემულობა, კერძოდ, როდესაც მედ-არბის პროცესი ვერ იწყება იმის გამო, რომ შეთანხმების მიუხედავად ერთ-ერთ მხარეს არ სურს მასში მონაწილეობა.

ამ ნაწილში მიზანშეწონილია მოვიხმოთ სინგაპურის სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება,¹ რომელიც რამდენიმე მიზეზის გამო არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, მათ შორის, იმიტომაც, რომ ხაზს უსვამს მედ-არბზე შეთანხმების ერთიან/უნიტარულ სამართლებრივ ბუნებას:

გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებების თანახმად,

- მოსარჩელემ სამედიცინო დანადგარების (მონყობილობების) დისტრიბუტორმა კომპანიამ (Heartronics Corporation) მიმართა სასამართლოს მოპასუხეების წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების, სალიცენზიო და სადისტრიბუციო ხელშეკრულებების გაუქმებულად მოთხოვნით.
- აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებებში იყო პრაქტიკულად იდენტური მითითებები მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების, მედიაციისა და არბიტრაჟის სინთეზის, გამოყენების თაობაზე. უფლებამოსილ სუბიექტებად განისაზღვრნენ SIAC (სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი) და SIMC (სინგაპურის საერთაშორისო სამედიაციო ცენტრი).
- მოსარჩელემ სცადა მედ-არბის პროცედურების წამოწყება, თუმცა მოპასუხემ განაცხადა უარი სამედიაციო განხილვის თარიღზე შეთანხმებასა და შესაბამისი თანხის გაღებაზე, რის შემდგომაც Heartronics Corporation-მა მიმართა სასამართლოს და საკუთარი გადაწყვეტილების თაობაზე აცნობა მოპასუხეს.
- მოპასუხემ მიუთითა, რომ სასამართლოს განხილვა უნდა შეწყვეტილიყო შემდეგი არგუმენტით: იმისდა მიუხედავად რომ მედიაციის პროცესი ჩაიშალა, არბიტრაჟის თაობაზე შეთანხმება იყო ნამდვილი და ამდენად, დავა განსახილველად არბიტრაჟს უნდა გადასცემოდა.

¹ Heartronics Corporation v EPI Life Pte Ltd and Others [2017] SGHCR 17, <<https://hsfnotes.com/arbitration/wp-content/uploads/sites/4/2017/11/2017-SGHCR-17.pdf>> [25.06.2023].

სასამართლომ განხილვის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე:

- დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე შეთანხმება თავისი არსით მოიცავდა ერთ შეთანხმებას (მედ-არბის დათქმა) თუ ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შეთანხმებას (მედიაცია და არბიტრაჟი);
- ჩაითვლებოდა თუ არა არბიტრაჟზე შეთანხმება ძალადაკარგულად მოპასუხის ქმედების გამო (არსებითი დარღვევის მასშტაბი, მედიაციაში მონაწილეობაზე უარი).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მედიაციასა და არბიტრაჟზე შეთანხმებების დამოუკიდებელ შეთანხმებებად წარმოდგენა შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი იქნებოდა მხარეთა კომერციულ ინტერესებთან, რომლებმაც ნათლად გამოხატეს სურვილი და მზაობა იმისა, რომ დავა ჰიბრიდული მექანიზმის საფუძველზე გადაეწყვიტათ. ამას გარდა, თუ შეჩერდებოდა სასამართლო წარმოება, მოსარჩელე კომპანიას Heartronics მოუწევდა დავის გადაწყვეტის იმგვარ მექანიზმში ჩართვა, რაზეც თანხმობა არ განუცხადებია - თანხმობა კომპანიამ განაცხადა მედ-არბზე და არა მხოლოდ არბიტრაჟზე. ამდენად, შეთანხმება განხილული უნდა ყოფილიყო ერთიანობაში.

გარდა ამისა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოპასუხის ქცევა სასამართლომ შეფასა იმდენად სერიოზულ დარღვევად ხელშეკრულების მოთხოვნებისა, რაც არღვევს ხელშეკრულების არსს და მის კეთილსინდისიერ მხარეს აძლევს შესაძლობას, რომ შეთანხმება ჩაითვალოს ანულირებულად. აქ მოპასუხის მოქმედებებმა საარბიტრაჟო განხილვაზე შეთანხმება აქცია ძალადაკარგულად. შესაბამისად, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში მოპასუხის არგუმენტაცია სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თუ მედ-არბის პროცესში მედიაციას ემატება არბიტრაჟის შედეგის დამდგენი ე.ი. ფინალური ბუნება, შეიძლება ითქვას, რომ არბიტრაჟიც ერთგვარად იღებს მედიაციის მახასიათებელს ნებაყოფლობითობის ნაწილში. სხვაგვარი განმარტების პირობებში, მედ-არბის ფარგლებში მედიაცია დაემსგავსება სავალდებულო სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს. ამ მოცემულობის პირობებში კი ძნელად წარმოსადგენია თუ ქართულ სამართლებრივ სივრცეში რომელი სამართლებრივი ბერკეტის საფუძველზე უნდა „ვაიძულოთ“ მხარეს სამედიაციო განხილვაში მონაწილეობა ან რა უნდა იყოს სამართლებრივი შედეგი ამგვარ მონაწილეობაზე უარის თქმისა.

7. მედ-არბის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალა

მედ-არბის შემთხვევაში გადაწყვეტილება ნებაყოფლობით, მხარეთა მიერ შესაძლოა მიღებულ იქნეს მედიაციის სტადიაზე, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არბიტრის მიერ, საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე.

ეჭვს არ იწვევს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად სავალდებულო ბუნება, საინტერესო ის არის, მედ-არბის პროცესში მედიაციის სტადიაზე მიღებული შეთანხმება რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც არბიტრაჟის მბოჭავი გადაწყვეტილება (აქვს კი არბიტრს ამის უფლებამოსილება, როდესაც რეალურად არბიტრაჟის პროცესი ჯერ არ დაწყებულა) თუ როგორც სამედიაციო შეთანხმება? ხოლო, თუ წარმოება მართოდენ სამედიაციო შეთანხმებით დამთავრდება ექნება თუ არა მას შესასრულებლად სავალდებულო ძალა, მხარეთა მიერ აღსრულების მექანიზმის მასში განერის გარეშე?

ამ უკანასკნელ საკითხს მნიშვნელობა იმ ნაწილშიც აქვს, რომ განსხვავებით არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან, რომელთა ცნობა-აღსრულებაც სხვა (კონვენციის წევრ) სახელმწიფოებში 1958 წლიდან დღემდე უზრუნველყოფს ნიუ-იორკის კონვენცია

„უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ,“¹ არ არსებობს აქტი საერთაშორისო დონეზე, რომელიც სამედიაციო შეთანხმებების აღსრულებადობას და-არეგულირებდა.²

მედ-არბის ფარგლებში სამედიაციო განხილვის ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ ბუნებაზე, მისი აღსრულების შინაარსზე არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული სამართლებრივ ლიტერატურაში, მაგალითად, ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მედ-არბს ხშირად მოიხსენიებენ ტერმინით „მედიაცია მუშტით“ სწორედ იმის გამო, რომ მედ-არბში მიღებული საბოლოო პროდუქტი იმისდა მიუხედავად იგი მთლიანად სამედიაციო მორიგების საგანი გახდა თუ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, არის მხოლოდ და ექვემდებარება აღსრულებას.³ სხვა მკვლევარიც აღნიშნავს, რომ იმისდა მიუხედავად მედ-არბის პროცესის პროდუქტი მედიაციის პირმშოა, მედიაციის და არბიტრაჟის პროდუქტი თუ მხოლოდ არბიტრაჟის, მნიშვნელობა არ აქვს, იგი ერთიანობაში ხდება მხოლოდ ბუნების მქონე.⁴

მოყვანილი მსჯელობისგან საკმაოდ განსხვავებული, სამხრეთი კონცეფციაა შემოთავაზებული ერთ-ერთი მკვლევარის მიერ: კლასიკურ მედიაციაში მიღწეული შეთანხმება თავისი არსით სხვა არაფერია თუ არა ხელშეკრულება, მედ-არბის პროცესში მედიაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მსგავსად აღსრულებადია, თუმცა, იგი არ ექვევება ნიუ იორკის კონვენციის მოქმედების სფეროში.⁵

ხოლო, AMA პროტოკოლის მიხედვით,⁶ (ე.ი. როდესაც არბიტრაჟის პროცესში არსებობს სამედიაციო ფანჯარა) მედიაციის დროს მიღწეული შეთანხმება ნიუ იორკის კონვენციის მოქმედების სფეროში ექვევება,⁷ რაც ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, რომ საარბიტრაჟო წარმოება დაწყებულია.

საკითხი უფრო ნათელი რომ გახდეს, კითხვა ამგვარად უნდა ფორმულირდეს: შეუძლია კი არბიტრს გააფორმოს მხარეთა შორის არსებული სამედიაციო მორიგება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ან თუნდაც საარბიტრაჟო მორიგების ფორმით იმ მოცემულობის პირობებში, როდესაც მედ-არბის ფარგლებში საარბიტრაჟო განხილვა არც დაწყებულია (არ დამდგარა რა ამის საჭიროება).

სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ერთგვარად ატიპიურ სცენარში, მხარეები ახერხებენ მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტას მედიაციის მეშვეობით, ხოლო, იმ მომენტიდან, როდესაც დავა დასრულებულია, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს, რათა მათ მიერ მიღწეული შეთანხმება გააფორმდეს საარბიტრაჟო „გადაწყვეტილების“ სახით. ამ მოცემულობის პირობებში მხარეთა შორის ნამდვილი დავა არბიტრაჟისადმი მიმართვის დროისთვის პრაქტიკულად აღარც არსებობს. როგორც ლიტერატურაში აღნიშნული, ნიუ-იორკის კონვენციის მკაფიო ფორმულირება მისი მოქმედების სფეროდან გამორიცხავს იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უბრალოდ განასახიერებენ საარ-

¹ Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 19, 2012, in: *მაჩაიძე ო.*, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, თბ., 2019, 20.

² მცდელობა ამგვარი აქტის ფორმირებისა იყო UNCITRAL to Consider Proposal for Convention on Enforcement of Mediated Settlements-ს სახით, <<https://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2014/07/07/uncitral-to-consider-proposal-for-convention-on-enforcement-of-mediated-settlements/>> [25.06.2023].

³ Shivam G., 'Med-Arb': A Novel ADR Approach, June 26, 2016, 6, <<https://ssrn.com/abstract=2800693>> [25.06.2023].

⁴ Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 3.

⁵ Peter, supra note 6, at 97, in: Vera C., Arbitrating Harmony: 'MED ARB' and the Confluence of Culture and Rule of Law in the Resolution of International Commercial Disputes in China, Columbia Journal of Asian Law, 2004, 160.

⁶ SIAC-SIMC ARB-MED-ARB PROTOCOL, მე-9 მუხლი <<https://simc.com.sg/v2/wp-content/uploads/2019/03/SIAC-SIMC-AMA-Protocol.pdf>> [25.06.2023].

⁷ იხ. სინგაპურის საერთაშორისო სამედიაციო ცენტრის (SIMC) ოფიციალური ვებ-გვერდი <<https://simc.com.sg/dispute-resolution/arb-med-arb/>> [25.06.2023].

ბიტრაჟო პროცესის განმავლობაში მიღწეულ შეთანხმებას, რეალურად კი წარმოადგენენ სა-
არბიტრაჟო განხილვამდე მხარეთა შორის მიღწეულ კონსესუსს.¹

ამდენად, იმისთვის რომ მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმება ჩაითვალოს არბიტრაჟის
მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად და მოექცეს ნიუ იორკის კონვენციის მოქმედების სფერო-
ში, შემდეგი კუმულაციური გარემოებები უნდა იყოს სახეზე:

- მიღებულ უნდა იქნეს არბიტრის/არბიტრების მიერ;
- უნდა გადაწყვიტოს მთლიანად ან ნაწილობრივ მხარეთა შორის არსებული დავა;
- უნდა იყოს მბოჭავი (შესასრულებლად სავალდებულო).²

არბიტრაჟისთვის მხარეების მიერ დასამტკიცებლად წარდგენილ შეთანხმებას კი სწო-
რედ პირველი წინაპირობა აკლია - იგი არ არის მიღებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ
ნაწარმოები განხილვის შედეგად და ამდენად, მაშინაც კი თუ მოხდება მისი ტრანსფორმა-
ცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად, იგი ნიუ იორკის კონვენციის ფარგლებში აღსრულება-
დი ვერ იქნება.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ამ საკითხის იმპერატიული აკრძალვა არ
გვხვდება, თუმცა, მიზანშეწონილია კანონის 39-ე მუხლის 1-ელი პუნქტი, რომელიც ანესრი-
გებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საკითხს, განიმარტოს იმგვარად, რომ საარბიტრაჟო
გადაწყვეტილების მიღება დაუკავშირდეს რეალურ საარბიტრაჟო განხილვას და ამდენად,
წარმოადგენდეს მის პროდუქტს.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, თუ შეუძლია არბიტრაჟს დაამტკიცოს მხარეთა შორის
მედიაციის ფარგლებში არსებული მორიგება, გააფორმოს იგი, როგორც საარბიტრაჟო გან-
ხილვის დროს მიღწეული შეთანხმება და თუ მოექცევა იგი ნიუ იორკის კონვენციის ქოლგის
ქვეშ?

იმის გამო, რომ ნიუ იორკის კონვენცია საერთოდ არ ახსენებს საარბიტრაჟო შეთანხმე-
ბას, იურიდიულ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში იყო მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად
შეიძლება კონვენციის მოქმედების გავრცელება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მხარეებმა
საარბიტრაჟო განხილვის დროს მიაღწიეს შეთანხმებას და პრაქტიკულად საქმეზე დამდგა-
რი შედეგი მათი კონსესუსია: გაბატონებული შეხედულების თანახმად, თუ დაწყებული საარ-
ბიტრაჟო წარმოება წყდება მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ზოგადად
მიჩნეულია, რომ შეთანხმებები ექცევა ნიუ იორკის კონვენციის მოქმედების ფეროში.³ ერთ-
ერთ საქმეზე⁴ სასამართლომ განმარტა: არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა მიერ სა-
არბიტრაჟო განხილვისას მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გაფორმებული გადაწყვეტი-
ლება ნაკლებად მბოჭველი ბუნებისაა ნიუ იორკის კონვენციის ქოლგის ქვეშ, ვიდრე დავის
განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. სახეზე არ არის ამგვარი გამონაკლისის
დაშვების წინაპირობა. საპირისპირო განმარტების პირობებში, მხარეები ნაკლებმოტივირე-
ბულნი იქნებიან სცადონ მორიგება საარბიტრაჟო განხილვის პირობებში.

ქართულ კანონმდებლობაში ამ ნაწილში სადავო არაფერია, ვინაიდან „არბიტრაჟის
შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ მხარეთა მორიგებას ეძღ-
ვნება, მე-3 პუნქტში განამტკიცებს შემდეგი შინაარსის დებულებას: მორიგების შესახებ სა-
არბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ამ კანონის 39-ე მუხლის მოთხოვნათა
დაცვით. ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც

¹ *Uwe Hess R.*, Enforcing Consent Awards Under the New York Convention: from “Differences” to Settlement and Back, May 1st, 2018, 20, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4117511> [25.06.2023].

² იქვე, 14.

³ *Berger P. K.*, International Economic Arbitration, 1993, 582, in: *Vera C.*, Arbitrating Harmony: 'MED ARB' And the Confluence of Culture and Rule of Law in the Resolution of International Commercial Disputes in China, *Columbia Journal of Asian Law*, 2004, 161.

⁴ "5-30-2017 ALBTELECOM SH.A, Plaintiff, v. UNIFI COMMUNICATIONS, INC., Defendant." *ALBtelecom SH.A v. Unifi Commc'ns, Inc.*, 16 Civ. 9001 (PAE), (S.D.N.Y. May. 30, 2017), <<https://casetext.com/case/a-v-unifi-commcns-inc>> [25.06.2023].

დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში მიღებული ე.წ. „თანხმობითი გადაწყვეტილება“ (Consent Award) არსებითად არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, რომლებიც აფიქსირებს დავის მხარეებს შორის არსებულ მორიგებას.¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადების თანახმად, თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი წყვეტს განხილვას. ამდენად, კანონის მითითების თანახმად, მორიგება უნდა მოხდეს უკვე დაწყებული საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში.

ამდენად, ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მედ-არბის ფარგლებში, მედიაციის ეტაპზე მიღწეული შეთანხმების გაფორმება საარბიტრაჟო მორიგებად პრობლემური იქნება.

8. დასკვნა

არ არსებობს კანონი, მიდგომა თუ ტექნიკა, რომელზეც დაზუსტებით შეიძლება თქმა, რომ თუ მან ერთი ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში დადებითი შედეგები მოიტანა სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში მისი იმპლემენტაციის შემთხვევაშიც ასევე გაამართლებს. გამონაკლისი არც მედ-არბის ინსტიტუტია, რომელიც ქართული სინამდვილისთვის ახალი ხილია. მედ-არბი პირველ ნაბიჯებს დგამს იმგვარ სოციუმში, რომლის დიდმა ნაწილმა არათუ ამგვარი ჰიბრიდული მოდელის არსებობაზე არ იცის, არამედ, ცალკე აღებული მედიაციის ან არბიტრაჟის ინსტიტუტების შესახებაც კი არ სმენია.

სწორედ ამიტომ, იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც მედ-არბს უკავშირდება ეს მექანიზმი საკმაოდ ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული. რისკები ყოველთვის არსებობს (ცალკე აღებულ როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის პროცესებშიც), სათანადო რეგულირების მიზანი ამ რისკების აღმოფხვრა კი არა, უფრო რეალისტურად, მინიმუმამდე შემცირება უნდა იყოს.

მედ-არბის უმთავრესი ეთიკური დილემები ერთი და იმავე ნეიტრალური სუბიექტის მიერ წარმართული პროცესის ფარგლებში წარმოიშობა, ამასთანავე, სწორედ ერთი პირია ის ელემენტი, რასაც შეუძლია პროცესი უფრო მოქნილი გახადოს, რაც საბოლოო ჯამში დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვას განაპირობებს, შესაბამისად, სტატიის ფარგლებში დაისვა კითხვა ხომ არ არის „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული რეგულაციის გამარტივების საჭიროება იმგვარად, რომ მხარეებს მედ-არბის პროცედურის დაწყებამდევე მიეცეთ იმაზე შეთანხმების შესაძლებლობა, რომ ორივე ფაზას ერთი და იგივე პირი წარმართავს?

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ამგვარი ინსტიტუტის ფუნქციონირების გამოცდილება არ აქვს და იმ საფრთხეების მხედველობაში მიღებით, რასაც ერთი და იმავე პირის მიერ წარმართული პროცესი ქმნის, მედიაციის ეტაპზე კონფიდენციალურობის, მხარეთა თვითგამორკვევის, მედიატორის მიუკერძოებლობისა და ნებაყოფლობითობის პოსტულატების დაცვის კონტექსტში, ხოლო არბიტრაჟის სტადიაზე მხარეთა თანასწორობისა და არბიტრის მიუკერძოებლობის ნაწილში, ამ ეტაპზე რეგულაციის შემსუბუქების საჭიროება არ დგას.

რაც შეეხება საპირისპირო მოცემულობას, რეგულაციური ჩარჩოს გამკაცრებას და მხარეებისთვის მათი წერილობითი თანხმობის შემთხვევაშიც კი იმის აკრძალვას, რომ სამედიაციო განხილვის დასრულების შემდგომ არბიტრაჟის პროცესი არ წარმართოს იმავე პირმა, ხსენებული იქნება უხეში ჩარევა მხარეთა ნების ავტონომიის სფეროში.

¹ Kryvoi & Davydenko, Consent Awards in International Arbitration, at 832, in: Uwe Hess R., Enforcing Consent Awards under the New York Convention: from “Differences” to Settlement and Back, May 1st, 2018, 5, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4117511> [25.06.2023].

ამ ეტაპზე რეკომენდაციის სახით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იმ რისკების გათვალისწინებით, რაც დეტალურად იქნა ნაშრომის ფარგლებში განხილული, უმჯობესია, რომ მხარეებმა ამგვარი შეთანხმებები თავიდან აირიდონ და მედ-არბის ფარგლებში მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესების წარმოება სხვადასხვა პირს მიანდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართოდ იმაზე აპელირებით, რომ ორივე ფაზას იდენტური პირი ხელმძღვანელობს, ვერც არბიტრის აცილების მექანიზმი მოეწოდებათ შემწედ და ვერც სასამართლო.

ამდენად, ქართული რეალობისთვის ყველაზე სარგებლიანი იქნება მედ-არბის თანმიმდევრული (Sequential) პროცესი, რომელშიც ორი პირი მონაწილეობს, ერთი როგორც მედიატორი, ხოლო მეორე როგორც არბიტრი.¹ ორი პირის ჩართვა პროცესში შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან იქნეს არიდებული ეთიკური დილემები.

რაც შეეხება იმ კითხვებს ხომ არ გახდის ეს ყოველივე მედ-არბის პროცესს ნაკლებ ეფექტურს (დროისა და ფინანსური რესურსის თვალსაზრისით) ან რა სხვაობაა მედ-არბზე შეთანხმებასა და იმგვარ მოცემულობას შორის, როდესაც მხარეები ჯერ სამედიაციო განხილვაზე შეთანხმდნენ, ხოლო მისი უშედეგოდ დასრულების შემდეგ არბიტრაჟზე, პასუხი შემდეგი შეიძლება იყოს:

საქმე იმაშია, არბიტრაჟზე შეთანხმებები თუ დათქმები საკმაოდ მწირია ქართულ რეალობაში, როგორც წესი, ამგვარი შეთანხმებების მხარედ საბანკო დაწესებულება გვევლინება.² რთული საფიქრებელია, რომ ფინანსური ინსტიტუტი მედიაციაში წასვლის ინიციატორი (ან თანახმა) იყოს მაშინ, როდესაც პირდაპირ არბიტრაჟისადმი მიმართვა შეუძლია და ამგვარი მიმართვის წინაპირობა დადგა. რაც შეეხება სამედიაციო განხილვაზე შეთანხმებებს, ისინი კიდევ უფრო ნაკლებ შემთხვევაში (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ თითქმის არ) გვხვდება პრაქტიკაში.

ამასთან, განსხვავებით მედიაციასა და არბიტრაჟზე ცალ-ცალკე შეთანხმებებისგან, გადანყვეტილება იმაზე, რომ საკითხი განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს თუ მედიაციის პროცესში ვერ (ან ნაწილობრივ ვერ) მოგვარდა არსებული პრობლემა, წინ უსწრებს მედ-არბის პროცესს,³ ე.ი. მხარეებისთვის წინასწარ არის ცნობილი ის სავარაუდო სამართლებრივი სცენარი, რომლითაც წარმართება მათ შორის არსებული უთანხმოება (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში), კერძოდ, მხარეებს დასაწყისიდანვე გარანტირებული აქვთ, რომ თუ მედიაციის პროცესი უშედეგოდ დასრულდა, დავა მაინც არ მივა სასამართლო სისტემამდე და უკიდურეს შემთხვევაში არბიტრაჟის ფარგლებში გადაწყდება.

მედ-არბზე შეთანხმებას, მიუხედავად იმისა, რომ პროცესის სტადიები სხვადასხვა პირმა შეიძლება წარმართოს, მაინც მრავალი დადებითი მოტანა შეუძლია, კერძოდ, მედ-არბის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მათ შორის არსებული გაუგებრობის მასშტაბი შეამციროს - მედიაციის პერიოდი მხარეებს აძლევს „გაგრილების“ (ე.ი. ემოციების დაცხრობის) შესაძლებლობას,⁴ შედეგად, მედიაციის დროს მცირდება იმ საკითხთა წრე, რომლებზეც არბიტრაჟის მიერ უნდა იქნეს გადანყვეტილება მიღებული. ამდენად, მხარეები ერთგვარად მომზადებულნი მიდიან არბიტრაჟში.⁵ ხსენებულს მედიაციის პროცესი ახერხებს მისთვის დამახასიათებელი თვითგამორკვევის პრინციპის გამო, რომლის სრულყოფილი რეალიზაცია

¹ Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in School of law, Texas A&M University Chapter 10, 6-2021, 233.

² ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა არბიტრაჟში ფინანსური - სამომხმარებლო სექსის დავების უპირობო დომინანტობა. დეტალურად იხ. გყემადიძე ს., კობაძე მ., ..., არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, 18-19.

³ Akpata O., The Place of Med-Arb in the Resolution of Commercial Disputes By, FCIARB, 2012, 2-3, <<https://www.patrelipartners.com/the-place-of-med-arb-in-the-resolution-of-commercial-disputes/>> [25.06.2023].

⁴ Tevendale C., Ambrose H., Naish V., Multi-tier Dispute Resolution Clauses and Arbitration (2015) 1 Turkish Commercial Law Review 31, 33, in: YIP, Man. Combinations of Mediation and Arbitration: The Singapore perspective. Multi-tier Approaches to the Resolution of International Disputes: A Global and Comparative Study, 2021, 182,

⁵ Banaitis, NG., Construction Mediation and its Hybridization in Hong Kong, Organization, Technology and Management in Construction, 2017, 1534.

ისევ და ისევ სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარმართული მედ-არბის ფარგლებშია შესაძლებელი.

ყველაფერთან ერთად გასათვალისწინებელია მედიაციისა და არბიტრაჟის თავისებურებანიც. სამედიაციო განხილვის სტადიაზე მედიატორისთვის საქმის მასალებს/მტკიცებულებებს არ აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც არბიტრისთვის. ამდენად, ერთი და იმავე პირის მიერ წარმოებული მედ-არბის პროცესის ის ძირითადი უპირატესობა, რომ არბიტრს არ მოუწევს საქმის მასალების ხელახლა გაცნობა და ამით დაიზოგება დრო და რესურსი, არ არის უპირობოდ გასაზიარებელი.

ნაშრომის ფარგლებში ასევე მიმოხილულ იქნა იმ საკითხთა წრე, რომლებზეც გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული მედ-არბის პროცესში, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმგვარად, რომ საკითხების ნაწილი განსახილველად გადაეცეს მხოლოდ მედიაციას, ხოლო საკითხების მეორე ნაწილი დაექვემდებაროს არბიტრაჟის მიერ განხილვას მედიაციასში შეუთანხმებლობის შემთხვევაში. ამასთან, იმის გამო, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი მკაფიოდ ადგენს არბიტრაჟის მიერ კერძო ხასიათის ქონებრივი დავების გადაწყვეტის შესაძლებლობას, არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლები მედ-არბზე შეთანხმების გამო ვერ გაფართოვდება. სწორედ ამიტომ, სამომავლოდ სავარაუდოა, რომ მედ-არბის მექანიზმი ჩვენთან ძირითადად სწორედ ფინანსური დავების შემთხვევაში იქნება გამოყენებადი.

ნაშრომში ყურადღება ასევე გამახვილდა მედ-არბზე შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობებსა და ამ შემთხვევაში სასამართლოს ქცევის სტანდარტს, კერძოდ, რახან ცალსახად მედ-არბის მარეგულირებელი საკანონმდებლო დანაწესები ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ გვაქვს, მედ-არბზე შეთანხმების ნაწილში უნდა დავეყრდნოთ იმ ნორმებს, რომლებიც ცალ-ცალკე მედიაციისა და არბიტრაჟზე შეთანხმების ნამდვილობის პირობებს აწესრიგებს. სასამართლო უფრო მკაცრად უდგება არბიტრაჟზე შეთანხმების ვალიდურობის კლვევას, რაც ლოგიკურია იმ სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, რაც საარბიტრაჟო წარმოებას მოსდევს. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება და აქედან გამომდინარე მედ-არბზე შეთანხმებაც, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ნამდვილობის უმთავრეს ნიშანს - ნათლად უნდა დგინდებოდეს მხარეთა ნება სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვაზე და არ უნდა იყოს სავალდებულო შეთანხმებაში იმ კონკრეტული საარბიტრაჟო სასამართლოს გაწერა, რომელსაც მხარეთა შორის მედიაციის ეტაპზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ექნება საკითხის გადაწყვეტის კომპეტენცია.

ამასთან, სტატიაში განხილული იქნა იმგვარი პრობლემური შემთხვევა, როდესაც მხარე მედ-არბზე შეთანხმების მიუხედავად უარს აცხადებს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, როგორ უნდა მოიქცეს მეორე მხარე, შეუძლია თუ არა მიმართოს უშუალოდ არბიტრაჟს ან უნდა მიმართოს თუ არა სასამართლოს? ამ ნაწილში სწორედ იმის გამო, რომ მედ-არბი არც ცალკე აღებული მედიაციაა და არც ცალკე აღებული არბიტრაჟი, მედიაციის პროცესის გარეშე საარბიტრაჟო განხილვა ვერ შედგება. თავის მხრივ, მედიაციაში მხარის იძულებით მოყვანის ბერკეტი არ არსებობს (და არც უნდა არსებობდეს, გარდა სავალდებულო სასამართლო მედიაციის ინსტიტუტისა), შესაბამისად, მხარეს თავისი უფლებების დასაცავად სავარაუდოდ მოუწევს სასამართლო მექანიზმის გამოყენება და სწორედ მანვე უნდა მიუთითოს, რომ მეორე მხარის მიერ შეთანხმების უგულებელყოფა გახდა სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა.

შესაბამისად, მედ-არბის, როგორც ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობა აჩვენებს, რომ ამ მოდელის წარმატება თუ წარუმატებლობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მასში მონაწილე მხარეების ქცევას.

ნაშრომის ფარგლებში წამოიჭრა საკითხი მედ-არბის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნების თაობაზეც, უდავოა, რომ თუ საქმეზე შედეგი არბიტრაჟში დადგა, იგი იქნება შესასრულებლად სავალდებულო და ასევე მოექცევა ნიუ იორკის კონვენციის მოქმედების სფეროში. ხოლო, თუ მხარეებმა შეთანხმებას მედიაციის სტადიაზე მიაღწიეს,

მისი გაფორმება არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად (ან არბიტრაჟში მიღწეულ შეთანხმებად) ამჟამინდელი მოწესრიგების ფარგლებში არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, თუკი მხარეებს სურთ, რომ მედიაციაში დამდგარი შეთანხმება შესასრულებლად სავალდებულო იყოს, მასშივე უნდა გაწერონ აღსრულების პროცედურა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხარეები, რომლებიც ვერ რიგდებიან მედიაციის პროცესში საჭიროებენ არბიტრაჟის ფინალურ ბუნებას, ხოლო მხარეები, რომლებიც არბიტრაჟს მის სასამართლო პროცესთან მსგავსებას უწუნებენ, საჭიროებენ მედიაციის მოქნილობას. ამ მოთხოვნების შერწყმისა და დაბალანსების შესაძლებლობას კი საუკეთესოდ სწორედ მედ-არბი უზრუნველყოფს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ (მიღებულია 2019 წლის 18 სექტემბერს);
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს);
3. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ (მიღებულია 2009 წლის 19 ივნისს);
4. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის „არბიტრთა ეთიკის კოდექსი“ (მიღებულია 2013 წელს, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ);
5. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, (დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილს საერთო კრების მიერ);
6. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინება საქმეზე N2ას-148-140-2017;
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N2ბ/3055-11;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-809-862-2011;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-549-519-2011;
11. ანდლუდაძე ქ., საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან), სასემინარო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2013, 9, 14-15;
12. ბეჩაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2017“, თბ., 2018, 49, 52;
13. გიხნ ბახნეთი ქ., უიღისი თ., მედიაცია, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თბ., 2017, 251;
14. გუჩიანი ა., მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, დისერტაცია, თბ., 2019, 50;
15. ედიშბახაშვილი თ., სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში ქართული კანონმდებლობის თანახმად, ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, 5;
16. თითბეჩიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2020, 6, 32-33;
17. კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 2;
18. კეკელიძე გ., ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისთვის, 2017, 22;
19. კვიციანი თ., მედ-არბი/არბ-მედი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2014“, თბ., 2016, 27;
20. კიმბეჩიძე კ. კოვაკი, ახალი ღვინო საჭიროებს ახალ ღვინის ჭურჭელს (ტიკი - რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2012“, თბ., 2013, 146;
21. მაჩველიძე თ., მედიაცია, როგორც პროფესია: ეთიკის მოდელები, პრინციპები და გამოწვევები დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2017“, თბ., 2018, 169-170;
22. მაჩაიძე თ., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, თბ., 2019, 16-17, 19-20;

23. მოქია ი., საარბიტრაჟო არბიტრაჟო გადაწყვეტილების ადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, დეკემბერი, 2019, 88;
24. ოჯონიკიძე ე., მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 30;
25. ჟოხიძე დ., ბოდიში და პატიება მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2014“, თბ., 2016, 38;
26. ცყემადე ს., კობალაძე მ., არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, 22;
27. ფიცხელაუხი ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015, 9, 65;
28. ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი, თბ., 2018, 106;
29. ყანდაშვილი ი., მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომითი მედიაციის მაგალითზე, ჟურნ. „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში სტატიათა კრებული“, თბ., 2014, 200;
30. ცეხვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 16, 18, 20, 99;
31. ძაგნიძე დ., მედიაციის მოწესრიგების ქართული მოდელი საკანონმდებლო რეფორმის ფონზე, მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში, თბ., 2021, 10;
32. წულაია თ., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2017“, თბ., 2018, 253;
33. წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, დისერტაცია, თბ., 2016, 18, 21;
34. ჭანკვეტაძე ს., არბიტრაჟის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2020, 22;
35. ჯაფარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადული 2013“, თბ., 2014, 193;
36. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB),
37. Uniform Mediation Act and Official Comments, 2003 J. Disp. Resol,
38. ABA code of ethics for commercial arbitrators;
39. Arbitration Act 1991;
40. Arbitration Act 1996;
41. Arbitration Law of the People's Republic of China;
42. An Ordinance to reform the law relating to arbitration, and to provide for related and consequential matters;
43. Approval Of Ethical Guidelines For Mediators, In The Supreme Court Of Texas, Misc. Docket No. 05- 9107;
44. Commercial Disputes Arbitration Rules and Mediation Procedures;
45. Estonia Code of Civil Procedure;
46. European Code of Conduct for Mediation Providers;
47. IBA Rules of Ethics for International Arbitrators;
48. Istanbul Arbitration Centre Mediation-Arbitration Rules;
49. German Code of Civil Procedure (ZPO);
50. Model Standards of Conduct for Mediators Standard V(A) (2005);
51. SIAC-SIMC ARB-MED-ARB Protocol (AMA Protocol);
52. UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002;
53. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration;
54. Akpata O., The Place Of Med-Arb In The Resolution Of Commercial Disputes By, FCIARB, 2012, 2-3;
55. Alper G., “Double Hatting” under Med-Arb: A Comparative Analysis, 2021;
56. Banaitis, NG, Construction mediation and its hybridization in Hong Kong, Organization, Technology and Management in Construction, 2017, 1534;
57. Barsky A., “MED-ARB”: Behind the Closed Doors of a Hybrid Process, Family Court Review, 2013, 641-642;
58. Batiashvili I., Confidentiality in Mediation in Resolving Property Disputes: Reality and Challenges, International Journal of Law: “Law and World”, N 21, 2022, 2;
59. Batson Baril M., Dickey D., MED-ARB: The Best of Both Worlds or Just a Limited ADR Option?, 2017, 1-5;

60. *Blankley K.*, Keeping a Secret from Yourself? Confidentiality When the Same Neutral Serves Both as Mediator and as Arbitrator in the Same Case, *Baylor Law Review*, Forthcoming, 2011, 317, 319, 320-321, 324, 333;
61. *Bondy V., Doyle M.*, *Mediation in Judicial Review: A Practical Handbook for Lawyers*, 2011, 11, 13;
62. *Campolieti M., Riddell Ch.*, Does Mediation-Arbitration Reduce Arbitration Rates? Evidence from a Natural Experiment, 2018, 1;
63. *Cristabel A.*, Arbitrator's Dilemma: Troubles with the Same Person as Both Mediator and Arbitrator in Indonesia? *JURIS GENTUM LAW REVIEW*, vol. 7 (1), 2020, 69;
64. *Deason E. E.*, „Combinations of Mediation and Arbitration with the Same Neutral: A Framework for Judicial Review”, *Arbitration Law Review*, Volume 5 Yearbook on Arbitration and Mediation, Article 12, 2013, 219-224, 226;
65. *Drummond R.*, A Case for Arb-Med: Why Consider it and How to Draft an Arb-Med Clause, 2006, 1, 3;
66. *Elrod D. L.*, The Need for Confidentiality in Evaluative Processes: Arbitration and MED/ARB in Family Law Cases, *Family Court Review*, Vol. 58 No. 1, 2020, 27-29, 34-35;
67. *Faris A. J.*, An Analysis of The Theory and Principles of Alternative Dispute Resolution, Submitted in Accordance with the Requirements for the Degree of Doctor of Lawys at the University of South Africa, 1995, 170-171;
68. *Finn M.*, Remaining the Dispute Resolution Epicentre: is Med-Arb in Europe's future? *Construction Law International*, Vol 16, ISSUE 1, 2021, 18, 20;
69. *Gracious T.*, *The Downside of Arb-Med-Arb Procedures*, 2015;
70. *Gu W.*, Hybrid Dispute Resolution Beyond the Belt and Road: Toward a New Design of Chinese Arb-Med(-Arb) and its Global Implications, *Washington International Law Journal*, Volume 29, Number 1, 2019, 6;
71. *International Arbitration Survey: Adapting Arbitration to a Changing World*, The Queen Mary University of London, School of International Arbitration, 2021, 3;
72. *International Arbitration Survey 2018: The Evolution of International Arbitration*;
73. *International Arbitration Survey*, The Queen Mary University of London and White & Case LLP ('QMUL Survey 2018'), 2018, 7;
74. *Kaster A. L.*, Will There Be a Vast Worldwide Expansion Of Mediation for International Disputes?, *Alternatives to the Hight Cost of Litigation*, Vol. 33 No. 8, 2015, 120;
75. *Lu Y.*, Med-Arb and Arb-Med: A Law and Economic Analysis, *Harvard Negotiation Law Review*, [Vol. 27:253], 2022, 260;
76. *Macmillan R.*, *A Practical Guide for Mediators*, 2012, 55, 72;
77. *Med-Arb Commentary, A Guide for Legal and ADR Practitioners*, 2022, 4, 10;
78. *Nigmatullina D.*, *Developing Efficient Dispute Resolution Solutions for International Commercial Disputes: Ways to Address Concerns Associated with the Combined Use of Mediation and Arbitration by the Same Neutral*, This Thesis is Presented for the Degree of Doctor of Philosphy in Law of The University of Western Australia, 2016, 24, 33, 36;
79. *Nolan-Haley J.*, Mediation: The “New Arbitration”, *Harvard Negotiation Law Review*, 2012, 86;
80. *Pappas B.*, Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution, *Harvard Negotiation Law Review*, Vol. 20, No. 1, 2015, 159, 167-168, 171-172, 175, 177, 184, 186;
81. *Phillips F. G.*, A Case Study Demonstrates How the Entertainment Business—and Everyone Else Can Benefit by Using Hybrid Med-Arb Processes, *Alternatives*, VOL. 25 NO.4, 2007, 67;
82. *Pilkerton Cairnie T., Pope J.*, *Mediation Skills and Process*, The Northern Virginia Mediation Service, 2015, 1-2;
83. *Report Alternative Dispute Resolution: Mediation and Concilation*, Law Reform Commission, 2010, 1;
84. *Silberberg H. R., Badaracco P. A.*, Arb-Med: Workable or Worrisome?, *NYSBA New York Dispute Resolution Lawyer* Vol. 12, No. 2, 2019, 34;
85. *Steadman F.*, *Handbook on Alternative Labour Dispute Resolution*, ILO International Training Centre, 2008, 9;
86. *Shahla F. A.*, The Legal Framework for Med-Arb Developments in China: Recent Cases, Institutional Rules and Opportunities (October 18, 2016). *Dispute Resolution International*, DRI 119, 2016, 123-124, 119-120;
87. *Shivam G.*, *Med-Arb: A Novel ADR Approach*, 2016, 2, 6;
88. *Sussman E.*, Developing an Effective Med-Arb/Arb-Med Process, *The Neutral Corner*, the newsletter for finra neutrals, volume 2, 2018, 1, 2, 3;
89. *Sussman E.*, The New York Convention Through a Mediation Prism, *Dispute Resolution Magazine* Volume 15, Number 4, 2009, 10;
90. *Telford E. M.*, Med-Arb: A Viable Dispute Resolution Alternative, *Current Issues Series*, Queen's University, 2011, 1, 3, 6, 12;
91. *The international Comparative Legal Guide to: International Arbitration*, A Practical Insight to Cross-border International Arbitration Work, 2009, 29;
92. *Uwe Hess R.*, Enforcing Consent Awards Under The New York Convention: From “Differences” to Settlement and Back, 2018, 5, 14, 20;

93. Vera C., Arbitrating Harmony: 'MED ARB' And The Confluence of Culture And Rule of Law In The Resolution of International Commercial Disputes in China, *Columbia Journal of Asian Law*, 2004, 160-161;
94. Vorys Y., The Best of Both Worlds: The Use of Med-Arb for Resolving Will Disputes, *Ohio State Journal On Dispute Resolution*, [Vol. 22:3], 2007;
95. Welsh A. N., Switching Hats in Med-Arb: The Ethical Choices Required to Protect Process Integrity, in *School of law, Texas A&M University Chapter 10*, 2021, 214-218, 222-223, 230, 233;
96. Yamshon D., Drafting the Arbitration Clause, *Construction ADR*, published by the American Bar Association Construction Industry Forum, 2014, 4;
97. YIP, Man., Combinations of Mediation and Arbitration: The Singapore Perspective. Multi-tier Approaches to the Resolution of International Disputes: A Global and Comparative Study, 2021, 182, 194;
98. *Heartronics Corporation v EPI Life Pte Ltd and Others* [2017] SGHCR 17;
99. "05-30-2017 ALBTELECOM SH.A, Plaintiff, v. UNIFI COMMUNICATIONS, INC., Defendant." *ALBtelecom SH.A v. Unifi Commc'ns, Inc.*, 16 Civ. 9001 (PAE), (S.D.N.Y. May. 30, 2017);
100. *U.S. Steel Mining Company v. Wilson Downhole Serv*, 02: 00cv1758, (W.D. Pa. Oct. 5, 2006);
101. *Bowden v. Weickert*, Court of Appeals No. S-02-017, Trial Court No. 99-CV-395, (Ohio Ct. App. Jun. 20, 2003);
102. *Motor Wheel Corp. v. Goodyear Tire Rubber Co.* (1994), 98 Ohio App.3d 45, 52;
103. <<https://simc.com.sg/dispute-resolution/arb-med-arb/>>[21.09.2023].
104. <<https://mediators.ge/ka//how-to-become>> [21.09.2023].